# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 8 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 210 (6068)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# ხალხს ყველაზე მეტად „წადი, მიშა!“ გაახარებდა

## რადიკალური ლიდერები და ბევრად რადიკალური მომიტინგეები



ჯემალ კასრაძის ფოტო

ბავშვობაში მიხაროდა 7 ნოემბრის დადგომა: ალუმი, დროშები, ბუშტები, ლექსები და ნათელი მომავლის ილუზიური იმედი...

გუშინაც 7 ნოემბრის მიტინგი იყო, ოღონდ არა მომავლის ილუზიური იმედი, არამედ იყო ორჭოფობა, გაორება და ბურუსით მოცული — ნეტა, რა იქნება?!

ოპოზიციისა არ იყოს, ამინდი ალიონიდანვე უცნაურად იცვლებოდა, ხან მზე იყო, ხან ქარი, ხან წვიმა, ბოლოს გამოიდარა.

პარლამენტის წინ ხალხი ნელნელა შეიკრიბა, მართალია, იმდენი არა, რამდენიც შარშან, მაგრამ მაინც შეიკრიბა. ოპოზიციონერი ლიდერები წინადღით გამზადებულ ტრიბუნებზე იდგნენ და გაცხარებული ტონითა და განწირული ხმით ძირს უთხრიდნენ ხელისუფლებას, ლანძღავდნენ, მაგრამ არ ისმოდა მთავარი, რისი გაგონებაც ყველაზე მეტად გაუხარდებოდა იქ შეკრებილ ხალხს: „წადი, მიშა!“

2

## ნუგზარ წიკლაური და ძმანი მისნი პუშკინის წინააღმდეგ...



6

## ყველას სათანადოდ უნდა მიეზღოს

4

საბრალდებო დასკვნის პროექტი ჰააგის სისხლის სამართლის ტრიბუნალის პროკურორისთვის სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად 2007 წლის 7 ნოემბერს ქ.თბილისში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით

## თუ სომხეთი ჯავახეთში პროვოკაციებს მოაწყობს, ზღვაზე გასასვლელსა და რუსეთთან დამაკავშირებელ გზას დაკარგავს

3

## ოპოზიცია მტერი არ არის!

11



მიტინგი

# ხალხს ყველაზე მეტად „წადი, მიშა!“ გაახარებდა




## რადიკალური ლიდერები და ბევრად რადიკალური მომიტინგეები

(პირველი გვერდიდან)

პროტესტმაც არ დააყოვნა. მართალია, ლიდერებამდე ვერ აღწევს მათი ხმა, მაგრამ პრესასთან საუბარში ვნებათაღელვა ჭარბობს და თამამად ლანძღავენ ხელისუფლებას, ოპოზიციას, საქართველოს ყველა მოშურნეს, რუსეთსაც და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

— ამ ოპოზიციის დაპირებების არა მწამს. ეს ხელისუფლება დღეს უნდა წავიდეს. გაზაფხულამდე ესენი არ უნდა დარჩნენ, თორემ საქართველოც საერთოდ არ დარჩება. გაზაფხულს ვერ დაველოდებით. ძმები გაჩეჩილაძეების არა მწამს. პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს იპოდრომზე შევკრიბა. მერე დაგვითხოვეს, შინ წადითო. მაშინ იპოდრომზე კი არა, აქ რომ მდგარიყავით, დღეს ეს მიტინგი აღარ დაგვჭირდებოდა.

— უსამართლობამ გამოგვიყვანა! ვაზაგაშვილის დედა რომ ამბობდა, თქვენს შვილებს საფრთხე ემუქრებათ, ყველა ოჯახში შემოაღწევს უსამართლობაო, არა მჯეროდა. ჩემს ოჯახშიც შემოაღწია. 32 წლის შვილი მომიკლეს, მკვლელი ამათთან არის შეკრული და არ იჭერენ.

— ლიდერებს სისხლისღვრის ეშინიათ და იმიტომ იკავებენ თავს. არადა, ჩვენი შვილები იხოცებიან, მათი სისხლი იღვრება უსამართლოდ, ამიტომ ხალხს არა აქვს შიშის უფლება. ჩემი სისხლი დაიღვაროს, მე მზად ვარ, არ მეშინია!

— ზესტაფონიდან ჩამოველი, ლეიბორისტი ვარ. ჩემი მოთხოვნაა, გადადგეს ხელისუფლება. წავიდნენ ეს ანტიმართლმადიდებლები! ამათი საწინააღმდეგო მიტინგი როცა დაინიშნება, ყოველთვის ჩამოვალ!

— ხელისუფლება უნდა წავიდეს, მოისპოს ფაშიზმი! მაგრამ ეს დღეს არ მოხდება. გაზაფხულამდე საზოგადოება უნდა შემზადდეს. ხომ ხედავთ, ბევრი ხალხი არ მოვიდა, იმიტომ, რომ იმედგაცრუებული არიან ოპოზიციაზე. შევარდნა არ გამოვა. ამ ხელისუფლებას სისხლისღვრა კარგად გამოსდის, საშიშია...

მომიტინგეები ბევრად რადიკალურები არიან, ვიდრე ლიდერები. ბუკლეტები ყველას ხელთ აქვს, მაგრამ ბევრს არც ჩაუხედავს შიგ. იქ კი ოპოზიციური ბრძოლა ბევრად გრძელვადიანია, ვიდრე 7 ნოემბერს ხელისუფლების წასვლა. 7 ნოემბერი პერმანენტული აქციების ახალი ტალღის დასაწყისია. აქციაზე ჯერ მხოლოდ ოთხი პირობა წამოაყენეს: აგვისტოს მოვლენების დამოუკიდებელი გამოძიება; სიტყვის თავისუფლება; პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება; ახალი საარჩევნო კოდექსის მიღება.

აქციამ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციისკენ გადაინაცვლა, სადაც სააკაშვილს კიდევ ერთი მოთხოვნა გაუგზავნეს: 23 ნოემბრამდე ტელეკომპანია „იმედი“ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს! 23 ნოემბერს „იმედის“ 24-საათიანი პიკეტირება დაიწყება და აქვე უჩვენებენ დოკუმენტურ ფილმს 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ნოემბრამდე საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ. ოპოზიციამ 10-დან 20 დეკემბრამდე თვითონ უნდა დაიწყოს ძალთა ორგანიზაცია, ახალი გაერთიანება ჩამოაყალიბოს. მერე, 25 იანვარს, აქციას გეგმავს, სადაც ხელახალ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებს მოითხოვს. ამის მერე საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქს მოივლიან, რათა 9 აპრილს თბილისში, ასევე პარლამენტის წინ დაიწყონ მჯდომარე, სადღეღამისო, უვადო საპროტესტო აქცია და ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოაცხადონ.

მერე?

ეს უკვე სამარჩიელო თემაა...

**ნია ფიფია**

## 2008 წლის 7 ნოემბრის ქრონიკა

**პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი უდმილით პატივი მიაგეს.**

**როგორც მიტინგზე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ აღნიშნა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში იყო ბევრი გამარჯვება და ბევრი დამარცხება, მაგრამ ქართველი ხალხი ყოველთვის ღირსეული და ვაჟკაცი იყო. კუკავამ აგვისტოს მოვლენებს უმძიმესი ტრაგედია უწოდა.**

**მისივე თქმით, ყველა უნდა დადგეს ერთად თავისუფალი საქართველოსთვის.**

**კუკავამ მოუწოდა აქციის მონაწილეებს, აღკვეთონ ნებისმიერი პროვოკაცია და არ აყვნენ პროვოკატორთა ქცევას.**

**— დღევანდელი აქცია ხაზგასმულად მშვიდობიანი იქნება, ოპოზიცია მშვიდობიანად და თანმიმდევრულად მიაღწევს ვადამდელ არჩევნებს საქართველოში, — განაცხადა კახა კუკავამ.**

* * *

**პარლამენტის წინ აქციაზე „ქართული დასის“ ის წარმომადგენლები მივიდნენ, რომლებიც ჯონდი ბაღათურიას გაემიჯნენ.**

**ადვოკატ კახა ქარდავას თქმით, „ქართული დასის“ ეს შემადგენლობა სოლიდარობას უცხადებს ხალხის პროტესტს ხელისუფლების წინააღმდეგ.**

**ქარდავას თქმით, ისინი არ წარმოადგენენ რომელიღაც პოლიტიკური ძალების კონკრეტულ ინტერესებს, ისინი აპროტესტებენ იმ უსამართლობას, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. მისი თქმით, მათ სტკივათ 7 ნოემბერი.**

**— 7 ნოემბრის აქციაში მონაწილეობის გამო მე მოსამართლემ 20-დღიანი პატიმრობა მომისაჯა. იმის მიუხედავად, რომ რეზინის ტყვიები მომხვდა და გაზი ვყლაპე, მაინც გავაგრძელებ პროტესტს, სანამ საქართველოში არ დამკვიდრდება სამართლიანობა და არ შეიცვლება ხელისუფლება, — აღნიშნა კახა ქარდავამ.**

* * *

**ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, რომ დღეს აქტიური ქმედებებით კომპლექსურ გეგმაზე გადადიან. არა მარტო ქუჩის აქციები იქნება, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც იმუშავებენ.**

**ლევან გაჩეჩილაძის თქმით კი, ისინი ახალ საპროტესტო ტალღას იწყებენ, რომელიც გაზაფხულამდე გაგრძელდება.**

**კოკა გუნცაძის თქმით კი, საქართველოს ყველა კუთხეს მოივლიან და ხალხს აუხსნიან იმ ვითარებას, რაც ქვეყანაში ხდება.**

**— მჯერა, მალე დამთავრდება ეს ხელისუფლება. დამთავრდება ხალხის პროპაგანდით გაბრუების დრო და ქვეყანაში სამართლიანი გარემო დამკვიდრდება. საბოლოოდ, ამ ხელისუფლების შეცვლით უნდა დამთავრდეს ჩვენი ბრძოლის ეს ეტაპი, უნდა დამთავრდეს ტერიტორიების წართმევა, ბიჭების ჩახოცვა. ქვეყანა არის საფრთხის ქვეშ. ქვეყნის რეპუტაცია საერთაშორისო საზოგადოების თვალში არის შერყეული. პატივს არ სცემენ ქვეყანაში სამართლიანობას და დემოკრატიას. ასეთი ცინიკური ხელისუფლება კი უნდა შეიცვალოს. მას უფლება არ აქვს, ქვეყანას მართავდეს, — განაცხადა კოკა გუნცაძემ.**

* * *

**პარლამენტის წინ ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ.**

**ლეიბორისტების მთავარი მოთხოვნა აქციაზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომა იყოა.**

**როგორც ისნის რაიონში პარტიის კოორდინატორმა დავით გოგუამ განაცხადა, „ლეიბორისტების“ წარმომადგენლები თბილისში ჩამოსული არიან დასავლეთი საქართველოდან და გორიდან.**

**— ჩვენი მოთხოვნაა, ქვეყანაში ადამიანის უფლებები იყოს დაცული, შეიცვალოს საარჩევნო კანონი, იყოს თავისუფალი სასამართლო, მოიხსნას ტელევიზიებზე ცენზურა, — განაცხადა დავით გოგუამ.**

* * *

**საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მეტრო „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე იყვნენ მობილიზებული.**

**როგორც ინტერპრესნიუსის კორესპონდენტი იუწყება, სპეცდანიშნულების რაზმი ინგოროყვას ქუჩაზე იმყოფებოდა, უშუალოდ პარლამენტის კიბეებთან კი საკანონმდებლო ორგანოს დაცვის სამსახურის თანამშრომლები იყვნენ მობილიზებული.**

* * *

**ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გოგა ხაინდრავამ პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე უარყო ინფორმაცია, თითქოს ევროპაში ყოფნის დროს პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა.**

**— პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნა დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწევთ. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ახსოვს საბჭოთა, არაადამიანური წყობა. დღესაც ქვეყანაში ისეთივე სიცრუე და ისეთივე ძალადობაა, როგორც — საბჭოთა კავშირის დროს, — აღნიშნა ხაინდრავამ.**

**მისივე თქმით, ბოლო პერიოდში შეიქმნა განცდა, რომ საპროტესტო ტალღა საქართველოში აღარ არსებობს, თუმცა, ხაინდრავას განცხადებით, ბოლო მოვლენების გათვალისწინებით საპროტესტო ტალღა საქართველოში საკმაოდ მწვავეა.**

**ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა „სიყალბის ბუდე“ უწოდა საქართველოს პარლამენტის შემადგენლობას და აღნიშნა, რომ ოპოზიციის ნაწილის გადაწყვეტილება პარლამენტის მანდატებზე უარის თქმის შესახებ სწორი იყო.**

* * *

**პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე ამერიკის შეერთებული შტატების ახალარჩეული პრეზიდენტის ბარაკ ობამას პლაკატები გამოჩნდა წარწერით: „ამერიკა, რომლისაც გვჯერა“.**

**ამასთან, აქციაზე სიტყვით გამოვიდა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი.**

**— ამერიკაში შავი რეჟიმი დასრულდა და ბარაკ ობამას არჩევის შემდეგ იწყება სრულიად ახალი მსოფლიო. საქართველო არც რუსეთის და არც ამერიკის კოლონია არ იქნება. ჩვენ გვინდა, რომ ყველა იყოს ჩვენი მეგობარი, მაგრამ საქართველო არ უნდა აქციონ საომარ მოედნად, — განაცხადა ნათელაშვილმა.**

**პარლამენტის წინ შეკრებილებმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს „საყოველთაო სახალხო იმპიჩმენტი“ გამოუცხადეს.**

**ასეთი იდეით „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი გამოვიდა და მას პარლამენტის წინ შეკრებილებმაც მხარი დაუჭირეს. გაისმა შეძახილები — „გადადექი, გადადექი!“.**

**შალვა ნათელაშვილის განცხადებით, საქართველოს გადარჩენის ერთადერთი შანსი მიხეილ სააკაშვილის გადადგომაა.**

**ლეიბორისტების ლიდერის თქმით, სააკაშვილის რეჟიმის გადადგომის შემთხვევაში არ მოხდებოდა წლევანდელი ტრაგედია.**

* * *

**პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებს გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერმა და პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ მიმართა.**

**— მთავარია საქმის ბოლომდე მიყვანა. ჩვენ არ უნდა დავიღალოთ, არ შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირება, ჩვენი ძალა გამძლეობაშია, — აღნიშნა გაჩეჩილაძემ.**

**მისივე თქმით, სააკაშვილმა დააკარგვინა საქართველოს ფუნქცია კავკასიასა და მსოფლიოში.**

**გაჩეჩილაძემ გაიხსენა საპრეზიდენტო არჩევნების დროს ოპოზიციის ლოზუნგი — „საქართველო უპირველეს ყოვლისა“.**

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ეკა ბესელიამ კი აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე არის ღირსებისა და სამშობლოს სიყვარულის დღე.**

**მისივე თქმით, დღევანდელ მთავარსარდალს არა აქვს უფლება, მართოს ქვეყანა.**

**— უნდა დადგეს მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხი, მან საკუთარ ხალხს ჯერ სისხლიანი ანგარიშსწორება მოუწყო, მერე კი ტერიტორიები დააკარგვინა, — განაცხადა ეკა ბესელიამ.**

* * *

**პარლამენტთან მიმდინარე აქციის მონაწილეები ნახევარ საათში პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციისკენ დაიძრნენ.**

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**





ჯემალ კასრაძის ფოტო

მართებული აზრი

**ბარაქ ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ ბევრს ეგონა, რომ რუსეთი დასავლეთის მიმართ აგრესიულ ტონს იმთავითვე შეიცვლიდა და შედარებით ლოიალური გახდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. დიმიტრი მედვედევმა ამასწინათ ფედერალური კრებისადმი მიმართვაში საინტერესო და ყურადსაღები ინიციატივები გაახმიანა, მათ შორის, კალინინგრადში ანტისარაკეტო სისტემების განთავსების შესახებაც.**

# რუსეთის პოლიტიკა დასავლეთის მოქმედებაზე საპასუხო სისულელეა

ამასთან დაკავშირებით ქართველ ექსპერტებს თითქმის ერთნაირი აზრი აქვთ. პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ მედვედევის გამოსვლაში რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალია. საინტერესოა საპრეზიდენტო და საპარლამენტო სტრუქტურებისთვის ვადის გაგრძელების ინიციატივა. ამას ვერ მივანიჭებთ დემოკრატიულ თუ არადემოკრატიული გადაწყვეტილების სტატუსს. საფრანგეთი დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ პრეზიდენტს გრძელი ვადით ირჩევენ. საყვარელიძის ვარაუდით, ეს არ ეხება მხოლოდ ვადის გაგრძელებას, რადგან მაშინ მედვედევს ეს ინიციატივა თავისი პრეზიდენტობის დასასრულს უნდა წამოეყენებინა და არა ახლა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი ამ განცხადებით პუტინის ერთი წლით „გადაწევას" გულისხმობს. არის კი ეს პუტინთან შეთანხმებული? თუ ამას იმ ვერსიასაც დავამატებთ, რომელმაც ამასწინათ გაიელვა, თითქოს პუტინი გადადგომას აპირებსო, სავარაუდოა, რომ მედვედევსა და პუტინს შორის გარკვეული ბრძოლა მიმდინარეობს და ამ დაპირისპირებაში საინტერესოა პუტინის პოზიცია.

მეორე მხრივ, ფაქტია, რომ მედვედევმა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს იგივე გაგრძელება მოუძებნა, რაც პუტინის ხელში იყო — აგრესიული პოლიტიკა ევროპისა და აშშ-ს მიმართ.

ექსპერტს გაუჭირდა წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენას იქონიებს ეს საქართველოზე.

ჯერჯერობით ვლაპარაკობთ რუსეთის ტონზე, — ამბობს ის, — ახლა მთავარია, გაირკვეს, როგორი იქნება ზოგადად ამერიკის პოლიტიკა და რა კურსს აირჩევს რუსეთი. ამერიკის პოლიტიკის გარკვევამდე რუსეთი ადრე აღებულ ინტონაციას შეინარჩუნებს.

რაც შეეხება კალინინგრადში ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის განთავსებას, საყვარელიძის აზრით, ეს არის რუსეთის სიმეტრიული ნაბიჯი ჩეხეთსა და პოლონეთში ამერიკის მიერ გაცხადებული რადარების განთავსებისა, როგორც კოსოვოს აღიარების სიმეტრიული ნაბიჯი იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ექსპერტი ზოგადად სისულელეს უწოდებს დასავლეთის პოლიტიკას რუსეთის მიმართ და აღნიშნავს, რომ რუსეთის ქმედებებიც და განცხადებებიც საპასუხო სისულელეა, თუმცა ნაკლებად სისულელე.

ექსპერტი **მამუკა არეშიძე** ფიქრობს, რომ კალინინგრადში ანტისარაკეტო სისტემის განთავსების შესახებ მედვედევის განცხადება მხოლოდ პიარია, ანუ ეს არის განცხადება განცხადებისთვის. მედვედევმა ამით საფუძველი მისცა აშშ-ს კულუარული ვაჭრობა გააჩაღოს რუსეთთან. არეშიძის აზრით, რუსეთის პრეზიდენტს რომ განეცხადებინა, რუსეთის მთელ პერიმეტრზე განვათავსებ თავდაცვით სისტემებსო, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. ექსპერტი შედეგების ორ ვერსიას განიხილავს: ან იქნება ანტისარაკეტო სისტემა, როგორც ჩეხეთსა და პოლონეთში, ისე კალინინგრადში, ან არსად არ იქნება.

პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** ამბობს, რომ არაფერი განსაკუთრებული მედვედევის განცხადებაში არ ყოფილა. ასე თუ ისე, მედვედევმა თავი მოუყარა ყველაფერ იმას, რასაც აქამდე ამბობდნენ. ხუხაშვილის აზრით, ჩვენთვის ის არის მთავარი, რომ რუსეთმა გამოაცხადა, მე ვიქნები კავკასიაში სტაბილურობის გარანტიო. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთი თავის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ არ შეცვლის.

ექსპერტის თქმით, მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ეტაპზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში დადებითი პერსპექტივები, სამწუხაროდ, არ ჩანს.

თეა მოსია.

სამომავლო რეალობა?

# თუ სომხეთი ჯავახეთში პროვოკაციებს მოაწყობს, ზღვაზე გასასვლელსა და რუსეთთან დამაკავშირებელ გზას დაკარგავს

## ნომრის სტუმარია ექსპერტი კავკასიის საკითხებში კახა გოგოლაშვილი

**— ბატონო კახა, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების კრემლში შემდგარმა შეხვედრამ ჩვენს საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ამბობენ: რუსეთი აზერბაიჯანის გადაბირებას ცდილობს და შეიძლება გამოუვიდეს კიდეცო. თქვენ როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავდა ეს შეხვედრა და რას უნდა ველოდოთ მომავალში?**

— ცხადია, რუსეთი დაინტერესებულია აზერბაიჯანთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით, მაგრამ ამ ეტაპზე ამის არანაირი რეალური წინაპირობა არ არსებობს, ვინაიდან აზერბაიჯანი კარგად აცნობიერებს, რომ შეთანხმება, რომელიც საქართველოს გათიშავს ალტერნატიული ენერგოგზების პროექტებისგან, მის რესურსებს ისევ რუსეთის კონტროლქვეშ მოაქცევს, რასაც, ბუნებრივია, დასავლეთი არ მიესალმება.

რაც შეეხება მოსკოვში გამართულ შეხვედრას, ამით რუსეთი შეეცადა აღედგინა აგვისტოს მოვლენების დროს შელახული პრესტიჟი და მსოფლიოსთვის დაენახვებინა, რომ მას შესწევს ძალა, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად.

**— რა დოკუმენტს მოაწერეს ხელი სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა და თუ აზერბაიჯანი ყარაბაღთან დაკავშირებით რაიმე დათმობას არ ელოდა, საერთოდ რატომ ჩავიდა პრეზიდენტი ალიევი მოსკოვში?**

— შეთანხმება, რომელსაც პრეზიდენტებმა ალიევმა და სარქისიანმა მოაწერეს ხელი, დიალოგის განახლებას ითვალისწინებს, მაგრამ რამდენად შეასრულებენ ისინი ამ ვალდებულებას, ეს სხვა საკითხია...

რაც შეეხება მეორე კითხვას, აგვისტოს მოვლენების შემდეგ სომხეთიც და აზერბაიჯანიც რუსეთთან ურთიერთობაში ფრთხილობენ, მათ არ სურთ კრემლის გაღიზიანება და როცა რუსეთმა მათ შეხვედრა შესთავაზა, ბუნებრივია, ისინი დათანხმდნენ...

**— თქვენთვის თუა ცნობილი, რას სთავაზობდა რუსეთი მხარეებს?**

— ამის თაობაზე დეტალური ინფორმაცია არ მაქვს, არა მგონია რუსეთს რომელიმესთვის რამე შეეთავაზებინა, უბრალოდ არსებობს სომხეთის მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი და არსებობს აზერბაიჯანის მიდგომა. ალიევმა პირდაპირ განაცხადა, რომ ის არ დათმობს ყარაბაღს, სომხეთი კი კონფლიქტის ზონის გარეთ ოკუპირებული ტერიტორიების დათმობის სანაცვლოდ ჰუმანიტარული კორიდორის გახსნას მოითხოვს, რაც აზერბაიჯანისთვის მიუღებელია.

**— ექსპერტთა ერთი ნაწილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ რუსეთი სომხეთს ყარაბაღის აზერბაიჯანისთვის გადაცემის სანაცვლოდ ჯავახეთს ჰპირდება. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს საფრთხე?**

— ეს საფრთხე, რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ყარაბაღის სანაცვლოდ ცოტა არარეალური მეჩვენება, იმიტომ რომ თვითონ სომხები ვერ გაწირავენ ყარაბაღის მოსახლეობას. თუ მაინცდამაინც ასე მოხდება, ანუ თუ ჯავახეთში რაიმე პროვოკაციებს მოაწყობენ, ისინი არა მარტო საქართველოს გადაემტერებიან, არამედ თურქეთს კიდევ ერთ საბაბს მისცემენ უკმაყოფილებისთვის, რადგანაც მათ საზღვრებთან ახლოს პროვოკაციას ექნებოდა ადგილი. ამასთანავე დაკარგავენ ზღვაზე გადასასვლელს და რუსეთთან დამაკავშირებელ გზას, რომელიც საქართველოზე გადის. ამდენად, არა მგონია, მოვლენები ასეთნაირად განვითარდეს, თუმცა რუსეთის სპეცსამსახურებს ალბათ აქვთ მსგავსი სცენარი მომზადებული...

**— თქვენ თქვით, აზერბაიჯანს რუსეთთან რაიმე შეთანხმებაზე წასვლა საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცევსო. იმ შემთხვევაში, თუ ბაქო ისევ პროდასავლურ კურსს შეინარჩუნებს, რამდენად მოსალოდნელია რუსეთის მხრიდან პროვოკაციები იგივე ნავთობსადენზე, გაზსადენზე, რათა რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური ვითარების იმიჯი შეიქმნას?**

— ნავთობსადენი, ერთხელ უკვე ააფეთქეს, მაგრამ საბედნიეროდ ეს აღარ განმეორებულა. რა თქმა უნდა ინციდენტები გამორიცხული არ არის, რადგან ამ ეტაპზე რუსეთის ერთადერთი რესურსი, რეგიონში ვითარების გასამწვავებლად, სწორედ ამაში მდგომარეობს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ დასავლეთი ყველაფერს გააკეთებს სამხრეთის ენერგოგზის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად...

**— აგვისტოს მოვლენების დროს, ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, აზერბაიჯანი სდუმდა. მართალია, ალიევმა გააკეთა ერთი-ორი მკაცრი განცხადება რუსეთის მისამართით, მაგრამ ეს არ იყო ის რეაგირება, რასაც ჩვენ მოველოდით აზერბაიჯანისგან. როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?**

— აზერბაიჯანი, მსგავსად სხვა ევროპული სახელმწიფოებისა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. მოგეხსენებათ, მას აქვს თავისი რუსეთთან დაკავშირებული პრობლემები, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ და ამდენად იგი უფრო კატეგორიული ვერ იქნებოდა, თუმცა რეალურ პოლიტიკაში ყოველთვის მხარს გვიჭერს და ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მოკავშირეა.

აგვისტოს ომის დროს შეიძლება ალიევი მკაცრი განცხადებებით არ გამოირჩეოდა, არ ვიცი, იყო თუ არა რაიმე სახის სამხედრო დახმარება, მაგრამ გვეხმარებოდა მატერიალურად, სამხედრო ლოჯისტიკური კუთხით და ა.შ.

**— კი მაგრამ, რუსეთმა უკრაინას განგაში რომ აუტეხა, საქართველოს იარაღით ეხმარებოდითო, რატომ აზერბაიჯანზეც არ ამბობენ იგივეს?**

— ამაზე გადაჭრით ვერ გიპასუხებთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია — უკრაინასთან რუსეთს აქვს სხვა დამოკიდებულება და სხვა მიზნები, რაც ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ პოლიტიკურ ვითარებაშიც კარგად ჩანს, რაც შეეხება აზერბაიჯანს, ამ ეტაპზე რუსეთს არ სურს მასთან ურთიერთობის გაფუჭება და ამიტომ როგორც ჩანს ბევრ რამეზე თვალს ხუჭავდა...

ჯაბა ჟვანია

ინფორმაცია



# ნინო ბურჯანაძე: მე ჩვენი საზოგადოების საპროტესტო სულისკვეთების სოლიდარული ვარ

„დემოკრატიული განვითარების ფონდის" პრეზიდენტმა, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ 7 ნოემბერთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

სოლიდარული ვარ ჩვენი საზოგადოების საპროტესტო სულისკვეთების. მიუხედავად მაქსიმალური მცდელობისა, შარშან, 7 ნოემბერს ვერ შევძელი დამეცვა საზოგადოება იმ საშინელებისგან, რაც მოხდა. მინდა განვაცხადო, რომ მზად ვარ, დავდგე ჩემი ხალხის გვერდით, მის მიმართ ძალადობის გამოვლინების ნებისმიერ შემთხვევაში.

ჩვენი მხარდამჭერები დამოუკიდებლად იღებენ აქციაში მონაწილეობის გადაწყვეტილებას, რადგან ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება 23 ნოემბერს დაარსდება.

გაცხადებულის გარდა, დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ფუნდამენტური ცვლილებებისა და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მოთხოვნის ჩამოყალიბებაა აუცილებელი. მიგვაჩნია, რომ არსებობს ამ მოთხოვნათა დაყენების და მათზე პასუხის მიღების განსხვავებული გზებიც. ამავე დროს, ჩვენ არ გამოვრიცხავთ კარგად დაგეგმილ და კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცეულ საპროტესტო აქციას, როგორც პოლიტიკური ბრძოლის ეფექტურ მეთოდს, — ნათქვამია ნინო ბურჯანაძის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

◎ კითხული კაცის აზრით

*2007 წლის 7 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა, მისმა მთავრობამ და საპარლამენტო გუნდმა ბურჯანაძის თავმჯდომარეობით დაარღვიეს „ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ 4, 5, 14, 17, 18, 19, 27 მუხლები გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის დეკემბრის „სამართალდამცავ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი“, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 9, 10, 11, 14, 15 და საქართველოს კონსტიტუციის 5, 6, 7, 17, 18, 19, 20, 22, 24, 25, 26, 39, 40, 43, 46-ე მუხლები:*

# ყველას სათანადოდ უნდა მიეზღოს

## საბრალდებო დასკვნის პროექტი ჰააგის სისხლის სამართლის ტრიბუნალის პროკურორისთვის სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად 2007 წლის 7 ნოემბერს ქ.თბილისში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით

მათ შორის, **საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე:**

**ა)** დაარბიეს, თავისუფლება აღუკვეთეს და პოლიტიკური თავისუფლება შეუზღუდეს **მოშიმშილე** მომიტინგეებს, რომლებიც იმყოფებოდნენ პარლამენტის კიბეებზე, **სადაც არ არის ტრანსპორტის და ხალხის სამოძრაო ადგილი;**

**ბ)** დაარღვიეს ყველას უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, მაშინ, როდესაც **მომიტინგეები იმყოფებოდნენ რიყეზე, სადაც არ არის ტრანსპორტის და ხალხის სამოძრაო ადგილი;**

**გ)** უხეშად დაარღვიეს მოქალაქეთა, მათ შორის მომიტინგეთა და პოლიტიკური პარტიების ლიდერთა და წევრთა **პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, სატელეფონო საუბრის ხელშეუხებლობა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება;**

**დ)** ტელე „იმედის“ შენობის და ჟურნალისტთა ბარბაროსული დარბევით, ტექნიკის და ტელეაპარატურის ვანდალური განადგურებით, ტელე „იმედის“ და „კავკასიის“, აგრეთვე სნნ-ის, ბბს-ის და ევრონიუსის ტელემაუწყებლობის გათიშვით, ოპოზიციური პარტიების საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის ტელესივრცით სარგებლობის უფლების შეზღუდვით, ინფორმაციის გავრცელების სატელევიზიო საშუალებათა მონოპოლიზაციით ხელყვეს **მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება და მათი ცენზურის დაუშვებლობა, ადამიანის უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით;**

**ე)** დაბრკოლება შეუქმნეს სახალხო დამცველს მის საქმიანობაში, და **მას ფიზიკური და მორალური ზიანი მიაყენეს;**

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ზემოაღნიშნული უფლებების ხელყოფის შედეგად ხელისუფლების კომპეტენტურმა პირებმა სავარაუდოდ ჩაიდინეს **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154, 159 და 161 მუხლებით** გათვალისწინებული დანაშაულები,

კერძოდ, დანაშაულები გათვალისწინებული:

**სისხლის სამართლის კოდექსის 153 მუხლით,** რომლის ძალით: „სიტყვის თავისუფლების და ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისთვის უკანონო ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ანდა **ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლით,** რომლის ძალით: „ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელის შეშლა ე.ი. მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან; იგივე ქმედება **ჩადენილი ძალადობის მუქარის ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 159 მუხლით,** რომლის ძალით: „პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა; იგივე ქმედება ჩადენილი ანგარებით, **არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 160 მუხლით,** რომლის ძალით: „ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა ანუ ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან მფლობელობის ხელშეუხებლობას; იგივე ქმედება **ძალადობით** ან ძალადობის მუქარით ან **რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფურად ან სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით;**

**სისხლის სამართლის კოდექსის 161 მუხლით,** რომლის ძალით: „შეკრების ან მანიფესტაციის უფლების უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; იგივე ქმედება, ჩადენილი **იარაღის გამოყენებით, ან რამაც მასობრივი არეულობა,** სიცოცხლის მოსპობა ან **სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.**

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,**

მიხეილ სააკაშვილს, მის მთავრობას და საპარლამენტო გუნდს ბურჯანაძის თავმჯდომარეობით და სათანადო კომპეტენტურ პირებს ინდივიდუალურად ბრალი შეიძლება წარედგინოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისთვის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154, 159, 160 და 161 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის, და რადგანაც მიხეილ სააკაშვილს და მის თვითმარქვია ხელისუფლებას უზურპირებული აქვთ სასამართლო ხელისუფლება, **საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს პროკურორს ეთხოვოს, აღძრას სისხლის სამართლის საქმე 2007 წლის 7 ნოემბერს ქ. თბილისში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისთვის, გათვალისწინებული საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუსის მე-7 მუხლის ე) და ი) პუქტებით.**



**ბიძინა სავანელი,**
ადამიანის საერთაშორისო უფლებათა ექსპერტი, ადამიანის უფლებათა დაცვის და სწავლების ცენტრის პრეზიდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

◎ ვიდეოხიდი

*თბილისის საერთაშორისო პრეს-ცენტრ „რია ნოვოსტში“ ვიდეოხიდით ბაქოსთან დისკუსია გაიმართა. ქართველმა და აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგებმა საკუთარი მოსაზრებები გაცვალეს. დისკუსიის მთავარი თემა მოსკოვში სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრის შედეგები იყო.*

*ვიდეოხიდის მონაწილეები ქართული მხრიდან იყვნენ: ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი და ეკონომიკური საკითხების ექსპერტი გია ხუხაშვილი (ვიდეოხიდში მესამე მონაწილედ გათვალისწინებული იყო საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი მურასიბ კარაევი, რომელმაც, როგორც ჩანს, დისკუსიაში მონაწილეობა ბოლო წუთებში გადაიფიქრა და ტელეფონის გათიშვა ამჯობინა. ბაქოდან კი ვიდეოხიდში მონაწილეობდნენ: პოლიტოლოგი რასიმ აგაევი, ექსპერტი ეკონომისტი ილჰამ შაბანი და დამოუკიდებელი პოლიტოლოგი ხალედინ იბრაგიმლი).*

# კავკასიის ნაწილი — საქართველო, შესაძლოა, კავკასიის მიღმა დარჩეს

ვიდეოხიდის საშუალებით დისკუსიის მონაწილეებმა იმსჯელეს სამხრეთ კავკასიაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, იმაზე, თუ რა შედეგები უნდა ჰქონდეს მოსკოვში სამი პრეზიდენტის (რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისძ შეხვედრას და როგორ შეუძლიათ მათ სამხრეთ კავკასიაში არსებულ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა.

ისევე როგორც ქართველი ექსპერტები, აზერბაიჯანელებიც აღიარებენ, რომ რუსეთმა შეცვალა კავკასიური მოდელი და დღეს ყველა ელოდება, როგორ დარეგულირდება ურთიერთობები კავკასიაში. კავკასიელები კარგად ხედავენ, რომ რუსეთი კვლავაც მთავარი მოთამაშის თამაშს თამაშობს, რაც სახარბიელო უკვე აღარც აზერბაიჯანელებისთვის აღარ არის. თუმცა, აზერბაიჯანელებისაგან განსხვავებით, შეფასებებში ქართველი ექსპერტები ბევრად მკაცრები არიან და აცხადებენ, რომ მთავარია, მთელმა კავკასიამ რუსეთის პოლიტიკა მიიჩნიოს, როგორც მტრული.

დისკუსიის დასასრულს კი, ჩვენი პოლიტოლოგები ჟურნალისტებთან საუბრისას, არც იმის აღიარებას გაექცნენ, რომ დღეს, კავკასიაში საქართველოს მიმართ კეთილგანწყობა აღარ არსებობს.

კავკასიური ურთიერთობების მოსაგვარებლად თავისი პროგრამა და გეგმები აქვთ თურქებსაც, მაგრამ რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს: — რუსეთმა მთლიანად თავის თავზე აიღო კავკასიაში პრობლემების მოგვარება და მისი ასეთი სიჩქარე მაფიქრებინებს, რომ რუსეთისთვის ალბათ მიუღებელია კავკასიური პრობლემების მოგვარების თურქული ვერსია.

**— ბატონო რამაზ, თქვენთვის რამდენად არის მისაღები „კავკასიური სახლის“ შექმნის თურქული იდეა?**

— თურქეთს არ გაუშიფრავს ამ ვერსიის შინაარსი, ამიტომ ლაპარაკი იმაზე, მისაღებია თუ არა, ძნელია. რაც შეეხება თურქეთის სხვა ინიციატივებს, მაგალითად ყარაბაღის პრობლემის მოგვარების ინიციატივას, მე მაინც მგონია, რომ თურქეთის ასეთი გააქტიურება დასავლეთის დაკვეთით არის გამოწვეული და არა იმით, რომ თურქეთი ალიანსში შედის რუსეთთან.



**— რამდენად რეალურია ვარაუდი, რომ სომხეთის საერთაშორისო ენერგეტიკულ პროცესებში ჩართვით, შესაძლოა საქართველო კავკასიაში მიმდინარე პროცესების მიღმა აღმოჩნდეს?**

— საქართველო რომ პროცესებს მიღმა შეიძლება დარჩეს, ეს რეალურია. ისიც დასაშვები მგონია, რომ რუსეთი ეცადოს ენერგეტიკულ პროექტებში სომხეთის ჩართვით დასძრას ყარაბაღის პრობლემა და მეტნაკლენად მოირგოს მშვიდობის მანტია, რომელიც მას ნამდვილად სჭირდება აგვისტოს მოვლენების შემდეგ. ერთადერთი, მეეჭვება, რომ რუსეთმა ხელიდან გაუშვას კონფლიქტების წარმოშობისა და განვითარების შანსები. რუსეთი არ არის ის ქვეყანა, რომ ხელიდან გაუშვას რაიმე, ისეთი რამეც კი, რაც მას არ სჭირდება. შეიძლება დღეს არა, მაგრამ სამომავლო საჭიროებისათვის რუსეთი ყველაფერს საკუთარ ხელებში იტოვებს და როგორც წესი, რასაც ერთხელ ჩაბღუჯავს, იმას აღარც გაუშვებს.

**— რომელია ყველაზე ოპტიმალური გზა საქართველოსთვის, რათა მან მოახერხოს კავკასიაში დაკარგული ნდობის აღდგენა და ანგარიშგასაწევი ქვეყანა გახდეს?**

— ჩვენ, ჩვენი დესტაბილიზაციით მართლაც დავკარგეთ ნდობა კავკასიელებში და ნდობის აღდგენის ერთადერთი გზა სტაბილურობაა. სტაბილურობას კი სჭირდება ეკონომიკის განვითარება და სამშვიდობო პოლიტიკა ყველა მიმართულებით.



კავკასიაში არსებულ და მოსალოდნელ პროცესებთან დაკავშირებით საკმაოდ პესიმისტურია ექსპერტი გია ხუხაშვილიც:

— ძალიან დიდ ცვლილებებს უნდა ველოდოთ სამხრეთ კავკასიაში. სამწუხაროდ ჩვენ აგვისტოში დავუშვით ფატალური შეცდომები, რის შემდეგაც სამხრეთ კავკასიაში შეიძლება მოხდეს ისეთი გადანაწილება, რომ ჩვენ ყველაფრის მიღმა აღმოვჩნდეთ.

**— შეცდომები უკვე დაშვებულია, მაგრამ მათი გამოსწორების შანსი მაინც თუ დაგვრჩა?**

არ ვიცი, — მხრების აჩეჩვითა და თავის გაქნევით თქვა ბატონმა გიამ, — დიქტაფონს მოშორდა და თავისთვის ისეთი ფრაზა ჩაილაპარაკა, რომელიც ჩვენი ხელისუფლების წისქვილზე წყალს ნამდვილად არ უშვებდა.

**თამარ ბუზალაძე.**

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

ვახტანგის პასუხი ამ წერილზე პეტრეს მხოლოდ 19 სექტემბერს ეცნობა. ვახტანგი, სხვათა შორის, იუწყება, რომ „ადრიბეჟანის სპარსალარობა“ (მთავარსარდლობა) უბოძეს.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ვახტანგმა ლამის ერთდროულად მიიღო ორი მიწვევა, ლეკებზე გაელაშქრა: ერთი პეტრესაგან, მეორე – უკანასკნელ სეფიანთა მთავრობისაგან. ასე იყო თუ ისე, იგი განჯისაკენ დაიძრა, და შემდგომ მოვლენებს უნდა დალოდებოდა.

ამასობაში, სიძნელეებმა, კასპიის დასავლეთ სანაპიროზე მიმდინარე ოპერაციების დროს რომ წარმოიშვა, აგრეთვე სენატიდან მიღებულმა არასახარბიელო ცნობებმა აიძულეს პეტრე, გადაედო ლაშქრობა და ასტრახანს დაბრუნებულიყო. ეს მოხდა სექტემბრის დასაწყისში, მას მერე, რაც მიიღო ცნობა, რომ მრავალრიცხოვანი ქართველი და სომეხი მოლაშქრენი ვახტანგის წინამძღოლობით მტკვრის ნაპირზე არიან შეყრილნი, რუსეთის იმპერატორთან შეერთების მოლოდინში.

ამიერკავკასიას დიდი ხანია, არ ენახა ასეთი მრავალრიცხოვანი ქრისტიანული ლაშქარი. მაგრამ სასიხარულო იმედები დაამსხვრია პეტრეს გაბრუნებამ. თავდაპირველ სულიერ აღმავლობას მოჰყვა გულგატეხილობა, მოლაშქრენი აირივნენ, უდისციპლინო ბრბოს ამარა კი რას გახდებოდა.

გულდამძიმებულ განწყობილებას, რომლითაც ელოდნენ ქართველები პეტრეს მითითებებს შემდგომი მოძრაობის შესახებ, მოწმობს ვახტანგის წერილი თურქისტანიშვილისადმი: „ჩვენ ხომ აქ სარგარდანი შევიქენით. გამოვიდეთ მანდა, ვისთან გამოვიდეთ, და გავბრუნდეთ, როგორ გავბრუნდეთ: თქვენი ამბავი ვერა გაგვიგია, რა ქენით, რა, რა: შენც ხომ კარგად იცი ქართველი კაცი ამდენის ხნის ლაშქრობას ვერ გასძლებს. ნუღლი შემოაკლდების და შესწუხდებიან“. წერილის ბოლოს იგრძნობა გაღიზიანება, თუმცაღა, სავსებით გასაგები: „ამას ეცადეთ თქვენი ანბავი ერთი რომ გვაცოდინოთ, მართალი რომ შეგვატყობინეთ. ხელმწიფე წამობრძანდების. რა ასე ოხერივით ვყრივართ, რაც გვატყუე: ის გეყოფის, მართალი ამბავი მოგვწერეთ“.

თუმცა თავდაპირველი გეგმა – პეტრესთან შეერთებისა – ჩაიშალა, იმპერატორის ასტრახანს გაბრუნების გამო, ვახტანგი მაინც არ გრძნობდა თავს საბოლოოდ მიტოვებულად.

ამასთან, ახსნა-განმარტებისათვის პეტრემ გაგზავნა გვარდიის პორუჩიკი ი. ტოლსტოი. ჯერ ერთი, პეტრეს სურდა, რომ ვახტანგს გავლენა მოეხდინა შაჰზე იმავე თვალსაზრისით, როგორც ეს დავალებული ჰქონდა რუსეთის დიპლომატ წარმომადგენელს სპარსეთში (ე. ი. ჩაეგონებინა შაჰისათვის, – მიეღო მეამბოხეთა დახმარება და დაეთმო ამ დახმარების სანაცვლოდ კასპიისპირა პროვინციებიძ; შემდეგ, ვახტანგს აღუთქვამდნენ მთელ რიგ დაპირებებს; საგანგებოდ აფრთხილებდნენ, არ მიმხრობოდა თურქებს, რაც ქრისტიანისათვის საშიში ნაბიჯი იქნებოდა და ა.შ.

ვახტანგი დათანხმდა შაჰის შეგონებაზე, მაგრამ უკვე გვიან იყო: 1722 წლის 10 ოქტომბერს დაეცა ირანის დედაქალაქი, და შაჰჰუსეინი მირ-მაჰმუდის ხელში აღმოჩნდა. ყრმა თახმასპი, ჰუსეინის ვაჟი, რომელმაც მცირერიცხოვან რაზმთან ერთად უფრო ადრე გააღწია ალყაშემორტყმული ისპაანიდან ჩრდილოეთში, შაჰად გამოაცხადეს ყაზვინში, მერე კი თავრიზში დაიხია.

ვახტანგმა სეხნია ჩხეიძე აფრინა თახმასპთან, და ჭაბუკმა შაჰმა მეფეს და მის ვაჟს ბაქარს მდიდრული საჩუქრები გაუგზავნა; ბაქარი კიდევ უფრო ადრე დაინიშნა ყულარაღასად. ეტყობა, სპარსელებს კიდევ ჰქონდათ ქართველთა დახმარების იმედი.

საყურადღებოა შაჰის „ბრძანება“ **საქართველოს გამგებლის ჰუსეინ ყული-ხანისადმი** (ასე სურდათ, ეხილათ სპარსელებს ვახტანგი), რომელიც 1722 წლის ოქტომბერშია გამოცემული. ვახტანგს ეუწყა, რომ ავაზაკი მაჰმუდის რამდენიმე ამირა ჩავიდა ისპაანში და რომ იქაური საქმეები ძალიან აირდაირია. და ვინაიდან ასეთ ხარვეზს შეიძლება ძალზე ცუდი შედეგები მოჰყვეს, დაე ბაქარმა სასწრაფოდ შეკრიბოს გურჯების ლაშქარი, რამდენსაც შეძლებს, და უმალ დაიძრას. მსოფლიოს თავშესაფრის პარმაღისაკენ“. სასოწარკვეთილი მდგომარეობის მიუხედავად, ამ ადამიანებს არ ავიწყდებოდათ ფლიდური ფრაზეოლოგია! თუმცა-ღა, ეს ყველგან ასეა.

თახმასპის თხოვნას (თუ ბრძანებას!ძ ვახტანგმა უარით უპასუხა - ეს მისი მხრივ უცილობელი შეცდომა იყო, პეტრეს გაბრუნებისა გამო.

ამასობაში კახეთის მეფემ მაჰმად ყული-ხანმა (კონსტანტინე II-მა, ვახტანგის მეტოქემძ, შეძლო სათავისოდ გამოეყენებინა მისი პოლიტიკის ნაყოფი (კონსტანტინესთან შუღლი, რომელიც ვახტანგისთვის საბედისწეროდ დასრულდა, გაღვივდა ყაზახის მონაკვეთის გამო. ქართველები ყაზახის გამო ერთმანეთს რომ არ წაჰკიდებოდნენ, მაშინ რისი ქართველები იქნებოდნენ (თავის დროისაძ; მაგრამ ეს შინაომი ყველა მათგანისათვის ესოდენ სერიოზულ მომენტში ნათლად ცხადყოფს, რომ „დიდი“ პოლიტიკა მათ არ ხელეწიფებოდათძ. სპარსეთის თვალთახედვით, ვახტანგი იქცეოდა როგორც მეამბოხე. და კონსტანტინეს არ გასჭირვებია, მიეღო შაჰ-თამაზისაგან (თახმასპისაგანძ ნებართვა, ემოქმედა ვახტანგის, როგორც ურჩი ქვეშევრდომის წინააღმდეგ. სეხნია ჩხეიძე იუწყება, რომ ქართლი „წაერთვა“ ვახტანგს და ებოძა მაჰმად ყული-ხანს 1723 წლის 10 იანვარს. „ებოძა“ – ეს ნიშნავდა, რომ იგი ვიღაცას უნდა აეღო: და, რა თქმა უნდა, არა სპარსეთის ჯარით, არამედ ლეკების დახმარებით აიღო თბილისი, და აღთქმული პირობისამებრ, სამი დღით ძარცვაგლეჯისათვის მისცა. ვახტანგი ერთხანს ქართლში იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ, კონსტანტინემ რომ დაამარცხა, იძულებული შეიქნა, იმერეთში გადახვეწილიყო თუმცა, როგორც ქართული წყაროებიდან ჩანს, თბილისის ციტადელის ყიზილბაშურმა გარნიზონმა კახელების მხარე დაიჭირა. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ქართლელი თავადების ნაწილი, რომლებმაც გადამწყვეტ მომენტში მიატოვეს ვახტანგი, სპარსელთა მიერ იყო მოსყიდული. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება არსებობდეს იმდროინდელ ქართველთა სისუსტისა და დემორალიზაციის უფრო მკაფიო დადასტურება, ვიდრე ეს სანახაობა – მეფე, რომელიც ფართო პოლიტიკური გეგმებით არის აღსავსე, ფარხმალს ყრის სპარსული ოქროსა და დაქირავებული ლეკების იარაღის ერთობლივი ძალისხმევის წინაშე, – კახელთა „პატრიოტიზმი“, ბრმად რომ ემსახურებიან თავიანთი ვაიმეფის წვრილმან პატივმოყვარეობას.

ვახტანგის თავს დატრიალებული უბედურების ამბავი რომ შეიტყო, პეტრემ გადაწყვიტა მის დასახმარებლად გაეგზავნა ჯარების რაზმი, ბასკაკოვის სარდლობით. უკვე სალაშქრო თადარიგიც დაიჭირეს, მიიღეს რჩევა-დარიგება საქართველოში საომარი მოქმედების შესახებ – მაგრამ შემდეგ, ექსპედიცია გაუქმდა. ჯერ კიდევ 1723 წლის ნოემბერში ხელმწიფემ დამატებითი განკარგულებები გასცა ვახტანგის დახმარების თაობაზე, 1724 წლის გაზაფხულზე კი ბასკაკოვი უკვე რუსეთში იყო და სულ სხვა საქმე ჰქონდა დავალებული.

### IV.

იმისათვის, რომ გავიგოთ ეს შემობრუნება პეტრეს პოლიტიკაში საქართველოს მიმართ, უნდა გავიხსენოთ, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, სპარსეთის ლაშქრობის მთავარი მიზეზი იყო, დაესწროთ ოსმალებისათვის კასპიის ზღვის ნაპირებზე გასვლა და უვნებელ-ეყოთ მათგან საკუთარი თავი ამ მხრიდან.

თავის მხრივ, პორტა ყოველთვის იჩემებდა ერევანს, თავრიზს


З. АВАЛОВЪ
ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ
КЪ
РОССІИ
С.-ПЕТЕРБУРГЪ

და, საერთოდ, მზად იყო, ესარგებლა სპარსეთის უმწეო მდგომარეობით. ოსმალები რომ დაღესტნელებს მფარველობდნენ, ჩვენ ეს უკვე ვთქვით.

პეტრეს დაპყრობებისა და კასპიისპირა პროვინციებში განხორციელებული დესანტის პასუხად ოსმალებმა დაიწყეს მიწების მიტაცება ერევნიდან თავრიზამდე.

ვახტანგმა გადაბირების მიწვევა თურქებისაგან მთელი ამ არეულობის დასაწყისშივე მიიღო: პეტრემ ი. ტოლსტოის პირით შეუთვალა გაფრთხილება, თავი შეეკავებინა ოსმალოებთან კავშირისაგან, რადგან კარგად ხედავდა, როგორ ელაქუცებოდა არზრუმის ფაშა. ახლა, ქართლის მეფესა და კონსტანტინეს შორის ჩამოვარდნილი შუღლის დროს, ოსმალები ქართლში შევიდნენ, ვახტანგის თანხმობით, სულ ერთია, ნაიძულევი იყო ეს თანხმობა, თუ კეთილნებობითი. თანდათან მოედვნენ კახეთსაც, და 12 წელიწადს პარპაშებდნენ საქართველოში, სანამ ნადირ-შაჰის ცოცხმა არ გამოგავა იქიდან.

ოსმალები განაგრძობდნენ აღმოსავლეთით მოძრაობას და დროდადრო ეხებოდნენ რუსეთის სამფლობელოებსაც. ომი გარდაუვალი იყო, და მისთვის ორივე მხარე ემზადებოდა.

ოსმალეთის მხრივ ომის გამოცხადება არ მომხდარა, საფრანგეთის „კეთილი სამსახურის“ წყალობით. მეფის დესპანის მარკიზ დე-ბონაკის ძალისხმევით, მიღწეულ იქნა შეთანხმება წინასწარი პუნქტების თაობაზე (1723 წ.), მერე კი, **1724 წლის 12 ივნისს, კონსტანტინეპოლში დაიდო ტრაქტატი.** ამ ტრაქტატის მიზანი იყო გაემიჯნა რუსეთისა და ოსმალების სამფლობელოები სპარსეთში (ბუტკოვის „Матеріалы-ში ეს ტრაქტატი შეკვეცილი სახით არის მოყვანილი. სახელდობრ, რატომღაც გამოტოვებულია II პუნქტის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეხება: „რამდენადაც მთელი პროვინცია გეორგია მაღალი პორტას ძალაუფლების ქვეშ ჰრჩება, და იქ ყველგან იმყოფებიან გარნიზონები და კომენდანტები მაღალი პორტას მხარიდან, და უკეთუ საჭირო გახდება მრავალთა ლაშქართა გაგზავნა იქაურ მხარეში შფოთიანობის დასაცხრობად, სადაც არ უნდა გადადიოდნენ ჯარები მდინარე მტკვარზე, მათი გადასვლის დაწყებამდე, ეჭვების გასაფანტად, უნდა გააცნონ ამ მარშირების მიზეზები ხსენებული მეფის (ე.ი. მოსკოვისა) კომენდანტებს“ П.С.З.N4.531. შინაარსის ლათინურ თარგმანში კრუზინსკისთან ტრაქტატის დადგენილებებში საქართველოს შესახებ ნათქვამია: Quia vero Fulgida Porta est jam in actual atque pacifica possesione Georgiae. quam suis praesidiis et Gubernatoribus firmavit, si aligua disturbia ex parte Georgia-norum eo loci intereniant, plenum jus Fulgidae Portae afferitur, in Georgiam exigentia mittende, an tollendum omnem disordinem“.

Tragica vertentis belli Persici historia, § 697 sub II. პოლონელი მისიონერის ამ თხზულებაში ბევრი რამ დაწვრილებით არის ნაამბობი ვახტანგის ეპოქის საქართველოზეძ.



ჩვენ არ გვჭირდება არც ამ შესანიშნავი ტრაქტატის შემდგომი ისტორია და არც მისი შინაარსის დეტალები. ვიტყვით მხოლოდ, რომ 1724 წლის ტრაქტატით პეტრე სრულად აღიარებს საქართველოს დაკავებას ოსმალების მიერ, ოსმალთა სამფლობელოების საზღვარი გავლებულია მისი აღმოსავლეთით, ასე რომ fait accompli იღებს პეტრეს ოფიციალურ აღიარებას.

ახლა ნათელია, რატომ გაუქმდა ვახტანგის დასახმარებლად მომზადებული ექსპედიცია: ეს დახმარება არ ეთანადებოდა რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმების პირობებს – ხოლო, თავისთავად ცხადია, ოსმალეთთან საქმეების მოგვარება გაცილებით უფრო არსებითი იყო, ვიდრე ვახტანგის დახმარება, და რაკი ერთი არ ესატყვისებოდა მეორეს, ძნელი არ იყო იმის განჭვრეტა, ვისი აჯობებდა.

ჯერ კიდევ კონსტანტინესთან ბრძოლის დროს, ვახტანგი ბოლო წუთამდე რუსეთის დახმარების იმედად იყო. გრ.ტოლსტოის, ვოლინსკისა და თვით პეტრესადმი წერილებში იგი განმარტავს, რატომ დათანხმდა, დანებებოდა ოსმალებს. ვინაიდან ჩვენ არ შეგვეძლო გვეომა ასეთ მეზობლებთან და დიდ ხელმწიფეებთან, ამიტომაც ვუთხარით სულთანს: გნებდებით შენ, იმ იმედით, რომ სანამ კონსტანტინეპოლთან მოლაპარაკება გაიმართება, შეიძლება მათ (ე. ი. პეტრემძ ღირს-გვყონ და აქ ჩამობრძანდნენ. კონსტანტინეპოლთან მოლაპარაკება დიაღაც წარმოებდა, მაგრამ არ მოჰყოლია ის შედეგი, ვახტანგი რომ ელოდა.

ქართლსა და კახეთში ოსმალთა შესვლის შემდეგ ვახტანგის საქმე გათავებული იყო. ბევრი უძლიერესი თავადი კვლავ მისი ერთგული იყო და შემდეგ არაერთგზის მოუხმიათ რუსეთიდან, ტახტზე დაბრუნდიო, თან მხარდაჭერას აღუთქვამდნენ; მაგრამ გარემოებები სხვაგვარად ყალიბდებოდა. საქართველოში დიდი პოპულარობის მიუხედავად, ვახტანგი იქ აღარ დაბრუნებულა ერთ-ერთი ქართველი მაგნატი შოშიტა, რაჭის ერისთავი, 1724 წლის ნოემბერში იმპერატორს სწერს: „ქ(რისტე) უმრწემესი მონა ერისთავი შოშიტა, მოვახსენებ ცათა მობაძავს კარზე. ამას მოვახსენებ, ღმერთმან ასე მაგათს ურჩს გაუჭიროს საქმე, როგორც ყოველ საქართველოსა და საქართველოს კაცთ რჯულით და ქვეყნით ურჯულოთაგან ჩვენ საქმე გაგვიჭირდა. ერთი ქვეყნის მომვლელი რამ იყოს, ეს მეფე ვახტანგ იყო. ესეც დაგებარებინა და მანდ წამოვიდა და ასე დავრჩით“. Переписка, 173.

ზემოთ ნახსენები წერილის ბოლოს, 1723 წლის 10 მაისს რომ მიილო პეტრემ, ვახტანგი, თითქოს გული უგრძნობსო, დახმარების თხოვნის უნაყოფობას, სთხოვს, ასეთ შემთხვევაში, თუნდაც თავშესაფარს: „და თუ გაგვიყვანებენ მაგათთან, გვიმყოფებენ, კიდევ დიდი წყალობა იქნება“. „თუ, არა და მადლი ღმერთსა, რაცა გვჭირს, ყველა ჩვენის ცოდვით არის. ეგენიმც მრავალ ჟამ სუფევენ“.

ბეჭედზე, ვახტანგი რომ არტყამდა თავის სიგელებს, ტყუილად კი არ იყო ამოტვიფრული ასეთი სევდიანი წარწერა: მიწა ხარ და მიწად იქეც. უნდა ითმინო ვახტანგ მეფე.

იმავდროულად სწერდა ვოლინსკისა და ტოლსტოის. იმედის ნაპერწკალი ჯერ არ ჩანავლულიყო – იგი მოგვიანებით უნდა გაეღვივებინა ცნობას საქართველოში ექსპედიციის გამოგზავნის შესახებ – ხოლო ეს ექსპედიცია ნამდვილად რომ მზადდებოდა, ამის შესახებ უკვე ვთქვით. (იხ. ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის პ.ა. ტოლსტოის 1723 წლის 19 აპრილის წერილი თბილისის სომეხთა არქიეპისკოპოსისადმი: „...რამეთუ ჩვენ გვაქვს შეტყობინება, რომ ოსმალებმა... უკვე დაძრეს თავიანთი ჯარი ჟორჟიაში (საქართველოში და სპარსეთის სხვა ადგილებში შესაყვანად, და სწორედ ამიტომ მ.ი.უ.-მ გარკვეული რაოდენობა თავისის ჯარებისა გამოგზავნა ჟორჟიაში, ბატონიშვილის (ე.ი. ვახტანგის) და თქვენს დასაცავად“ etc. эзовь. Сношения Петра Великаго с армянскимь Народомь. N 222, გვ.345; შდრ. ib N 225). „ახლა თქვენის მოწყალებისაგან მოველით დიდმა ხელმწიფემ მოგვეხმაროს. აქამდი რომ **ფოცხვრის ჭანგისაგან** გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა **ბაბრის ჭანგში** არ შეგვაგდონ: თუ ამთონს ქრისტიანობას უპატრონებ რასმე – კარგია, თუ არა და ნება თქვენია“.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-209.

◎ გუშინდელი ფოსტიდან

# ნუგზარ წიკლაური და ძმანი მისნი პუშკინის წინაალმდეგ...

სიბრიყვესა და სირეგვნეს, ეტყობა, იმდენი სახე აქვს, რამდენი ბრიყვიცა და რეგვენიც დადის ამქვეყნად. რასაკვირველია, ყველა ქვეყანას თავისი ბრიყვი და რეგვენი ადამიანები ჰყავანან, მაგრამ ბოლო დროს მაინცდამაინც საქართველოში რომ მომრავლდნენ ბრიყვები და რეგვნები, ცხადი და აშკარაა...

სულელური აზრი ადვილი შესაძლებელია, რომ ჭკვიანსაც მოუვიდეს, მაგრამ ბრიყვისგან განსხვავებით, ჭკვიანი სულელურ აზრს უმალ ჩაახშობს, არ გაახმიანებს, ბრიყვი კი უმალვე ქვეყნის გასაგონად იყვირებს, მით უმეტეს, თუ იმ სულელური აზრით თავისი პატრონის მაამებლობა სურს, რომელი პატრონიც ხელქვეითებისაგან თავისი იმწუთიერი პოლიტიკის „იდეოლოგიურ უზრუნველყოფას“ ითხოვს.

როგორც ჩანს, სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოებისათვის არცთუ „არაცნობადი“ სახე, აწ უკვე პარლამენტარის ნანინანატრ სავარძელში მოკალათებული გამომცემელი ნუგზარ წიკლა-

## ჭირი დანახული ჯობს

ური, რომელიც ძლიერთა ამა ქვეყნისა წინაშე დასამსახურებლად მართლაც რომ ათასი ნემსის ყუნწში გაძვრა იმისათვის, რათა ბევრ თავის თანამოსაქმეს ბოლოსა და ბოლოს თავზე მოჰქცეოდა და აკი მოექცა კიდეც როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი.

ისე, არა მგონია, რომ ამერიკაში განათლებამიღებულმა პატრონმა მოუწონოს და კიდევ ერთი დასაწინაურებელი ქულა დაუწეროს ამ ნაირ-ნაირ იდეებმოწოლილ ხელქვეითს, რომელმაც ყოველგვარი რუსულის ამოძირკვა საქართველოში მაინცდამაინც აფრიკული წარმომავლობის ალექსანდრე პუშკინით დაიწყო, ვინც ყველა დროის უდიდეს პოეტად დაიმკვიდრა თავი და ვინც თურმე ამერიკის ახალი, ორმოცდამეოთხე, აფროამერიკელი წარმომავლობის პრეზიდენტის უსაყვარლესი პოეტი ყოფილა.



ჩანს, ეს ველარ გათვლა ამ ჩვენმა ყოვლის გამთვლელმა ნუგზარ წიკლაურმა, თორემ როგორ იტყოდა, როგორც პუშკინის სკვერს, ისე პუშკინის ქუჩას სახელი გადავარქვათო... და ამით რუსულ იმპერიულ სხეულს შავი ფრთები შევაკვეცოთო.

ნამდვილად სამარცხვინოა, რომ ტვინგახურებულ პარლამენტარს არც ვინმე დავით არაბიძე ჩამორჩა, განათლების მუშაკთა უფლებების დაცვის არამკითხე ხელმძღვანელი, რომელმაც ახალი იდეა წამოაყენა და თბილისში მოსკოვისა და პეტერბურგის პროსპექტებისთვის სახელების შეცვლა მოითხოვა.

ერთი სიტყვით, მაამებელთა კასტა არ ისვენებს და ყველანაირად ცდილობს, რომ ჩვენგან ისედაც „დამარცხებულ“ რუსეთს საქართველოში საბოლოოდ წაუშალოს სახე, რაც აგრერიგად ადვილი არ არის და კარგა გვარიანი სიბრიყვის მყრალი სუნი უდის.

თქვენი არ ვიცი, ჩემი ჭკუით კი, ხომ შეიძლება რომ წიკლაურები და არაბიძეები რუსეთშიც აღმოჩნდნენ, და თუ რამ იქ ქართულია, თვით რუსთაველის ძეგლის ჩათვლით, ყველაფრის აღება და მოსპობა მოითხოვონ?! მედვედევსა და პუტინს რა, სააკაშვილზე ნაკლები კუდის მაქიცინებლები ჰყავანან?! არადა, ნუ დაგვავიწყდება, რომ როგორც სააკაშვილისა არ არის საქართველო, ისე არც რუსეთია მედვედევისა და პუტინისა. საქართველო და რუსეთი მუდამ იყვნენ და მუდამ იქნებიან... მარტო დღევანდელი დღით ცხოვრება დიდი სიბრიყვეა.

რაც შეეხება სიბრიყვესა და ბრიყვ ადამიანებს, ისევ პუშკინს მოვიშველიებ, რომელსაც თავის ერთ-ერთ დღიურში ასეთი რამ უწერია: დიდი თანამდებობის ბრიყვი ადამიანი იმ კაცსა ჰგავს, რომელიც მთის წვერზე ზის და ძირს ყველა და ყველაფერი პატარა ეჩვენება, ხოლო ქვევით მყოფნი თვითონ იმას ზუსტად ისეთ პატარას ხედავენ, როგორიც ის სინამდვილეშია...

**ქართლოს რუსიშვილი,**
რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
ქ.თბილისი.

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

**საქართველოში პარტიების ცვენაა. ათასმეერთე თუ ათასმეცხრე პარტია პოლიტიკაში მარადთოვლიანი მწვერვალებიდან ჩამოსულმა კაცმა დააფუძნა. მართალია, პრეზიდენტს ევერესტი ვერ დაალაშქვრინა და დაპირება დაპირებად დარჩა, მაგრამ იქნება თუ არა პარტიის ლიდერობა გია თორთლაძისთვის ევერესტი პოლიტიკაში, ამას უახლოეს ხანში გავიგებთ.**

ერთი რამ კი ცხადია: არა მგონია, პარტიების სენით შეპყრობილ საქართველოში კიდევ ერთი ახალი პარტიის დაფუძნება მომგებიანი სვლა იყოს. პირიქით — გაღიზიანებასაც კი იწვევს. მივბაძოთ და ჩავწვდეთ ამერიკის სულსო, გავიძახით, რატომღა გვავიწყდება, რომ იქ, საქართველოზე ბევრად დიდ ქვეყანაში, მხოლოდ ორი პარტიაა, ჩვენთან კი... ვინ დათვლის?

ურიგო არ არის, ხალხზე ზრუნვაც მშვენიერი რამ არის პოლიტიკოსისთვის, მაგრამ განა ამ მიზნით უამრავი პარტია არ შეიქმნა, რომ არაფერი ვთქვათ, ხალხის პარტიაზე? ამიტომაც ძალზე ზოგადი და ხელოვნურია ამ ახალგამომცხვარი პარტიის ლიდერების განცხადება, ხალხის რეალური მმართველობის დაფუძნებას ვაპირებთო.

ცხადია, უსაფუძვლო არ არის მათი ოპონენტების შეფასება, რომ საქართველოში მკვდარი პარტიების რეანიმაცია ხდება, ამას მოწმობს თუნდაც შუალედური არჩევნებით პარლამენტში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიდან ერთი კაცის შეთრევაო. ამ ე. წ. რეანიმაციას კი, ბუნებრივია, თავისი მიზანი აქვს — ოპოზიციურობის სახელს ამოფარებული პარტიების მომრავლება, რათა ნამდვილი ოპოზიცია მის ფონზე დაიჩრდილოს და

# ევერესტი თუ ამბიციათა მარათონი?..





ესეც ჩვენი უბედურებაა და რაც გვჭირს ხომ ისიც საკუთარი ბედოვლათობითა და პირადი ამბიციით. წარმოიდგინეთ, რა განცდაა, როცა ვიღაცას ეზედმეტები. ვფიქრობ, ეს მშვენივრად უწყის ორმა გიამ — ცაგარეიშვილმა და თორთლაძემ, მით უფრო, რომ ისინი საზოგადოებრიობის დიდ ნაწილს კარგა ხანია ეზედმეტება, როცა საერთო-სახალხო მოძრაობიდან პარლამენტში ისკუპეს და ჯონდის დაუმშვენეს გვერდი. ახლა პარლამენტის რბილ და თბილ სავარძელში მოკალათებულ ამ ორ თანამოაზრეს თურმე ოპოზიციური პარტიის ლიდერობაზეც გასჩენია პრეტენზია. მართლაც, რომ დიდებულია! თანაც, პარტიის წევრები ცნობილი პიროვნებანი არ იქნებიანო, მოგვახსენეს (ალბათ, იმიტომ, რომ თავმჯდომარე და გენერალური მდივანი არ დაიჩრდილონ. მათზე კარგს, საკუთარი რიგებში, აბა როგორ აიტანენძ. ერთადერთი, ვისი გვარიც ტელევიზიით გახმიანდა, ბატონი შოთა ნადირაშვილია, რომელიც თურმე საზოგადოებრივ დარბაზს უხელმძღვანელებს. საინტერესოა, მათ „დარბაზში“ „ქართული აკადემიიდან“ სხვა ცნობილი სახეებიც თუ გადაინაცვლებს, ანდა, ახლახან ომბუდსმენის ოფისში დაფუძნებული ახალი მოძრაობიდან თუ ვიხილავთ ვინმეს მათ პარტიაში?

ბუნებრივია, დარბაზის იდეა არ მომძლავრდეს. ამის მშვენიერი მაგალითი იყო მაისის საპარლამენტო არჩევნები და „იმედის“ ჟურნალისტთა პოლიტიკაში გადასროლა, რის შედეგადაც ქრისტიან-დემოკრატებმა და ჯონდის მსგავსმა თითო-ოროლა ვითომ პოლიტიკოსმა ე. წ. ოპოზიცია ჩამოაყალიბა.

ეს „მარათონი“ წარმატებით გრძელდება. ვინ დაუჯერებს გია თორთლაძის დემოკრატიას, ამას მომავალი დაგვანახებს, თუმცა, ხალხის მოტყუება ასე ადვილი არ არის. ხალხის სახელით შეიძლება პარტია შექმნა, პიარიც გაიკეთო, მაგრამ ხალხს თვალებს ვერავინ აუხამს, თუნდაც დიდ ილიელად ანდა კანუდოსელად მოევლინოს მას.

ისე, ამ ილიელობაზე ჩვენი დიდი „წინასწარმეტყველის“ ლელა კაკულიას სიტყვები გამახსენდა — ვხედავ, გიორგი ბრწყინვალე მოდისო. იქნებ „პადოშას“ პარტიიდან იშვას ჩვენი დიდი მეფის დარი ერის წინამძღვარი და საქართველო ჭეშმარიტად გააბრწყინოს?

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ წკეპლიკა

# ურუსეთოდ არ იქნება...

**მისტერ ტვისტერივით მოგზაურობის მოყვარულმა ჩვენმა მიშტერ პრეზიდენტმა ნაგვისტოვზე ერთხანს ითმინა, მაგრამ მერე, ევგენი ონეგინისა არ იყოს, კვლავ „Им овладело беспокоитво, охота к перемене мест...“ ჰოდა, იახლა კაი მოზრდილი ამალა, გაშალა სავოიაჟე ფრთები და შემოიფრინა შვედეთი-ნორვეგია-ლატვია-ლიტვა.**

მამა-ზეციერო, მომასწარი იმის გაგებას, რა ჯდება საშუალოდ ამდენკაციანი ასეთი გაფრენ-გამოფრენა, ვის უჯდება და საპირწონედ რას გამოდნება. რაო, მეგობარი ქვეყნები მხარდაჭერას გვიცხადებენ? ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ? საზღვარგარეთის მხრივ საქართველოს თანადგომა ფეხებზე არ კიდია დიდ რუსეთს? იმ უცხოეთს ნიკარაგუა და კუბაც რომ მიემატოს, ზედაც სომხეთი, ამით წაუხდება და შეეცვლება ნირი?

განა გასაკვირი არ არის, ამ „მივლინების“ დროსაც, შვედეთში იყო თუ ლატვიაში, ანდა იქაც და იქაც, ეს იხტიბარგაუტეხავი და ზეჯიუტი ჩვენი ლიდერი რომ ამტკიცებდა — რუსეთთან ომში გავიმარჯვეთო? რა ვქნა ახლა, დედაკაცივით მივაწყევლო, ასე გამარჯვებული გატარ-გაფრინოს ღმერთმა-მეთქი? შეცდომებიდან დასკვნების გამოტანა ველარ უნდა ვისწავლოთ? იმდენს მაინც ნუღარ გავაღიზიანებთ საქართველოზე კბილებალესილ მედვედევ-პუტინის ტანდემს, თორემ დაჰკრავენ ტანკებს და ახლა უკვე თბილისზე გამოილაშქრებენ. ემანდ გამდლიწყაროს გადასახვევთან არ შევაჩეროთ, ან ნატახტართან მაინც... ემანდ ხელახლა არ გვიშველონ სარკოზიმ, მერკელმა, გინდა აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა...

რუსეთს მივხედოთ, რაჟა ბიძიკო, რუსეთს!... თუ მოსკოვში ჯერ არ გვიახლებენ, სადმე, „ნეიტრალურ მოედანზე“ ვეახლოთ, შემორიგებას ვეცადოთ... ურუსეთოდ არ იქნება „კოკოითი-ბაღაფშის დაჭერა“... ჩემი ჭკუის საკითხავი ან დასარიგებელი რა და რატომ უნდა გჭირდეს, მსოფლიოში სახელგანთქმულ პოლიტიკოსსა და დიპლომატს ნეტავი?..

# წინასწარმეტყველებას — გზა ფართო...

**კაცმა რომ თქვას, ამ ქართველ წინასწარმეტყველ ქალბატონს ფართო გზა უკვე მიცემული აქვს საკუთარი ყოველთვიური გაზეთისა თუ ხშირ-ხშირი ტელერეკლამის სახით; და ამ გზაზე ისეთ და იმდენ სახარბიელო პროგნოზს მოდენის, ვიწრო გზით ნადვილად რომ ვერ გამოეტევა...**

ესაო და საქართველო-რუსეთის საზღვარი მალე ფსოუზე გავაო; რუსეთს სულ მალე მოეხაზებაო (ხსენებული საზღვრითაც!ძ; 24-ე საუკუნეში ვხედავ აყვავებულ საქართველოს 30 მილიონი ქართველითო და კიდევ რაგინდარა.

გაგიხარიათ, ეს ყველაფერი საამო წასაკითხ-მოსასმენი იყოს, „მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი მოუგზავნია ჯოჯოხეთს“: მაგ კაი დედმამიშვილსა და მაგ დალოცვილს სამი საუკუნის შემდეგ თუ შეუძლია გახედვა, 4 აგვისტოს „გაეხედა“ რიკოთს იქით და სამი დღით ადრე საქართველოს ასაოხრებლად დაძრული რუსეთი დაენახა ამდენი და ამდენი ოკუპანტით, ტანკითა თუ თვითმფრინავით... ხომ აგვაშორებდა ამხელა უბედურებასა თუ ტრაგედიას.

...„შარლატანი“ ფრანგული სიტყვა ყოფილა და „მატყუარას“, „თაღლითს“ ნიშნავს...

ამ თხოვნამ ეგებ დააგვიანა, მაინც მოგმართავ, ძვირფასო ლელა: გვაბოლე, ოღონდ მაგრად კი არა, ცოტათი ნელა...

**ლუკა გორგაძე**

⦿ პური ჩვენი არსობისა

***რატომ არ იაფდება პური? ახლა ეს კითხვა ისეთ „პურის მჭამელ ქვეყანაში", როგორიც საქართველოა, ბუნებრივია, ბევრს აწუხებს. განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც გაუსაძლისი გაჭირვების გამო თონიდან ამოხდილი ცხელი ლავაში თითქმის ერთადერთ საკვებად გაუხდია. თანაც, თუ ეს ლავაში დიეტაზე მყოფი ქალბატონივით წონაში ყოველდღიურად იკლებს და მომხმარებელს აიძულებს ერთის მაგივრად ორი მიირთვას?..***

# რატომ არ იაფდება პური?



## ბურუსით მოცული ბიზნესი

უფრო საოცარი კი ის გახლავთ, რომ წონაში კლების პროპორციულად პური ფასსაც იმატებს და სულაც არ ენაღვლება მისი სიმსუბუქე და იმავდროულად ფასების სიმძიმე მომხმარებლის გახვრეტილ ჯიბეს რამდენად აწვება. რა დასამალია, ბოლო პერიოდში, მზარდი ინფლაციის ფონზე (რასაც ხელისუფლება საგულდაგულოდ მალავს), პურის ფასებიც შესამჩნევად გაიზარდა. ამ ერთი წლის წინათ თუ ნახევარი კილოგრამი პური 50 თეთრი ღირდა, დღეს იმავე ხარისხისა და წონის პურის ფასმა 60-70 თეთრს და მეტსაც მიაღწია.

თუ მაგარი ბიჭი ხარ, თანაც უმუშევარი ან პენსიონერი, აბა მიდი და გაუძელი ფასების ასეთ შემოტევას. უნდა გაუძლო, აბა როგორ, დემოკრატია თუ გინდა, შე მამაცხონებულო, ცხოვრებისეულ სიძნელეებს რატომღა გაურბიხარ? არც უნდა დაიწუწუნო, თორემ მაშინვე მოგახლიან: ყველაფერი ძვირდება და ჩვენთან როგორღა გაიაფდება (!).

არადა, რეალობა სულ სხვას გვეუბნება: ბოლო პერიოდში საერთაშორისო ბაზარზე ერთი ტონა ხორბლის ფასი საშუალოდ 380-280 დოლარამდე, ანუ 100 დოლარით შემცირდა. შესაბამისად ფქვილის ფასმაც დაიკლო. თუ აგვისტოში 1 ტომარა ფქვილი 50 ლარი ღირდა, ახლა მას 38-40 ლარადაც შეიძენთ. ამის მიუხედავად, მაღაზიებში პურს არც ფერი შეუცვლია, არც გემო, წარმოიდგინეთ, არც ფასი.

რა ხდება?

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებით, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ჩვენთან ბაზარი ლიბერალური ეკონომიკის პრინციპით მუშაობს და ბუნებრივია ფასებს თავადვე არეგულირებს. პურის ფასი პირველ რიგში ხორბლის ფასზეა დამოკიდებული, შემდეგ ენერგომემცველების, წყლის და სხვა კომპონენტების ღირებულებაზე. თუ ხორბლის ფასის კლების ტენდენცია შენარჩუნდა, ფქვილი კიდევ უფრო გაიაფდება და შესაბამისად დაიკლებს პურფუნთუშეულის ნაწარმიც, მაგრამ ეს ყველაფერი ერთბაშად არ მოხდება.

ასეა, **საქართველოს ეკონომიკა, რომელიც ნამეტანი ლიბერალურია, სხვებისგან სრულიად განსხვავებული პრინციპით მუშაობს. ის ზედმეტად მგრძნობიარეა ფასების ზრდის მიმართ და ასევე ზედმეტად უგრძნობი — ფასების კლებისას. ეტყობა, ამ თავისებურებით უნდა ავხსნათ ის ძნელად ასახსნელი ფაქტი, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტები 50-60 პროცენტით გაიაფდა, საქართველოში კი მხოლოდ 5-10 პროცენტით. ერთმა ტომარა ფქვილმა 10-12 ლარი მოიკლო, მაღაზიებში კი პურის ფასი უცვლელი დარჩა!**

რატომ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენში, სოფლის მეურნეობის მესვეურთა აზრი რომ მოვიშველიოთ, „ყველაფერი ერთბაშად არ ხდება". ჰა და ჰა, ფასებმა კიდევ შეიძლება აიწიოს ერთბაშად, მაგრამ მათი „ჩამოქვეითება" ძალიან გაძნელდება, რადგან ლიბერალური ეკონომიკა უბრალოდ ამის შესაძლებლობას არ იძლევა. თავად განსაჯეთ, მაღაზიის მეპატრონე, რომელსაც კანონი არ ზღუდავს ამა თუ იმ საქონლის ფასის განსაზღვრაში, თავს რატომ დაიზარალებს და პურს, რომლის საბითუმო ფასმა 7-8 თეთრი დაიკლო (ამას აცხადებს „საქართველოს ხორბლის ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორი ლევან სილაგავაძ გუშინდელთან შედარებით დღეს უფრო იაფად გაყიდოს?

არა და არა, მომატებით, კი ბატონო, ფასს კიდევაც მოუმატებს, მაგრამ დაკლებით, ნურას უკაცრავად!

— ბატონო ზურაბ, — ვეუბნები ერთი ცნობილი პურის საწარმოს თავკაცს (სახელი პირობითია, რადგან ვინაობის გამხელა არ ისურვა), — მართალია, რომ პურის საბითუმო ფასმა მნიშვნელოვნად დაიკლო?

— მნიშვნელოვნად არა, მაგრამ ჩვენ მაღაზიებს უკვე პურს 3-5 თეთრის ფასდაკლებით ვაძლევთ.

— რატომ მეტს არ დააკლებთ, ტომარა ფქვილი ხომ 10-12 ლარით გაიაფდა?

— მართალია, მაგრამ სამაგიეროდ გაზი გაძვირდა. „ყაზტრანსგაზმა" მისი ღირებულება აგვისტოში 51 თეთრიდან 69 თეთრამდე ისე გაზარდა, რომ მომხმარებლებს არაფერი გვკითხა. ახლა ფასი 59 თეთრამდე შეამცირა, მაგრამ ის ძველთან შედარებით მაინც მთელი 8 თეთრით მეტია. გაზს კი, მოგეხსენებათ, პურის თვითღირებულებაში 10 პროცენტი უკავია.

— და მაინც, თუკი პურის ფასმა რაღაც თეთრები მაინც დაიკლო, ეს მომხმარებელსაც ხომ უნდა ეგრძნო?

— ეგ უკვე სავაჭრო ობიექტების მეპატრონეებს უნდა ჰკითხოთ. ადრე მაგათ, როცა ეგრეთ წოდებული „სავაჭრო დათმობის" წესი მოქმედებდა, პურის ფასზე 5 თეთრის წარმატების უფლება ეძლეოდა. ახლა ლიბერალიზაციის მოტივით თავი აიშვეს და ვისაც როგორ მოეპრიანება, პურს იმ ფასად ჰყიდის.

— მერე, მეწარმეები ხმას რატომ არ ამოიღებთ?

— აბა ამოიღე, შენს პურს ყველა კარს მოუხურავს და მშიერს დაგტოვებენ.

— მაგიტომ მალავთ ვინაობას?

— რა თქმა უნდა, ბანკროტობა აბა რომელ მეწარმეს ეხალისება? ამას სხვა ბნელეთით მოცული მომენტებიც ემატება. მაღაზიები უფრო იაფფასიან პურს ეტანებიან (ცოტას გაყიდიან და ბევრს მოიგებენ). მსხვილი საწარმოების პროდუქციას კი, რომელიც გაცილებით ხარისხიანი და შესაბამისად ძვირიც არის, გაურბიან. სად არის ჯანსაღი კონკურენცია, რაზეც ჩვენი ხელისუფლება ასე ხშირად ლაპარაკობს. მეფქვილეებიც ტყუპი ძმებივით ჰგვანან ერთმანეთს — ერთი ნიხრი აქვთ დაწესებული და იმაზე იაფად გრამს არავინ მოგყიდის. არ მესმის, ამას ეძახიან გამჭვირვალობას?

**ძნელია არ დაეთანხმო მეწარმის აზრს — დღეს პურის ბიზნესი (და არა მარტო პურის ბიზნესი) საქართველოში ისეთივე ბურუსით არის მოცული, როგორც თავად ხელისუფლების ქმედებანი. თუმცა ამის გამხელა ხელისუფლებას ყელში ფხასავით გაჩხერია, ერთთავად ისეთი გამჭვირვალობის თხზვაშია, რომელშიც საკუთარი თავის გამოცნობაც გასჭირვებია. ერთადერთი, ვინც ამ ვირტუალური გამჭვირვალობის ტვირთს წელში ოთხად მოუხრია, ხალხია.**

**ხალხი, რომელიც რუსული აგრესიით მიყენებულ ჭრილობებთან ერთად საკუთარი ხელისუფლების უგერგილობისა და უსულგულობის ნაყოფსაც იმკის.**

**ოთარ ხუციშვილი**

⦿ ინფორმაცია

### ევროკავშირი რუსეთთან მოლაპარაკებას აღადგენს

**ევროკომისია რუსეთთან პარტნიორობის შესახებ მოლაპარაკებების განახლებას მხარს უჭერს.**

**საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო შეჩერებული მოლაპარაკებების აღდგენის შესახებ ინფორმაციას, ევროკომისიის მოხსენებაზე დაყრდნობით, გაზეთი „ფრანკფურტერ ალგენმაინე" ავრცელებს.**

**მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების განახლება ევროკავშირს საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებას მისცემს. ევროკომისიის რეკომენდაციას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ.**

**ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე შვედეთმა, დანიამ, დიდმა ბრიტანეთმა, პოლონეთმა და ბალტიის ქვეყნებმა უარი თქვეს რუსეთთან მოლაპარაკებების განახლებაზე, ვიდრე რუსეთი ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებს და აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჯარებს არ გაიყვანს.**

### გალელები საცხოვრებელ ადგილებს ტოვებენ

**გალის რაიონში ვითარება უკიდურესად რთულია. დაბალი ზონის სოფლებიდან ქართულმა მოსახლეობამ ზუგდიდის რაიონში გადასვლა დაიწყო. საკუთარი საცხოვრებელი სახლების დატოვება მოსახლეობამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სოფლებში რუსმა ოკუპანტებმა და აფხაზმა ბოევიკებმა ერთობლივი რეიდები გააძლიერეს და ათზე მეტი ქართველი ცრუ ბრალდებით დააკავეს. გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მკვიდრი 40 ოჯახიდან სოფელი 10-მა უკვე დატოვა.**

**აღსანიშნავია, რომ ბოლო კვირის განმავლობაში გალის და გუდაუთის მიმართულებით 14 ქართველი გადაიყვანეს, მათგან ათი 23 წლამდე ასაკისაა. დანაღმულია ზუგდიდისა და გალის ადმინისტრაციული საზღვრის ის ტერიტორია, რომელსაც აფხაზური მხარე აკონტროლებს.**

ინტერპრესნიუსი და ჴი-ეიჩ-ენი

⦿ ინფორმაცია

### პრეზიდენტს მასწავლებლები ახლა გაახსენდა

**მიმდინარე სასწავლო წელს 500 პედაგოგი 8 თვის განმავლობაში პრეზიდენტის 200-ლარიან სტიპენდიას მიიღებს.**

**როგორც განათლების სამინისტროდან იტყობინებიან, სტიპენდიის დაწესების მიზანი მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციაა. საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლას აქვს უფლება წარადგინოს კანდიდატი სტიპენდიაზე და მიიღოს მონაწილეობა სტიპენდიანტთა გამოვლენაში.**

**განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, შერჩევის პროცესში არჩევანი გაკეთდება იმ პედაგოგებზე, რომლებიც პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში სარგებლობენ მაღალი ავტორიტეტით. ყველა სკოლა უფლებამოსილია შეიმუშაოს დამატებითი კრიტერიუმები საკუთარი კანდიდატის გამოსავლენად და მხარდასაჭერად.**

### თორთლაძემ და ცაგარეიშვილმა მიტინგს ზურგი აქციეს

**როგორც გუშინ სამების საკათედრო ტაძართან გამართული აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გია ცაგარეიშვილმა განაცხადა, ოპოზიციის მიერ პარლამენტის წინ დაგეგმილ მიტინგზე მისვლას თანაგუნდელებთან ერთად არ აპირებს, ვინაიდან ეს აქცია მათი დაგეგმილი არ არის. გია ცაგარეიშვილმა, გია თორთლაძემ და აკაკი ფანჩულიძემ აქცია სამების ტაძართან 7 ნოემბრის მოვლენებს მიუძღვნეს.**

**ცაგარეიშვილის თქმით, აქციები ყველა იმ ადგილას იმართება, სადაც 7 ნოემბრის მოვლენები ვითარდებოდა. აქედან გამომდინარე ცაგარეიშვილმა და თორთლაძემ აქციის გამართვა სამების საკათედრო ტაძართან გადაწყვიტეს, ვინაიდან ერთი წლის წინათ ტაძარმა მიტინგზე დარბეული არაერთი ადამიანი შეიფარა.**

**აქციაზე თორთლაძემ, ცაგარეიშვილმა და ფანჩულიძემ განაცხადეს, რომ აუცილებელია საზოგადოების გაერთიანება, საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.**

**აქციის დასრულების შემდეგ ორგანიზატორები სამების საკათედრო ტაძარში შევიდნენ, სადაც ქვეყნის კეთილდღეობისთვის ილოცეს.**

ინტერპრესნიუსი და ჴი-ეიჩ-ენი

⦿ ბანკი

# დასაქმებულთა რიცხვი იზრდება

**ოქტომბერში „პროკრედიტ ბანკში" ყოველდღიურად 1000 ახალი ანგარიში იხსნებოდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია. ბანკის მიმართ ნდობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც აგვისტოს მოვლენების დროს ყველა მსურველმა შეუფერხებლად და შეუზღუდავად შეძლო ბანკიდან თანხების გატანა.** მაგრამ ამას, თანხების გატანას, ბანკის მუშაობაზე უარყოფითად არ უმოქმედია. 2008 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მისმა წმინდა მოგებამ 6,7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საერთოდ კი მიმდინარე წლის მესამე კვარტლის ბოლოსათვის ბანკის მიერ მოზიდულმა კლიენტთა მთლიანმა სახსრებმა 191 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 18 მილიონი აშშ დოლარით მეტია წლის დასაწყისისათვის არსებულ მონაცემებზე.

მიმდინარე წლის განვლილი ათი თვის განმავლობაში ბანკმა საქართველოში თერთმეტი ახალი ფილიალი გახსნა, წლის ბოლომდე კი კიდევ ექვსს გახსნის. იზრდება ბანკში დასაქმებულთა რაოდენობაც — წლეულს მან 500-ზე მეტი თანამშრომელი აიყვანა. საერთოდ კი უკვე 1800 თანამშრომელი ჰყავს.




ბანკმა აგვისტოს ბოლოს წამოიწყო პროექტი, რომელიც მიზნად კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარებას ისახავს, რისთვისაც, მან 300 000 ლარი გაიღო.

**ლალი ქინქლაძე**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №134

# ქართული თემა ლონდონის სამეფო აკადემიაში

*„საქართველო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის „ენის, ლოგიკის და მეტყველების ცენტრი“, დოქტორ გია კვაშილავას“*

**მიწვევა ლონდონში, საერთაშორისო კონფერენციაზე, 2008 წლის 28 აგვისტოთია დათარიღებული, საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოსთვის კრიტიკულ პერიოდში, როცა მთელი მსოფლიოს მზერა კავკასიისკენ იყო მიმართული, ქართული მეცნიერული აზრის შეფასება და ევროპის სამეცნიერო ცენტრში მტკიცება იმისა, რომ „ქართული ენა და სახელმწიფოებრიობა ოთხი ათასი წლისაა“ ან საუბარი პროქართული ძიებისა თუ კოლხურ ოქრომდამწერლობაზე ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი გზავნილი გახლდათ.**




„ძვირფასო დოქტორო, შემიძლია გაცნობოთ, რომ თქვენი შრომა არის ბრწყინვალე. დიდად მოხარული ვიქნებით, თუ ჩამობრძანდებით ლონდონში და მოხსენებას წაიკითხავთ“.

მარკ მერნი, ჟურნალ „Minerva“-ს რედაქტორი, კონფერენციის ორგანიზატორი.

* * *

საერთაშორისო კონფერენცია, კუნძულ კრეტაზე ე. წ.ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავს მიეძღვნა და ლონდონის ცენტრში, ბერლინგტონის სახლში არსებულ ხელოვნების სამეფო აკადემიის ანტიკვარიის საზოგადოებაში 27-დან 31 ოქტომბრამდე გაიმართა. ინგლისელ, იტალიელ, გერმანელ, ამერიკელ და ბერძენ ცნობილ მეცნიერთა შორის თბილისიდან ბატონი **გია კვაშილავა** გახლდათ მიწვეული. ორი დღის მანძილზე თორმეტი მოხსენება იქნა წაკითხული: ფესტოსის დისკოს ირგვლივ მრავალი მტკიცებულება და ჰიპოთეზა გამოითქვა. შეჯამდა ყველა ის მეცნიერული აზრი, რაც 1908 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საბერძნეთში, კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში დისკოს აღმოჩენიდან დღემდე ჩამოყალიბდა. კონფერენციის ორგანიზება უპირველესად მეცნიერულ განსწავლულობას და ზუსტ ორიენტაციას მოითხოვდა, რაც სიღრმისეულად, მაღალ დონეზე განახორციელეს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის **„Minerva“-ს** დამფუძნებელმა **ჯერომ ჰაიზენბერგმა** და რედაქტორმა, **მარკ მერნმა.**

ჟურნალის უკანასკნელ ნომერში მოცემულია ცნობები ოთხმოც განსაკუთრებულად ღირებულ ნაშრომთა ავტორების შესახებ, რომლებიც 100 წლის მანძილზე იკვლევდნენ ფესტოსის დისკოს. ამ გამოჩენილ მეცნიერთა ნაწილი უკვე გარდაცვლილია, მაგრამ მათი ღვაწლი სათანადოდაა აღნიშნული და დაფასებული.

მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა თავყრილობა, რომელიც ნისლიანი ლონდონის ცენტრში წარიმართა, მხოლოდ ამინდის თვალსაზრისით ჩანდა სტაბილური და ერთფეროვანი. კონფერენცია დისკუსიების და ახალი ვერსიების ფონზე წარიმართა, ხოლო თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლის თითქმის ათას ხუთას წყაროზე დაყრდნობილი დამარწმუნებლობა და მკაცრი ლაკონურობა ოპონირების საშუალებას არ იძლეოდა და თვით ბერძნებმაც, რომლებიც ფესტოსის დისკოს საკუთარ ეროვნულ საგანძურად თვლიან, ამერიკელ თუ ინგლისელ სწავლულთა საგულისხმო შეფასებების მიუხედავად, დუმილი არჩიეს.

ქართველი მეცნიერის თემის სათაური **„ფესტოსის დისკო – კოლხური (პროქართული) ოქროდამწერლობის გაშიფვრის შესახებ“** კვლევის შესაძლო შედეგებს გულისხმობდა.

ბატონი გია კვაშილავა ორი დღეა, რაც სამშობლოში დაბრუნდა. ჩვენ მას ინტერვიუს ნაცვლად ლონდონში წაკითხული მოხსენების გაცნობა ვთხოვეთ, რომელშიც სამი ძირითადი ცნობაა მოცემული:

*1. ფესტოსის დისკოს მბეჭდავები იყვნენ ქურუმები, რომლებსაც კორიბანტები ერქვათ და რომლებიც დასავლეთ საქართველოდან იყვნენ ჩასულნი.*

*2. ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, კირბები არის ფირფიტები, რომელსაც გამოიყენებდნენ კოლხები. ეს არის თიხაზე ბეჭდვის განსაკუთრებული მეთოდი (ოქროს დამწერლობა).*

*3. კოლხური ენის განმარტება. დაუყოფად ქართველურ ენებს ქართულ და მეგრულ-ლაზურს ვუწოდეთ კოლხური – პროტოქართული.*

* * *

გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ლონდონში, ბერლინგტონის სახლში, ხელოვნების სამეფო აკადემიაში წაკითხული მოხსენებიდან, რომელსაც მსოფლიოს მეცნიერული ელიტა განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა.

*პროფ. პ. ინგოროყვა (1939, გვ. 169-170) და აკად. შ. ნუცუბიძე (1983, გვ. 99) გამოთქვამდნენ მოსაზრებებს, რომ ხარაქს პერგამონელის ტერმინი „ხრისოგრაფია“ ნიშნავს ოქროს მეშვეობით დაწერას და იგი იყო წერის განსაკუთრებული და სპეციფიკური ხელოვნება, რომელიც კოლხეთში გამოიყენებოდა. მათი აზრით, მისი შესრულების წესები აღწერილი იყო ვერძის ტყავზე და არგონავტებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი კოლხური ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურეს საბერძნეთიდან კოლხეთში (...).*

*მეგრულ-ლაზური შედის ქართველურ ენათა ჯგუფში. ამ ენაზე ამჟამად მეტყველებს ხალხი, რომელიც სახლობს სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვის სანაპიროს აღმოსავლეთ ნაწილში: დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონში და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, ლაზეთში, მეგრელები თავიანთ ენას უწოდებდნენ „მარგალურ ნინას“, ლაზები – „ლაზურ ნინას“, მეგრელებს ჭანები უწოდებდნენ „მაკრონებს“ (ჩიქობავა 1926; ჯავახიშვილი 1979, გვ. 452; ჩუხუა 2000-2003, გვ. 84), მეგრელები კი თავიანთ თავს უწოდებენ „მარგალებს“, თანამედროვე ქართულზე მათ ჰქვიათ „მეგრელები“.*

*როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩემი კვლევის შედეგები საფუძველს მაძლევს, რომ კოლხური მივიჩნიოთ პროტოქართველურ ენად.*

*დამატებით მსურს აღვნიშნოთ, რომ წინაბერძნული მოსახლეობის ენისა და კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ ჰიპოთეზები წამოაყენეს: ლ. ჰერვასმა, ვ. ჰუმბოლდტმა, პ. კრეჩმერმა, ან. მეიემ, ად. დირმა, ედ. შვიცერმა, მ. სერგიევსკმა, ფრ. შახერმაირმა, ს. ყაუხჩიშვილმა, ს. ჯანაშიამ, გ. დეეტერსმა, არნ. ჩიქობავამ, აკ. ურუშაძემ, პ. ბერაძემ, ედ. ფურნიემ, თ. გამყრელიძემ, რ. შმიტ-ბრანდტმა, რ. ბეეკესმა, რ. გორდეზიანმა, ჰ . ძებიშმა, ზ. გამსახურდიამ და სხვებმა.*

ბ-ნ გია კვაშილავას ქართულ და უცხოურ მეცნიერულ წყაროებზე დაყრდნობილი გამოკვლევის შედეგები:

*1) კრეტაზე აღმოჩენილი ძვ. წ. XV საუკუნეზამდელი თიხის ფირფიტების წარწერების ენა არ არის ბერძნული.*

*2) კრეტის უძველესი წარწერის ენა განეკუთვნება კავკასიურ ენებს, რომელთა გავრცელების არეალი იმ დროს უფრო ვრცელი იყო, ვიდრე შემდგომ პერიოდში.*

*3) ნოტიო თიხის ფირფიტა – ფესტოსის დისკო მაღალ ტემპერატურაზე გამოწვის შემდეგ ქვასავით მაგარი გახდა და მისი ასეთი თვისებების გამო არის კირბი.*

*4) ფესტოსის დისკო, რომელიც დაბეჭდილია ოქროს ყალიბებით (რადგან სხვა სახის ყალიბების გამოყენების შემთხვევაში დისკოს ნახატ-ნიშნების კონტურები ძალიან ადრე მკაფიოობას დაკარგავდა და დღეს ჩვენ დისკოს ვერ ამოვიკითხავდით) არის კოლხური ოქროდამწერლობის ხელოვნების ნიმუში.*

*5) კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუში, დისკო დაბეჭდილია კოლხი ქურუმების – კორიბანტების მიერ კრეტაზე ან ანატოლიაში. ისინი ოქროდამწერლობით შექმნილ სავედრებელ-საგალობელ ტექსტებს უძღვნიდნენ ღვთაებებს. ასეთი სახის დამწერლობა არ გამოიყენებოდა სამეურნეო და ადმინისტრაციული სახის ტექსტების შედგენისას.*

*6) დისკოს ზოგიერთი ნახატ-ნიშანთა მობრუნებების, მათ ქვემოთ მოცემული ვერტიკალური და ირიბი შტრიხების გათვალისწინების შემთხვევაში დისკოს წარწერა მხოლოდ ერთ ენაზე*






*იკითხება. დოქტ. ჰ. ძებიშის (1987-1991-1992 წლებში) დასტამბული მოსაზრებების და ჩვენს მიერ დისკოს გაშიფვრის საფუძველზე, ვამბობთ, რომ დისკოს წარწერის ენა არის პროტოქართველური – კოლხური.*

*7) დისკოს წარწერა რელიგიურ-სარიტუალო შინაარსის ტექსტია და იგი არის სავედრებელ-საგალობელი, რომელიც ეძღვნება კოლხური მოდგმის ხალხის მაკრელების ნაყოფიერებისა და მიწის დიდ დედაღვთაებას – ნენანას.*

*8) ძვ. წ. XX ს-დან კოლხური ტომი, უწინდელი მაკრელები (მაკრისელები თუ მერმინდელი მაკრონები) იგივე მეგრელები სახლობდნენ კრეტაზე, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსა და ანატოლიაში...*

*და ა. შ.*

*ჩემი გამოკვლევით დადგინდა, რომ ფესტოსის დისკოს A და B მხარის ცენტრში დაბეჭდილია ციურ სხეულთა სიმბოლოები: „მზისა“ და „მთვარის“ ნახატ-ნიშნები, აია-ვარდული არის მზის, ცეცხლისა და ოქროს ნახატ-ნიშანი. მზისა და მთვარის მოძრაობის მიხედვით, ტექსტის ამოკითხვის მიმართულებაა სპირალურად ცენტრიდან ნაპრისკენ. ე. ი. ამოკითხვისას ბრუნვა ხდება ცენტრის ირგვლივ, ასეთი კანონით ვკითხულობთ დისკოს B მხარესაც, სადაც ცენტრში ამოტვიფრულია „მთვარის“ ნახატ-ნიშანი – „ჭვინტიანი გვირგვინი“.*

*არქეოლოგიური მასალებიდან ცნობილია, რომ „მზისა და მთვარის“ ნახატ-ნიშნები სამეფო ოჯახსა და სამეფო ძალაუფლების სიმბოლოებია. ხოლო სპირალი სიცოცხლისა და განწმენდის ნახატ-ნიშანია.*

*ზემოთ მოგახსენეთ, რომ დისკოს წარწერა დაბეჭდეს კოლხმა ქურუმებმა – კორიბანტებმა, რომლებიც ზედმიწევნით კარგად ერკვეოდნენ ცის რუკაში და ბევრი ასტრალური ნახატ-ნიანი გამოიყენეს ენიგმატური სავედრებლის სპირალისებურად ამოსატვიფრად.*

* * *

ვფიქრობთ, ქართული თემის გაჟღერება მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა პრესტიჟულ ფორუმზე და პუბლიკაცია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „Minevra“-ში, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკოსთა მეტ-ნაკლებად წარმატებული დიპლომატიური სვლები ტელევიზორის ეკრანთან მიჯაჭვულმა ქართულმა საზოგადოებრიობამ ალბათ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაპყროს ეროვნული მეცნიერების სახეს და ქართული მეცნიერული აზრის ექსპორტს ევროპაში, ვიდრე იმ მყვირალა ხმებს და სახელებს, ხვალ რომ აღარავის ემახსოვრება...

**საბოლოო დასკვნა**

**„მაშასადამე, მრავალი მკვლევარისა და ჩვენს მიერ ზემოთ მოცემული დებულებებისა და ფაქტების, არქეოლოგიური, პალეოგრაფიული და ლინგვისტური მასალების, მითოლოგიური და ისტორიული წყაროების, დისკოზე ღვთაებათა სახელებისა და ტოპონიმების, არქალოხორის ცულის, მალიის ქვის ბლოკისა და ფესტოსის ლარნაკის ნახატ-ნიშანთა ამოკითხვის საფუძველზე, ჩემ მიერ დასაბუთებულია, რომ ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშანთა ჯგუფები გაშიფრულია პროტოქართველურ – კოლხურ ენაზე“.**



გრიგოლ აბაშიძე (სტუდენტობის პერიოდი)



მარჯვნიდან: გრიგოლ აბაშიძე, კოტე ხიმშიაშვილი, გივი გაჩეჩილაძე მეგობარ გოგონასთან ერთად მწერალთა კავშირის ბაღში

# „გასრულდი, ქარიანო ნოემბერო“...

ძნელი სათქმელია, რომელ დროს გულისხმობდა პოეტი ბესიკ ხარანაული, როდესაც თავის მშვენიერ ესეიში ამასაც წერდა: „დღეს **გრიგოლ აბაშიძე** საზეიმოდ შემართული იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველო დღეს ის აღარ არის, როგორიც მისი სიცოცხლის ბოლო ჟამს...“

ჩვენს თაობას **„საზეიმოდ შემართული“ ქართველი მწერალი გრიგოლ აბაშიძე არ უნახავს და ვფიქრობთ, რაც არ უნდა ხანგრძლივი ყოფილიყო მისი ცხოვრების გზა, ამგვარი პათოსით მაინც ვერ ვნახავდით, რადგან ამ აკადემიურ, გამორჩეულად გაწონასწორებულ პიროვნებას გულზე მრავალთაგან დაუნახავი ტკივილი ჰქონდა დამჩნეული, წინასწარმეტყველური სიტყვებით რომ გამოხატა:**

**„გვიან მივხვდი: ყოველი**
**ცუდიც, კარგიც მოაქვს დროს.**
**ჩემს ბედს ვგმობდი, რომელმაც**
**შენს დაცემას მომასწრო!**
**ახლა სინანულსა მგვრის**
**ნაღვლიანი ფიქრები:**
**შენ რომ აღორძინდები,**
**მე რომ აღარ ვიქნები.**
**მე მივდივარ, შენ გტოვებ,**
**თითქოს სასომიხდილად,**
**შენ აღდგები, მაგრამ მე...**
**მე შენ ვეღარ გიხილავ!..“**

აქ, როგორც თანამდევი მოტივი, შორეული და მარად ახლობელი წარსულიდან, წინაპრის – „პოეტის მაღალი ლანდის“ სევდიანი ინიციატიაც ისმის: **„მეც მივდივარ, შენც მიდიხარ, გეთხოვები საქართველოვ!..** (აკაკი).

არა მარტო ის კონკრეტული სტრიქონები, არამედ გრიგოლ აბაშიძის პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა, მემუარისტიკა თუ კვლევები თანამედროვეა ფსიქოლოგიზმით და აზროვნების ფორმით... ყოველ დროში თანადროულობა სწორედ ეს გახლავთ კლასიკის მახასიათებელი ნიშანი და ამგვარი მემკვიდრეობა უპირველესად აკადემიურ გამოცემას თხოულობს. მწერლის მრავალფეროვანი არქივი მისივე ოჯახში ინახება და თუ კიდევ რა უნიკალურ მასალებს ნახავს მკითხველი, ჟურნალ **„ჩვენს მწერლობაში“** გამოქვეყნებული გ. აბაშიძის მოგონებებითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

მწერლის დაბადებიდან 90 წლისთავმა თითქმის უხმაუროდ ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით, სახლ-მუზეუმის გახსნას ქალაქ ჭიათურაში, გრიგოლ აბაშიძის მემორიალურ სახლში, რომელიც მისივე ოჯახის წევრებმა განახორციელეს, მაგრამ ემპირიულ, პოლიტიკურ თემებზე გადართულმა ფართო საზოგადოებამ ამ თარიღს სათანადო ყურადღება ვერ დაუთმო.

ექსპოზიციის დასათვალიერებლად მაშინ ჩვენც გახლდით და ექსპონატების გაცნობისას მათი უფრო დიდ მასშტაბში გადატანის სურვილი გაგვიჩნდა. მწერლის ოჯახის წევრები ბევრ, მართლაც, გაუგებარ საკითხზე დელიკატურად დუმან... თანამედროვეებს ახსოვთ, როგორ დუმდა გრიგოლ აბაშიძეც, როცა მის ისტორიულ რომანებს არაადეკვატურად აფასებდნენ. საქართველოში „მტრის“ და „მოშურნის“ სინდრომი არ სრულდება, ისევე როგორც საკუთარ ეროვნულ ღირებულებათა შეუფასებლობის და დაუფასებლობის თემა.

**თარიღებს საკრალური დატვირთვა გააჩნიათ. თარიღების აღნიშვნებით სიმბოლურად ერთიანდება აწმყო და წარსული...** 2009 წელს გრიგოლ აბაშიძეს დაბადებიდან 95 წელი უსრულდება. ეს მთელი ეპოქაა, საქართველოს ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფურცელია და ალბათ სამომავლო ფიქრების აღმძვრელიც...

წლები გადის და მწერლის ყოველი სტრიქონი უფრო და უფრო გვიახლოვდება... ნამდვილ ლიტერატურაში რომ ყოველთვის საკრალური წინასწარმეტყველებაა ჩადებული, ამას ჩვენი დროება უფრო და უფრო ნათლად გვიჩვენებს:



არჩილ სულაკაური, გიორგი შატბერაშვილი, გრიგოლ აბაშიძე

* * *

**„სიბნელევ, საქართველოს**
**ცაზე დაძრულო,**
**მაკმარე, ნუ მისევ ავსულებს,**
**ნუ ცდილობ სამშობლო შემაძულო,**
**ვერ შემაძულებ!**
**მე უკუნს იქითაც ვხედავ ცისკარს,**
**თუმცა მშობლის კვნესა მესმის**
**გამუდმებით,**
**რაც უფრო მებრალება,**
**მით უფრო**
**მიყვარს,**
**მე მის სიყვარულს**
**ვერ განვუდგები.**
**გასრულდი, ქარიანო ნოემბერო,**
**სამშობლოვ, განერიდე ბნელს და**
**ბოროტს...**
**მიმიშვი, შენ წყლულებს**
**მოვეფერო,**
**მაცალე, შენ იარებს ვეამბორო!::**

**გრიგოლ აბაშიძე**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**ჟურნალ „FOCUS“-ის კორესპონდენტის ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან**

# ეს ოპერაცია დაგეგმილი იყო





**— თქვენ ბრალს სდებთ რუსეთს ომის დაწყებაში...**

— უკანასკნელი, რაც ჩვენ გვინდოდა — ეს იყო საბრძოლო მოქმედებანი სამხრეთ ოსეთში. იქ მცხოვრები ხალხი ჩვენს მხარეზე იყო! ომის დაწყება ეწინააღმდეგებოდა ადამიანის ჯანსაღ განსჯას.

**— მაშინ, მაშასადამე, თქვენ აღმოჩნდით მოსკოვის მიერ დაგებულ ხაფანგში?**

— არავითარი ხაფანგი არ ყოფილა. ეს ყველაფერი კარგად მომზადებული ოპერაცია იყო. ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე რუსეთის ფლოტი სევასტოპოლიდან წამოვიდა საქართველოს მიმართულებით. მოსკოვმა მოახდინა თავისი შეიარაღებული ძალების მობილიზაცია კავკასიაში, მოიზიდა რეზერვები. ეს ოპერაცია დაიგეგმა სწორედ ამ თარიღისთვის, სწორედ ამ ადგილზე. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხინვალს მძიმე არტილერიით ბომბავდნენ მეზობელ ქალაქ ჯავიდან.

**— რუსები?**

— ათეულობით ქვემეხიდან. ჩვენ გვაქვს ვიდეომასალები და თვითმხილველთა მტკიცებანი. ამავდროულად რუსეთის თვითმფრინავები ბომბავდნენ ქალაქს.

**— თქვენ ამბობთ, რომ რუსებმა 8 აგვისტოს თავად დაიწყეს ცხინვალის ნგრევა?**

— ამას ადასტურებს თვითმხილველთა ჩვენებანი, აგრეთვე რუსი ჟურნალისტები და სამხედრო მოსამსახურეები.

**— რა მოტივი უნდა ჰქონოდა კრემლს შეტევისთვის?**

— რუსებმა აირჩიეს დღე, როდესაც იხსნებოდა ოლიმპიური თამაშები. მთელი მსოფლიო ოლიმპიადას უმზერდა, ადამიანები, ვინც გადაწყვეტილებას ღებულობს, იყვნენ შვებულებაში ან პეკინში. ისეთი პატარა ხალხისთვის, როგორიც ჩვენ ვართ, ეს განსაკუთრებით ცუდია. პატარა ხალხის იარაღს კი რა წარმოადგენს? საზოგადოებრიობა, მსოფლიოს რეაქცია.

**— თქვენ თვითონ შვებულებაში იყავით?**

— არა. მაგრამ შვებულებაში იყვნენ ჩემი სამხედროები, ჩემი თანამშრომლების უმეტესობა. და უცებ მოულოდნელი ესკალაცია სამხრეთ ოსეთში. ომის დაწყების დღეს ცხინვალში, ცარიელ ქალაქში, 50 რუსი ჟურნალისტი იმყოფებოდა. სამოქალაქო მოსახლეობა ადრე იყო ევაკუირებული. რუსებმა უმალვე გამოაცხადეს იმის შესახებ, რომ ჩვენ დავხოცეთ ორი ათასი მშვიდობიანი მოქალაქე, საკითხი შეეხებოდა გენოციდს. ეს ყველაფერი შესანიშნავად იყო მომზადებული, როგორც სცენარი.

**— როდის დაიწყო მზადება? კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან?**

— მანამდეც. პუტინი ჯერ კიდევ 2006 წელს ამბობდა ოსების მიმართ ქართული გენოციდის შესაძლებლობის საშიშროების შესახებ. კრემლს უკვე მაშინვე უნდოდა ომი, მაგრამ დასავლეთის მკაცრმა რეაქციამ შეაჩერა იგი. თუ ევროპა ნებას მისცემს და აპატიებენ მოსკოვს, იგი ამას გაიმეორებს. ესაა უშუალო საშიშროება.

**— აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს არ სურთ საქართველოს შემადგენლობაში შესვლა. არ უნდა შეეგუოთ ამას?**

— ამჟამად სამხრეთ ოსეთიდან ძალით გამოდევნილია 30 ათასი კაცი, აფხაზეთიდან 90-იან წლებში — მოსახლეობის 80 პროცენტი. შეიძლება განა აქ იმაზე საუბარი, რომ იქ დარჩენილებს აღარ უნდათ ქართველებთან — და ეს დემოკრატიული გადაწყვეტილებაა? იქ მცხოვრები ხალხი 15 წელიწადია იმყოფებიან რუსეთის ოკუპაციის ქვეშ, მიიღეს რუსეთის პასპორტები, მათ აქვთ „სტოკჰოლმის სინდრომი“.

**— თქვენ გსურთ ამ რესპუბლიკების საქართველოში დაბრუნება?**

— ევროკავშირის სამშვიდობო მისიების დახმარებით საჭიროა ვაიძულოთ რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომ წავიდნენ. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ იქ მცხოვრები ხალხისთვის თავისუფალი ინფორმაციის მიწოდება, გავუხსნათ მათ გზა მსოფლიოსკენ, გამოვიყვანოთ იზოლაციიდან.

**— თქვენ გეშინიათ კონფლიქტის აფეთქების განმეორებისა?**

— რუსეთის ქვემეხები დგანან სიმაღლეზე თბილისიდან 30 კილომეტრში. კრემლი ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჩვენ გვსურს მოსკოვში სახლების აფეთქება. ძნელი იქნებოდა, არ გამოგვეცნო ეს ხელწერა, ვინაიდან ისინი ასეთ ხერხს მიმართავენ ყოველთვის თავდასხმამდე.

**— თქვენ დაინახეთ თავდასხმისთვის მზადება მოსკოვის მხრიდან?**

— თუ რუსეთი ვერ შეძლებს კონტროლის ქვეშ აიყვანოს ნავთობსადენები, შეცვალოს მთავრობა თბილისში, თუ საქართველო — დემოკრატიული და არაკორუმპირებული სახელმწიფოა, ეს ცუდია უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ოფიცრებისთვის კრემლში. ისინი ამას ვერ გადაიტანენ. იდეალური მომენტი იმისათვის, რომ ამის საშუალება მათ არ მივცეთ, დადგა ამჟამად. რატომ? ეკონომიკური კრიზისისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების გამო. მსოფლიო ამჟამად სხვა მიმართულებით იმზირება.

**— თქვენ გაქვთ იმის დამადასტურებელი რამ, რომ დაგეგმილია თავდასხმა?**

— ევროკავშირის მეთვალყურეებმა დააფიქსირეს, რომ რუსეთმა ანკლავში გადაისროლა რამდენიმე ათასი ჯარისკაცი.

**— ეს დადასტურება როდია.**

— აგვისტოში ბუშის ერთმნიშვნელოვანი განცხადებების შემდეგ რუსებმა შეწყვიტეს თავისი ჯარების წინსვლა. რამდენადაც მე პუტინს ვიცნობ, ის ამის შესახებ ამჟამად ნანობს კიდეც. ყველაფერი, რაც მან მოიგო, ეს სულ რამდენიმე სოფელია. დიდი რუსეთისთვის ეს დიდი წარმატება როდია.

**— რა იქნებოდა წარმატება?**

— უწინარეს ყოვლისა, კონტროლის მიღება იმ ნავთობსადენებზე, რომლებიც გადის ჩვენს ქვეყანაზე. მათი დახმარებით რუსეთი ხუთი წლის შემდეგ გააკონტროლებდა ტრანსპორტირებული ელექტროენერგიის 60 პროცენტზე მეტს, ვიდრე დღეს და ამრიგად მიიღებდა ევროპის ენერგოუზრუნველყოფაზე მონოპოლიას. ეს არის მოსკოვის მიზანი.

**— გონივრული იყო მოსკოვთან კონფლიქტი და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის ძიება?**

— ჩვენ აქ ვაშენებთ ტრანსპარენტულ, მოუსყიდავ სახელმწიფოს. ჩვენი პოლიცია უკვე აღარ იღებს ქრთამს. ჩვენი ეკონომიკა თავისუფალია.

**— მაგრამ ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იზრდება კრიტიკა თქვენი მისამართით. განა ომის გამო არ გადაიდო ნატოში შესვლა შორეული პერსპექტივისთვის?**

— ჩვენ ახლა უფრო ახლოს ვართ ევროპასთან, ვიდრე უწინ, იზრდება იმათი წრე, ვინც ჩვენ გვიჭერს მხარს.

**— განა ევროკავშირის მეთვალყურეები თავისი მისიით დე ფაქტო არ ამტკიცებენ სტატუს-კვოს?**

— არა, ევროკავშირის მისია ახდენს ყველაფრის დოკუმენტირებას, რაც ხდება და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ ვერასოდეს ვერ გავუტოლდებით რუსეთის ძალებს. მაგრამ ტრანსპარენტულობის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობის თვალსაზრისით კი — რატომაც არა...

**— სწორედ ამის აღიარებაზე ამბობს უარს ოპოზიცია. ოპოზიცია თქვენ გსაყვედურობთ ავტორიტარულ მეთოდებს, არჩევნების ფალსიფიკაციას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და დემონსტრანტებზე ზემოქმედებას.**

— დღეს მე ვუყურებდი ტელევიზორს: სამი ოპოზიციური არხი ჩემი თანამებრძოლების ერთის წინააღმდეგ; მეორე ტელეარხზე — მიმდინარეობს გადაცემა პირდაპირ ეთერში საპარლამენტო კომისიიდან, სადაც ჩემი მინისტრები უპასუხებენ მეტად არასასიამოვნო და საკმაოდ კრიტიკულ შეკითხვებზე ომთან დაკავშირებით. ანდა ქართული გაზეთები! თუ თქვენ ნახავთ თუნდაც ერთ მათგანს, რომელიც ჩემს მხარეზე იქნებოდა, მაშინ მე მზად ვარ შევჭამო Focus-ი, კერძოდ კი ჟურნალის ყველაზე სქელი ეგზემპლარი.

**ბორის რეიტშუსტერი**

FOCUS

# ვინ როგორ ფიქრობს

**რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის მიმართვას ფედერალური კრებისადმი საქართველოს ხელისუფლებამ უწოდა განსაკუთრებით მტრული.** ყოველ შემთხვევაში, მის იმ ნაწილს, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ ოსეთში აგვისტოს მოვლენებს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მედვედევის გამოსვლას უწოდა აგრესიული, რომელიც შეიცავს ახალ საფრთხეს.

„რუსეთი აგრძელებს აგრესიულ პოლიტიკას და პრეზიდენტ მედვედევის გამოსვლის შესაბამისად, ეს პოლიტიკა არ შეიცვლება, და არა მხოლოდ საქართველოსთან დამოკიდებულებაში“, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა. შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა თავის ყოველწლიურ მიმართვაში ფედერალური კრებისადმი, კერძოდ, განაცხადა, რომ „საქართველოს ხელმძღვანელობამ უარი თქვა სამშვიდობო პოლიტიკურ მოწესრიგებაზე და სამართლებრივ მეთოდებზე და აირჩია სამხრეთ ოსეთში მოვლენათა განვითარების ყველაზე უგუნური სცენარი“.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობისკენ იძულების ოპერაცია ხორციელდებოდა „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხთა მყარი და ხანგრძლივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწინარეს ყოვლისა თბილისის რეჟიმის დანაშაულებრივი ავანტიურის რეციდივებისგან“.

საგარეო-პოლიტიკური უწყებიდან სიგნალის მიღების შემდეგ ევროპის სტრუქტურებში რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში თანამდებობის მიხედვით ძალიან შორს მყოფმა თბილისის მერმა გიგი უგულავამ ერთხმად აიტაცეს ეს განცხადება. ბარამიძემ მედვედევის გამოსვლაში დაინახა სურვილი „გაიმართლოს თავი მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე საქართველოს წინააღმდეგ აგრესიისთვის“, ხოლო ქალაქის უფროსმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გამოსვლას უწოდა არაკომპეტენტური და რატომღაც ურჩია მას, „ნუ გაიტაცებს კონსპირატიული თეორიები“. გასაგებია, რომ ხელისუფლების ასეთი განწყობილების დროს კონტაქტები მოსკოვთან, რის შესახებაც სულ უფრო ხშირად საუბრობენ ევროკავშირის ემისრები, ძალიან პრობლემატურად ჩანს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მედვედევის გამოსვლასთან დაკავშირებით გამოთქმული თავისი შეხედულებების შემდეგ კომენტარი გაუკეთეს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვებასაც. მაგრამ მათი სიხარული და ოპტიმიზმი ჩანდა გათამაშებულად ახალი პრეზიდენტის ცნობილი განცხადების გათვალისწინებით, რომელიც მან გააკეთა ჯონ მაკქეინთან ტელედებატებში წინასაარჩევნო კამპანიის დროს. მაშინ ობამამ მიხეილ სააკაშვილს „სუსტი პოლიტიკური ფიგურა“ უწოდა და დაუმატა, რომ „ამიტომ საქართველოში იქნება ახალი პრეზიდენტი“.

პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგები გარკვეულწილად გავლენას მოახდენენ საქართველოს სიტუაციაზე. „ამერიკა-საქართველოს ურთიერთობა სტრატეგიულად არ შეიცვლება, შეიცვლება მისი ხასიათი — გახდება უფრო პერსონიფიცირებული. ვაშინგტონი მეტ ყურადღებას დაუთმობს ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებას, ბუნებრივია, საშინაო დაძაბულობის გათვალისწინებით სააკაშვილს უფრო მეტად ხელს აძლევდა მაკქეინის გამარჯვება“, — განუცხადა მან გაზეთის კორესპონდენტს.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

◎ საით მივდივართ?

# ოპოზიცია მტერი არ არის!

***რა უცებ გასულა ეს დრო, დრო სავსე ტკივილით და ტანჯვით. დიდი და დაუძლეველი სევდით მოვიდა შვიდი ნოემბერი, ვერაფერს გავხდით, ნაბიჯიც ვერ გადავდგით უკეთესობისკენ, ამ ერთმა წელმა კიდევ უფრო დიდი ტკივილი მოგვიტანა, მწარე გაკვეთილი გვაწვნია.. ერთი წელი განა ცოტა დროა იმისათვის, რომ დაალაგო შენი მომავალი? ვთქვათ სიმართლე , ერმაც და ბერმაც გზა ვერ გავიკვლიეთ. საწინაო ბილიკსაც კი ვერ მივაგენით. ქვეყანა ავავსეთ უსარგებლო ნივთებით, სულიერებას კი ვერაფერი შევმატეთ.***

2007 წლის 7 ნოემბერი — ავბედითი დღე ქართველი ერის ისტორიაში. როგორ მეცოდებიან მისი „ავტორები“. მეცოდებიან იმიტომ, რომ მათში ხალხთან ერთად ჩემს თავსაც მოვიაზრებ. რაღაც ისე ვერ გავაკეთეთ როგორც საჭირო იყო, რაღაც შეგვეშალა. მერედა, იფიქრა კი ვინმემ ამ შეცდომაზე? გამოარკვია მიზეზი იმ დღის ტრაგედიისა?

საქართველოს პოლიტიკურ ეკრანზე, ყვითელ თუ ცისფერ მედიაში ბევრ ისეთ კურიოზს ვაწყდები, რაც აშკარად მიუთითებს დაუძლურებული ქართული პოლიტიკის უმიზნო და უაზრო დინებაზე. ეს ყველაფერი კარგად შეიმჩნევა პოზიციისა და ოპოზიციის ეგრეთ წოდებულ ურთიერთობაში, რაც შუღლი და მტრობა უფროა, ვიდრე სამშობლოსთვის ზრუნვა. იშვიათად თუ მოისმენს კაცი პარტიებს შორის დიალოგს, მნიშვნელოვანი წინადადებების შეთავაზებას, ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობას, საზოგადოების დაინტერესებული ნაწილის მოთხოვნების შესწავლას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არ დგანან ისინი მყარ საძირკველზე. უფრო მეტიც, არ იციან სად დგანან და რაზე დგანან. რა უნდა იცოდნენ, როცა ძველი საგულდაგულოდ დაანგრიეს, ახალი კი არ შეუქმნიათ. მაშ, რაზე დგანან, ნანგრევებზეო? — იკითხავს კაცი. არა, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არც ნანგრევებზე შერჩენიათ ფეხი... ჰაერში დაკიდებულთ, საყრდენის ძიების ნაცვლად, მიზნად ერთმანეთის ლანძღვა და მტრობა უფრო დაუსახავთ, ვიდრე ქვეყნის გადარჩენისაკენ სწრაფვა. თურმე ოპოზიცია და პოზიცია მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ მკაცრად გაემიჯნონ ერთმანეთს. აირჩიონ ისეთი გზები, რომლებიც არასოდეს ერთ წერტილში არ მოხვდებიან. არადა, მთავარი ხომ ის „წერტილია“, ის ადგილია, სადაც შენი ქვეყანა, შენი სამშობლო მდებარეობს. სწორედ სამშობლოზე ზრუნვისათვის მისცა ხალხმა მათ ასპარეზი და არა მარტო ასპარეზი, არამედ ოფლითა და სისხლით მოპოვებული ლუკმა-პურიც კი მოიკლო და მათ უწილადა. შედეგად რა მივიღეთ? ერთმანეთის კინკლაობაში (ზოგჯერ ჩხუბში და ცემა-ტყეპაშიც რომ გადაიზრდებაძ გართულთ ქვეყანა ხელში შემონგრევიათ და ვერც კი მიმხვდარან, მაინც უგზოუკვლოდ მიაჭენებენ თავიანთ ავბედით ბედაურებს.

ხელისუფლება ოპოზიციურ პარტიას მტრად რომ მოიაზრებს, ეს ჩვენი ხალხისთვის არ არის ახალი ამბავი. როგორც ჩანს ოპოზიციამაც შეიფერა ეს როლი... მაგრამ, მოვითმინოთ, ჯერ ხელისუფლებას მივხედოთ 2007 წლის 7 ნოემბერი რომ „კარგად“, საშვილიშვილოდ დაამახსოვრა ხალხს... ესეც არ იკმარა და მათ (თითქოს ოპოზიციისძ ჯინაზე, აქაო და 2008 წელში, იმ უკულმართი შვიდი ნოემბრის წლისთავს დავასწრებ და მე „მათ“ ვანახებ რა „ბიჭიცა“ ვარო, შუაგულ პაპანაქება ზაფხულში, ხალხისა და სხვა პოლიტიკური პარტიების ზურგს უკან, იმ საცოდავ ცხინვალში შევარდა და იგივე ჩვენს ხალხს — მოღალატეს თუ ერთგულს განურჩევლად დაერია. ბედშავმა, არ იცოდა რასა იქმოდა!



ამის შემდეგ ხომ ყველამ ვიცით რაც მოხდა. მაგრამ... რა უცნაური რამ არის ეს „მაგრამი“, მის შემდგომ შეიძლება სათქმელი ისე განავრცო, რომ კაცს ტყუილი მართლად მოაჩვენო და მართალი ტყუილად.

დიახ, ხომ ყველამ ვიცით რაც მოხდა, მაგრამ, როგორც ზოგჯერ ვფიქრობ, თურმე ბევრი რამ არ გვცოდნია ყველას, არც ჩვენთან საქართველოში იმ ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთ-აფხაზეთიანად და არც მთელს მსოფლიოში. რა არ გვცოდნია? ის, რომ უკვე თითქმის 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ამ მშვენიერ ქალაქს, ჩვენს მამაპაპურ ცხინვალს დაპატრონებული რუსები ნერგავდნენ ოსურ მოსახლეობაში ქართველებისადმი ზიზღს, აღვივებდნენ მტრობას და შუღლს, ქმნიდნენ და აძლიერებდნენ ე. წ. ოსურ სეპარატიზმს, მათ უკან ამოფარებულნი კი თითქმის ყოველდღე გვიხოცავდნენ და გვტაცებდნენ ჯან-ღონით სავსე ადამიანებს, არბევდნენ და აყაჩაღებდნენ ოჯახებს და ასე შემდეგ... ამ დროს, უცოდველი კრავის სახით, მსოფლიოს გასაგონად აცხადებდნენ მშვიდობისმყოფელები ვართო.. მიუხედავად ამ დიდი ტრაგედიისა, მშვიდ ძილს დანატრებული მოსახლეობა ცოცხალი თავით არ ტოვებდა მშობლიურ კუთხეს.

ასე უპატრონოდ, სისხლისღვრასა და შიშ-კანკალში ნელ-ნელა მცირდებოდა ერთ დროს აყვავებული შიდა ქართლის მცხოვრებთა რაოდენობა. პატრონი აღარავინ გვყავსო, — ამბობდნენ ხვალინდელი დღის გათენების შიშით გათანგულები. პატრონი მართლაც არავინ ჩანდა, არავის არ აინტერესებდა როგორ იკუმშებოდა საქართველოს მიწა-წყალი, როგორ თანდათანობით გადადიოდა რუსეთის ხელში, როგორ ივსებოდა რუსეთის სახელმწიფო პასპორტებით აღჭურვილი აწ უკვე გარუსებული მოქალაქეებით საქართველოს ძველისძველი ტერიტორიები — აფხაზეთი და შიდა ქართლი. შენ არ იმოქმედოო, ვეტო დაადო საქართველოს, მშვიდობის მისიით აღჭურვილმა მსოფლიო მნიშვნელობის ორგანიზაციებმა. ამასობაში, შეიარაღებული რუსეთი სურვილისამებრ, ბომბდამშენებით თუ ტანკებით დანავარდობდა ქართულ ზეცაში თუ ქართულ მიწაზე. რუსეთის თავხედობით წაქეზებული ოსი და აფხაზი სეპარატისტები „სამაგალითოდ“ დახელოვნდნენ ქართველთა ოჯახების დაწიოკებაში. ჩვენ კი ყოველივე ამ უბედურებისთვის წლების მანძილზე უნდა გვეცქირა და... გვეთმინა ოცი წელი!

დავანებოთ თავი ამ ოც წელს, ვინ იცის წინ კიდევ რა და ტანჯვის რამდენი წელი გველოდება. ამჟამად ამავე წლის 7 აგვისტოს წინა დღეები გავიხსენოთ... რუსეთი ნამდვილ საომარ სამზადისში იყო.

საწყალი ოსები და აფხაზები! ნუთუ მართლა ჰგონიათ, რომ რუსეთის სახელმწიფო მათთვის გაისარჯა? რუსეთი, როგორც დამპყრობელი ქვეყანა, აფართოებს თავის მიწა-წყალს ქართველებისა და სხვა პატარა ერების ხარჯზე. ამ გზაზე იგი არ დაინდობს არც ოსს, არც ჩეჩენს, არც ქართველს და არც თავად რუსსაც. ტერიტორიების დაპყრობა მისი ჩვეულებაა. ჩვეულება კი რჯულზე უმტკიცესია.

ცივილიზებული ევროპა და ამერიკა ძალიან კარგად ხვდება ყველაფერს (რა ძნელი მისახვედრიაძ. იმპერიალისტური შოვინიზმით გაჟღენთილი სახელმწიფოს გადამკიდე (რუსეთი ხომ ჩვენი მეზობელიაძ საქართველოს საშველი არ ექნება ალბათ მანამ, სანამ თავად რუსი ხალხი არ აირჩევს დემოკრატიის გზას. მანამ კი მშვიდობიანი მსოფლიოს წესრიგისთვის მზრუნველ სახელმწიფოებს მეტი სიფხიზლე და სიმტკიცე მართებთ, განსაკუთრებით მშვიდობისმყოფელთა შერჩევაში...

ომი ვინ დაიწყო? ომი დიდი ხანია დაწყებულია და დაიწყო იმან, ვისაც ზესახელმწიფოება და „დიდი კავშირის“ აღდგენა უნდა. ამ ლოგიკას იმიტომ როდი მივყვები, რომ ჩვენი ბედკრული ქვეყნის არც თუ ბედნიერი ხელისუფლების შეცდომების მივიწყება განვიზრახე, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს ამ სამიოდე თვის ისტორიას ასე ვხედავ, საქართველო კარგა ხნის დაწყებულ ომში ჩაება ძალაუნებურად (ხომ შეიძლებოდა გაემარჯვა ამ ომში, მაშინ!ძ! ეს ერთი. მეორე ის არის, რომ ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა უცხო ქვეყნების ცნობილი პოლიტიკოსები კი არ უნდა მოვიშველიოთ ჩვენი „შეცდომილის“ ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად, არამედ ეს ჩვენ, ხალხმა უნდა შევძლოთ და ჩვენივე „გონჯი“ ჩვენვე უნდა მოვთოკოთ უხმაუროდ, ცივილიზებული მეთოდებით...

იმისათვის, რომ ზემოთქმული განხორციელდეს, ოპოზიციური პარტიები უნდა გაისარჯონ. მათ მეტი სიბრძნე, დაკვირვება და ხალხთან მონდომებული, თავდაუზოგველი და გულწრფელი ურთიერთობა და მუშაობა მართებთ.

ერთი ჩემი უცხოელი მეგობარი მირეკავს და მეუბნება: ეს როგორ მოიმოქმედეთ, როგორ დაესხით თავს საწყალ ოსებს და ასე შემდეგ და ასე შემდეგო... თორემ ის კი არ უთქვამს, ვინ ყოფილა ეს საააკაშვილიო. დიახ, ქართველ ხალხს და საქართველოს გაუტეხეს სახელი. ჩვენც იგივეს რატომ ვაკეთებთ, რატომ ვასხამთ ცეცხლზე ნავთს, რატომ ვუტეხთ საქართველოს სახელს და წარმოვაჩენთ მას თავდამსხმელ და აგრესიულ ქვეყნად. ნუთუ მოგვიტანს ეს რაიმე სარგებელს.? არა, ბატონებო, ვთქვათ სიმართლე, რომ ჩვენ სხვისი ხელით და დახმარებით გვინდა მოვიშოროთ ამჟამინდელი მთავრობა. ვფიქრობ, რომ ამ მთავრობას ჩვენვე უნდა მივხედოთ კონსტიტუციური გზებით და დაველოდოთ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის დასკვნას. რა მიზანი გვაქვს, როდესაც მოვლენებს წინ ვუსწრებთ?

ეს ფიქრები 7 ნოემბრის მოახლოებამ აღმიძრა. ერთი წელი გასულა თურმე, ჩვენ კი სიკვდილამდე გვემახსოვრება ეს დღე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მოგვაყენეს, გვატკინეს და გვაწყენინეს იმ დღეს, ჩვენ ხომ ჩვენი ხალხის და ქვეყნის მტრისაგან უფრო მეტი ტკივილები, დარტყმები და ჭრილობები მოგვიშუშებია... დიახ მტრისაგან. შვიდ ნოემბერს კი ჩვენმა საკუთარმა მთავრობამ (ჩვენმა სისხლმა დ ხორცმაძ გაგვწირა და გაგვიმეტა. ვის ვუთხრათ ეს ტკივილი? ჩვენ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს მხოლოდ, ჩვენვე დავძლიოთ დასაძლევი! ქართველი ხალხი უკვდავიაო, გავიძახით. **უკვდავება არც თავისთავადია და არც სხვის ხელში შემყურე ხალხის წილხვედრი, ის მაშინ მოდის, როდესაც ქვეყნის წინაშე მოვალეობის შესრულებას თავად ხალხი კისრულობს! ეს ვიცით ჩვენ, ასე იყო წინათ და ასე უნდა იყოს მომავალ საქართველოშიც!**

**გულნარა სტურუა.**

◎ ომის თაობა

# როცა გამოვდიოდით, ხეობას ცეცხლი ეკიდა

**ბავშვები... გინახავთ ბეღურები, სამკალიდან აფრენილები? თუ არ გინახავთ, ეს ბავშვები ნახეთ — დევნილი ბავშვები.**

გადაიარა აგვისტოს სეტყვამ, მაგრამ იარა ისევ ამჩნევია სულს — სამარადჟამო იარა.

ისევ შიში დგას ქართველი ბავშვის თვალებში, როცა ცას სამგზავრო, მშვიდობიანი თვითმფრინავები სერავენ. ხმაურზე გული იკუმშება, თვითმფრინავის მოტორის ხმაურზე, თორემ ავტომატის სროლის ხმას მიჩვეულნი არიან...

ამიტომაც არ ეგონათ, აგვისტოს იმ ცხელ დღეებში, ლიახვის ტალღებში გაგრილების ნაცვლად თბილისის სკოლებისა და ბაღების რემონტდაწყებულ შენობებში, სალებავის სუნში თუ მოუწევდათ პირდაპირ იატაკზე ღამის გათევა, გაუხდელად, ტანთშერჩენილი ერთი ხელი სამოსის ამარა. კიდევ კარგი, ცხელოდა და ზაფხული იყო.

სასკოლო ასაკისანები სკოლებში შევიდნენ. უფრო პატარები ისევ უცხო გარემოს შეეჩვივნენ. მაინც აკიაფდა ჭინკა მათ თვალებში და ცელქობით იკლებენ მტვრიან დერეფნებს. დიდების სევდა არ ანაღვლებთ როცა ერთად არიან...

ვერ მოისვენებს საქართველო, სანამ დაჩაგრულ შვილებს სახლებში არ დააბრუნებს, და ვერც ლიახვის ჩქერი მოისვენებს, სანამ დაკარგულ შვილებს არ განბანს...

დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ძალზე ენატრებათ მშობლიური კუთხე, სკოლა, სახლი, სადაც დაიბადნენ და ლაპარაკი ისწავლეს. არ მოსწონთ დროებითი საცხოვრებლის პირობები, არც ეს მოუწყობელი ოთახები, სადაც არც წყალია და არც გათბობა, არც გაზია და არც შესაფერისი ინვენტარი დგას. მათ ხომ ყველას ძალიან ლამაზი, კეთილმოწყობილი სახლები ჰქონდათ, ეზოში — ვარდნარით... ან კი ეზოებად როგორ მოაცდენდნენ ბარაქიან მიწას მათი მშობლები: ვაშლი და მსხალი, ქლიავი და ატამი, ბალი და თუთა — წელიწადის შესაბამისად მწიფდებოდა მათი გულის გასახარად.

ლერმონტოვის ქუჩაზე, ყოფილი ენერგეტიკის სამინისტროს შენობაში მრავლად არიან ბავშვები დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან. ზაალ და მარიამ ხეთაგურები, დათო და ნინო ბაბუციძეები — აჩაბეთიდან, თამარაშენიდან — მარი გოგიძე, ლუკა და ლიზი მინდიაშვილები, ანი ოთინაშვილი და სხვები... ნანა გოგიძეც, მალალი, ცისფერთვალა, მეექვსეკლასელი გოგონა ახლა თბილისის 43-ე საჯარო სკოლაში სწავლობს, თორემ ისე თამარაშნელია, თამარ მეფის სახელობის ისტორიული სოფლიდან. აქ ცხოვრობდნენ მისი მშობლები, და-ძმანიც...

წლევანდელი ზაფხულის სისხლიანმა აგვისტომ ბავშვს კალამი აალებინა ხელში და მშობლიური თამარაშენის მონატრებით ალსავსე ლექსები დააწერინა. ჯერაც ნედლ, გაურანდავ სტრიქონებს დიდი სევდის კვალი ატყვია...

— არაფერი ვიცი, დაწვეს თუ არა ჩემი სახლი. როცა გამოვდიოდით, მთელ ხეობას ცეცხლი ეკიდა. სულ მინდოდა, ცეკვაზე მევლო, მაგრამ არეულობა იყო და მშობლებმა არ გამიშვეს. ჩემი ძმა, არსენა კი აჩაბეთში დადიოდა ფეხბურთზე. მას უფრო არ ეშინოდა, რადგან ბიჭია. მე კიდევ მაქვს იმედი, რომ ჩემს სოფელში დავბრუნდები, — გულწრფელად მეუბნება ნანა...

**ლია ჭილლაძე**

## ხედვა უცხოეთიდან

*წარმოშობით თურქი მწერალი და პუბლიცისტი მელიკ კაილანი „ვარდების რევოლუციის“ ამერიკელი გულშემატკივარია. მგონი, მას ამ რევოლუციის წარმატებისა და საქართველოს შემდგარი ყვავილობის უფრო მეტად სჯერა, ვიდრე რევოლუციის ავტორებსა და ამ აყვავების შემოქმედებს. როგორც თავად თვლის არის საქართველოს პრეზიდენტის მეგობარი, ცხოვრობს ნიუ-იორკში, წერს ისეთი წონიანი გამოცემებისთვის, როგორიცაა The Wall Street Journal. მისი ძირითადი თემა კულტურა და შინაარსიანი დასვენებაა, თუმცა საქართველოსადმი განსაკუთრებული გრძნობის გამო კავკასიის, რუსეთისა და რეგიონალური პოლიტიკური მიმომხილველ-ანალიტიკოსის როლიც მოირგო... ზუსტად 2 წლის წინათ სტატიაში „თამაში დათვთან“ კაილანი წერდა, რომ რუსეთი არ მოერიდება „ნგრევის ატმოსფეროს“ შექმნას, რომ არ აპატიებს საქართველოს რუსი ჯაშუშების საქვეყნოდ გამომზეურებასა და ქვეყნიდან გაძევებას. „სააკაშვილმა იცის, რომ ყოველ ჯერზე, როცა რუსეთი ხმალს მოიქნევს, საერთაშორისო ინვესტორები მუხლებზე დავარდებიან“ — აღნიშნავს პუბლიცისტი. კაილანს თბილისში არც რუსთაველის გამზირზე „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის“ გახსნა გამორჩენია. მის მომდევნო სტატიაში „მიშას ხანის საქართველო“ ამერიკელი მწერალი ქართული პოლიტ-ეკონომიკური ცხოვრების აუტანელ სიმსუბუქეს, თბილისურ კაფეებში მიმდინარე „საინვესტიციო მოლაპარაკებებს“ და ერთი ჭარბწონიანი მინისტრის მენიუსაც აღწერს. მწერლის ტონი თბილი, ყოველგვარ ცინიზმს მოკლებული და თანამგრძნობია, ისეთი, გულშემატკივარი ახლობლის ავ-კარგს რომ გადმოსცემს ხოლმე, ხან ზედმეტად სუბიექტურად და ხანაც შეძლებისდაგვარად ობიექტურად...*

*2007 წლის აპრილში The Wall Street Journal-ში გამოქვეყნდა მელიკ კაილანის სტატია სათაურით „პუტინის სახელისთვის“. იგი მოსკოვში გამართულ თანამედროვე ხელოვნების რიგით მეორე ბიენალეს მიეძღვნა. ავტორი აღნიშნავს: პუტინის კრიტიკოსების სიკვდილისა და ცემა-ტყეპის ფონზე ამგვარი ღონისძიება იმის მაჩვენებელია, რომ კრემლს კარგი პიარი სჭირდება, რომ მას რესპექტაბელობის პრეტენზია გაუჩნდა. თუმცა ღვინის მიგდებული ქარხნის ტერიტორიაზე, სადაც ეს ბიენალე ტარდებოდა, ამერიკელმა ჟურნალისტმა ვერ იპოვა ანტიპუტინური პოლიტიკური პროტესტის კვალი, სამაგიეროდ კონდოლიზა რაისისა და დონალდ რამფსველდის შარჟებს წააწყდა. ასევე გაისეირნა ცარიელ კორიდორებში, რომლის კედლებზეც ხელოვნების ზეიმზე მოწვეული ჩინური ტილოები არ იყო, რადგანაც საზღვრის გადაკვეთისას რუსეთის საბაჟომ ისინი „დაიწუნა“.*

# „ვფიქრობ, სამომავლოდ საქართველო იქნება ისეთი, როგორიც სინგაპური და ფინეთია — პატარა, ქმედითი და პროდუქტიული“...



**ინტერვიუ ამერიკელ მწერალსა და პუბლიცისტთან მელიკ კაილანთან**

„მსოფლიო ხელოვნების ინტელექტუალები დასავლეთს ყოველთვის უპირატეს სამიზნედ ირჩევდნენ. — წერს მელიკ კაილანი. — ამის არაუკანასკნელი მიზეზი კი ისაა, რომ დასავლეთი საპასუხოდ არასოდეს ისვრის და ხანდახან მათ სახელითა და გრანტებითაც ასაჩუქრებს. ეს კრემლს საკირკიმალო ამოცანას უსახავს. იმისათვის, რომ კრემლმა რაიმე პატივისცემას მიაღწიოს, საკუთარ თავსსავე უპატივცემულობის უფლება უნდა მისცეს. დასავლეთი ყოველთვის ასე აკეთებდა და მოსკოვსაც უნდა, რომ ასე განაგრძოს. მაგრამ პროპორციებთან დაკავშირებით როგორ არ უნდა დავუშვათ შეცდომა?

ერთი შეხედვით, მოსკოვს აქვს ყველაფერი, რაც ნამდვილი თანამედროვე ბიენალესათვისაა საკმარისი, კერძოდ კი, მსოფლიო ხელოვნების ისეთი ჩირალდნები, როგორიცაა მეთიუ ბარნი, ჰუგენჰაიმის გამოფენის ვარსკვალვები, Art Baselis თავკაცი სემ კელერი კურატორების, კოლექციონერებისა და ორგანიზატორების სახით. გამოფენამ საჭირო კორპორატიული სასპონსორო დახმარება რუსული კომპანიებიდანაც მიიღო.

მეორე დღეს მარატ გელმანის კერძო კოლექციის გახსნა მრავლისმთქმელი უნდა ყოფილიყო, თუმცაღა იგი „მხატვართა სახელმწიფო სახლში“ მოეწყო. ცნობილი გალერისტების მცირე ჯგუფის წარმომადგენელი მარატ გელმანი 1990-იანებში რუსეთში დარჩა. ძლივს გადარჩა მას მერე, რაც ნაციონალისტებმა ეთნიკური თემებისადმი მიძღვნილი გამოფენის გამო სცემეს.

გელმანი თავადაა პარადოქსი. მან თავისი იმიჯი ლოიალური პოლიტიკური კონსულტანტის სახელით შეიქმნა. იგი კრემლს კრემლის პოლიტიკის გატარებაში ეხმარებოდა. როცა ეს საქმიანობა მობეზრდა, თავისსავე გალერიის ფარგლებში დისიდენტების ბანაკში გადაბარგდა, რის გამოც იწვნია კიდეც. ახლა საერთაშორისო ღონისძიების მოწყობას იმ მიზნით აპირებს, რომ პოლიტიკაში რუსეთის ეთნიკური უმცირესობები მიიწვიოს. ამისთვის კი იუსტიციის სამინისტროს ნებართვა სჭირდება, ანუ, ფაქტობრივად, პუტინის თანხმობა. დასტური მან უკვე მიიღო, ამით კი დაამტკიცა, რომ კრემლის მოწონება დისიდენტსაც სჭირდება.

გელმანი ამბობს: „ადრე როკმუსიკა პროტესტის ფორმა იყო. ახლა ცნობილი როკმუსიკოსები პროკრემლური პარტიების მიტინგებზე გამოდიან. ხელოვნება — ოპოზიციის პოტენციურად ახალი და უკანასკნელი საშუალებაა“. თუმცა, როგორც ერთმა სკეპტიკოსმა დასძინა, პუტინს შეუძლია თავის თავს ასეთი ოპოზიციის ყოლის უფლება მისცეს. რადგან ამგვარ ხელოვნებას თითქმის ვერავინ ხედავს. გელმანის გამოფენა, სიმართლე რომ გითხრათ, არც კი ჩაითვლება ოპოზიციად. ოპოზიციასთან ყველაზე ახლოს იყო პოლონიუმით მოწამლული მსხვერპლი — საწოლში მწოლიარე ალექსანდრე ლიტვინენკო, ველურად არაერთაზროვანი წარწერით: „როცა მე სახელოვნებო კრიზისი მაქვს, ყოველთვის დივანზე ვწევარ, ადგომა არ შემიძლია, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ“. ამგვარი შინაარსის სურათის გვერდით მდგომმა რუსმა ხელოვნებათმცოდნემ განმარტა, რომ ეს არის ირონიის გამოყენებით შემსუბუქებული ილეთი.

დაბოლოს, სახელმწიფოს კუთვნილი ტრეტიაკოვის მუზეუმის ახალ კომპლექსში, რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მე ანტირეჟიმის ყველაზე ნათელ ექსპონატებს წავაწყდი. შეიძლება ეს სულაც არაა პარადოქსი. აქ პუტინისეულმა ჩინოვნიკებმა დოზირებულ პროტესტს არსებობის ნება დართეს. გამოფენა წარმოადგენდა საბჭოთა ეპოქიდან (რომელმაც ისეთი მხატვრები შვა, როგორებიც არიან კაბაკოვი და მელამიდი) ვიდრე დღემდე არსებულ „დამოუკიდებელ“ ხელოვნებას. თანამედროვე ხელოვნების სექციაში გამოფენილი იყო ჩეჩნეთის ომის ფოტოსურათები, საკმაოდ პროვოკაციული, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მედია ჩეჩნეთის პრობლემების შესახებ უკვე აღარ გვიყვება. სამაგიეროდ, ვერავინ დაინახა კედლიდან ჩამოხსნილი ახალი სამხედრო სკანდალის ამსახველი გამოსახულება, რომელიც აფიქსირებდა რუსი ოფიცრების მიერ ახალწვევამდელების პროსტიტუტირების იძულებას. ამ ფულს ოფიცრები თავად იჯიბავდნენ. ეს, ეტყობა, პროტესტის გამოსახატად უკვე ნამეტანი იქნებოდა.

გელმანის სახლში გამართულ წვეულებაზე მე მხატვრებს ვკითხე, თუ რაში მდგომარეობს პოლიტიკისადმი პროტესტის შემცველი ნაწარმოებების სიმცირის მიზეზი. არადა ეს თემა აშშ-ში საკმაოდ პოპულარულია. „რუსეთში ეს ჯერ არ იყიდება — მიპასუხა ერთ- ერთმა. — ხელოვნებაში კი ახლა დიდი ფული დევს. ირონია კარგად იყიდება“ სხვები წუწუნებდნენ მხატვრის როლის მარგინალიზაციაზე და მხატვრის, როგორც დისიდენტის როლის შესუსტებაზე. ზოგი მედავებოდა და მეკითხებოდა, თუ რატომ უნდა იყოს ხელოვნება პოლიტიკური?. იმისათვის, რომ როცა უკვე საქმეები ძალიან ცუდად იქნება, პოლიტიკით დაუინტერესებლობა ნიშნავს იმას, რომ შენ მხატვარი აღარ ხარ — მივუგე მე. რაზეც ფრთხილად მიპასუხეს: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თუ პუტინი წავა, საქმეები კიდევ უფრო ცუდად იქნება. შეიძლება ქაოსი და ნაციონალიზმი გაღვივდეს. ჩვენ ყველას ამ სიტუაციის დაძლევა გვინდა. მან ეს იცის და იყენებს კიდეც. იგი დაუშვებს ზუსტად იმდენ ძალადობასა და პროტესტს, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლის. ეს საშიში თამაშია“.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

**(გაგრძელება იქნება)**

## დედაქალაქი



*ბავშვობის მეგობარმა, რომელიც უკვე დიდი ხანია გერმანიაში ცხოვრობს, ერთხელ მომიყვა: იქ, გერმანიაში, ერთი რუსი კაცი მყავს მეზობელი, რომელიც, ჩემი სიკეთისა არ იყოს, თევზაობის ტრფიალია, ჰოდა, ჯერ კიდევ ახალი ჩასული ვიყავი, კარგი სათევზაო ადგილი ვიცი და წავიდეთ შაბათ-კვირასო. მართლაც, ანკესები და ბადე მოვიმარჯვეთ და წავედით იმ ნაქებ ტყის ტბაზე. დიდხანს მოგვიწია სიარულმა უსიერ ტყეში, ვიდრე ულამაზეს ტბას მივადექით, რომლის ნაპირას პატარა ქოხი, მაგიდა და სკამები და, რაც მთავარია, რამდენიმე სხვადასხვაფრად შეღებილი... ნაგვის ყუთი იდგა, სხვადასხვა სახეობის ნაგვისთვის! წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება! გარდა იმისა, რომ ნაგავი იქვე ხარისხდება, ის ხომ გააქვთ კიდეც სათანადო სამსახურის თანამშრომლებს!..*

# ვერის ბაღის სიკვდილის მოლოდინი

ეს ამბავი ვერის ბაღის წინ სკამზე მსხდომს გამახსენდა, როცა სიგარეტის ნამწვავის გადაგდება დავაპირე, მაგრამ ახლომახლო არც ერთი ურნა არ იყო. არადა იქვე, სხვა არაფერი, ორი კაფე არის, ლუდხანებიც... ვერის ბაღის წინ კი მეგობარს ველოდებოდი, ორიოდე დღით ადრე რომ მითხრა აღშფოთებულმა — ერთი, თუ ძმა ხარ, ბაღის ეგრეთ წოდებული ბავშვთა მოედანი ნახე, გული გაგისკდება! შევხვდით კიდეც ერთმანეთს და ის „ბავშვთა მოედნიც“ ვნახეთ, ბატონებო, მაგრამ ნეტავ არ გვენახა!..

გახსოვთ, 30 წლის წინანდელი ფილმის „თოჯინები იცინიან“-ის დაუვიწყარი ეროსი მანჯგალაძის გმირი, თოჯინების ფაბრიკის დირექტორი, თავს ვოკალის სპეციალისტად რომ ასა-



ღებდა, თავად კი გამუდმებით სათამაშოებზე იწყებდა ლაპარაკს? „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი“, კითხულობს და თავადვე პასუხობს — იმიტომ რომ სათამაშოები არ ჰქონდაო. ვერ გეტყვით, თუ რამდენად გონებაგახსნილი გამოვა ის ბავშვი, ვინც ვერის ბაღში სათამაშო მოედანზე ერთხელ მაინც თუ ეცდება თამაშს, მაგრამ ტრავმის გარეშე რომ ვერ გადარჩება, ეს, ჩემი აზრით, „სამწუხაროდ, გარდუვალია“. თუმცა ტრავმას ვინ ჩივის — ნეტავ იმ სიკვდილის კიბეზე გავლილს, იმ სასრიალებელზე დაშვებულს, რომლის ქვედა ნაწილს ჩემმა მეგობარმა ბასრი დანასავით ამოშვერილი რკინა თავისი ხელით მოაცილა, ანდა ჩამოგლეჯილ-დალეწილ საქანელაზე ერთხელ მაინც თუ გაქან-გამოქანდა და თავ-ფეხი მთელი მაინც შერჩებოდეს...

კიდევ კარგი, თუ პატარას უფროსი ახლავს და იმ საშინელებათა საბავშვო მოედანზე პატრონთან ერთად მივიდა, არ გამოეპარა და „თვითშემოქმედება“ არ დაიწყო იმ კოშმარულ რკინის კაცმა არ იცის, რომელი ჯალათის დამონტაჟებულ-დადგმულ ვითომდა, „ატრაქციონებზე“ და თავისით არ გადაწყვიტა გართობა!

**ყველაფერი იქით იყოს, მაგრამ როცა დედაქალაქის მერია, ცენტრალური რაიონების გამგეობები ამდენ ფულს ხარჯავენ ყოველწლიურად უაზრო კონცერტებსა და შადრევნების მოწყობასა და გადატან-გადმოტანაზე, ნუთუ ასე ძნელია ორი-სამი ათასი ლარის გამოძებნა და ჩვენივე პატარების უსაფრთხოების დაცვა! ვფიქრობ, სავსებითადაა შესაძლებელი, ოღონდ ამისთვის ვიღაც უნდა გაისარჯოს და „ატკატზე“ ნაკლებად იფიქროს.**

თუ რაოდენ საშიშია ეს ვაი-ატრაქციონები ჩვენი პატარა თანამოქალაქეებისთვის, ფოტოებით შეგიძლიათ დარწმუნდეთ, პატივცემულო მკითხველო, რომლებიც საგანგებოდ გადაიღო ჩემმა კოლეგამ ჯემალ კასრაძემ. ბევრსაც, დარწმუნებული ვარ, თავადაც ნანახი გაქვთ ეს კოშმარი, რომლითაც დედაქალაქის ცენტრში ბაღის თავკაცები, სადაც, მოგეხსენებათ, ჭადრაკის სასახლეც არის აივანზე



ფულის საკეთებლად დადგმული მაგიდის ჩოგბურთის მაგიდებით, ოთხი ლუდხანა თუ კაფე. განა ასეთი ძნელია ვინმეს აზრად მოუვიდეს, რომ ბავშვების „გონებაჩლუნგობაზე“ თუ არ დარდობს, მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე მაინც იზრუნოს და თუკი იმ „სათამაშო მოედანს“ არ მიხედავს, მოშალოს მაინც, თორემ ვინც აქაურ „ხიდს“ ნახავს, თავადაც მიხვდება, რომ მას ბავშვი კი არა, სიცოცხლის საფრთხეში ჩაუგდებლად მოზრდილიც ვერ გადაივლის.

თუ არადა, ვერის ბაღისა თუ დედაქალაქის თავკაცები იმ „სათამაშო“ მოედანზე უნდა მიიყვანო და თავად ათამაშო იქ ოჯახის წევრებთან ერთად.

მერე ვნახავდი რა ხასიათზე დადგებიან!

**ოთარ ტურაბელიძე.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**უეფას თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდი. II ტური.**

**I ჯგუფი.** „სიტი“ – „ტვენტე“ 3:2, „რასინგი“ – „შალკე“ 1:1:. ისვენებდა „პსჟ“.

„შალკე“ – 4, „სიტი“, „ტვენტე“ – 3-3, „რასინგი“ – 1, „პსჟ“ – 0 ქულა.

**27 ნოემბერს ითამაშებენ:** „პსჟ“ – „რასინგი“, „შალკე“ – „სიტი“. ისვენებს „ტვენტე“.

**II ჯგუფი.** „ბენფიკა“ – „გალათასარაი“ 0:2, „მეტალისტი“ – „ჰერტა“ 0:0. ისვენებდა „ოლიმპიაკოსი“.



„გალათასარაი“ – 6, „ჰერტა“ – 2, „მეტალისტი“, „ბენფიკა“ 1-1, „ოლიმპიაკოსი“ – 0 ქულა.

**27 ნოემბერს ითამაშებენ:** „გალათასარაი“ – „მეტალისტი“, „ოლიმპიაკოსი“ – „ბენფიკა“. ისვენებს „ჰერტა“.

**III ჯგუფი.** „შტუტგარტი“ – „პარტიზანი“ 2:0, „სტანდარდი“ – „სევილია“ 1:0. ისვენებდა „სამპდორია“.

„სამპდორია“, „სტანდარდი“, „სევილია“, „შტუტგარტი“ – 3-3, „პარტიზანი“ – 0 ქულა.

**27 ნოემბერს ითამაშებენ:** „სამპდორია“ – „შტუტგარტი“, „პარტიზანი“ – „სტანდარდი“. ისვენებს „სევილია“.

**IV ჯგუფი.** „ტოტენჰემი“ – „დინამო“ (ზაგრებიძ 2:0, „სპარტაკი“ – „უდინეზე“ 1:2. ისვენებდა „ნაიმეგენი“.

„უდინეზე“ – 6, „ტოტენჰემი“, „დინამო“ (ზაგრებიძ – 3-3, „ნაიმეგენი“, „სპარტაკი“ – 0-0 ქულა.

**27 ნოემბერს ითამაშებენ:** „ნაიმეგენი“ – „ტოტენჰემი“, „დინამო“ (ზაგრებიძ – „სპარტაკი“. ისვენებს „უდინეზე“.

**V ჯგუფი.** „მილანი“ – „ბრაგა“ 1:0, „ვოლფსბურგი“ – „ჰერენვენი“ 5:1. ისვენებდა „პორტსმუთი“.

„მილანი“ – 6, „ვოლფსბურგი“, „ბრაგა“ – 3-3, „პორტსმუთი“, „ჰერენვენი“ – 0-0 ქულა.

**27 ნოემბერს ითამაშებენ:** „პორტსმუთი“ – „მილანი“, „ბრაგა“ – „ვოლფსბურგი“. ისვენებს „ჰერენვენი“.

**VI ჯგუფი.** „აიაქსი“ – „ჟილინა“ 1:0, „სლავია“ – „ასტონ ვილა“ 0:1. ისვენებდა „ჰამბურგი“.

„ასტონ ვილა“ – 6, „ჰამბურგი“, „აიაქსი“ – 3-3, „სლავია“, „ჟილინა“ – 0-0 ქულა.

**27 ნოემბერს ითამაშებენ:** „ჰამბურგი“ – „აიაქსი“, „ჟილინა“ – „სლავია“. ისვენებს „ასტონ ვილა“.

**VII ჯგუფი.** „სენტ ეტიენი“ – „რუსენბორგი“ 3:0, „ვალენსია“ – „კოპენჰაგენი“ 1:1. ისვენებდა „ბრიუგე“.

„სენტ ეტიენი“ – 6, „ბრიუგე“, „ვალენსია“, „კოპენჰაგენი“, „რუსენბორგი“ – 1-1 ქულა.

**27 ნოემბერს ითამაშებენ:** „რუსენბორგი“ – „ვალენსია“, „ბრიუგე“ – „სენტ ეტიენი“. ისვენებს „კოპენჰაგენი“.

**VIII ჯგუფი.** „ფეიენოორდი“ – ცსკა 1:3, „ლეხი“ – „ნანსი“ 2:2. ისვენებდა „დეპორტივო“.

ცსკა – 6, „ნანსი“ – 4, „ლეხი“ – 1, „დეპორტივო“, „ფეიენოორდი“ – 0-0 ქულა.

**27 ნოემბერს ითამაშებენ:** ცსკა – „ლეხი“, „დეპორტივო“ – „ფეიენოორდი“. ისვენებს „ნანსი“.

კიკბოქსინგი



# ხუთშაბათობა – ლაითოფისში

**საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაციამ (პრეზიდენტი გოჩა ჯავახიაძ შესანიშნავ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი – ყოველ ხუთშაბათს ბარათაშვილის ხიდქვეშ მდებარე ლაითოფისში კიკბოქსინგის ოსტატთა მონაწილეობით K-1-ის ტურნირები გაიმართება.** გუშინწინ ქართველი სპორტსმენები აზერბაიჯანელებს შეხვდნენ. ექვსიდან ოთხ ორთაბრძოლაში წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს. 71 კილოში ეფექტურად გაიმარჯვა მსოფლიოს და ევროპის ორგზის ჩემპიონმა, მსოფლიო თასის მფლობელმა დათო ჯავახიამ, რომელმაც პირველსავე რაუნდში ისეთი დღე აყარა მეტოქეს, რომ აზერბაიჯანელთა მწვრთნელი იძულებული გახდა, შეგირდი რინგიდან მოეხსნა.

**გოჩა ჯავახია:** მსგავსი ტურნირები მთელ მსოფლიოში სისტემატურად იმართება და მას დიდი რეზონანსი აქვს. ჩვენც ვცდილობთ, მხარი ავუბათ. ალბათ, უხარვეზო არ იყო, თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩვენი პირველი ღონისძიებით გულშემატკივრები კმაყოფილნი დარჩნენ. სპონსორები ხელს თუ გაგვიმართავენ, შეჯიბრებებს უფრო მაღალ დონეზე გავმართავთ. მომდევნო ხუთშაბათს იტალიელებსა და უკრაინელებს ველით. ჩვენი საუკეთესო ათლეტები 25 ნოემბერს პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

**რასიმ ეივაზოვი, აზერბაიჯანის თავისუფალი ორთაბრძოლების ფედერაციის პრეზიდენტი:** საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაციასთან მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს. უკვე მეოთხედ ჩამოვდივარ თქვენს ქვეყანაში. უწინ მსგავს ტურნირებზე ბათუმსა და ზუგდიდშიც ვიასპარეზეთ. ზოგი იმარჯვებს, ზოგიც მარცხდება, მთავარი მაინც ის არის, ორ ერს შორის ხალხთა მეგობრობის განტკიცებას ვუწყობთ ხელს და, რაც მთავარია, ბიჭები საერთაშორისო სარბიელზე გამოსასვლელად გამოცდილებას იძენენ. 15 ნოემბერს ბაქოში საერთაშორისო ტურნირს ვუმასპინძლებთ. დარწმუნებული ვარ, ქართველი სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: დავით ჯავახია (მარჯვნივძ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გამარჯვების შემდეგ.**

კალათბურთი

# ესპანელთა ჯვარი

**ევროლიგის III ტურში ხუთი ესპანური კლუბიდან ოთხი დამარცხდა, თუმცა მათგან განსაკუთრებით მწარედ მადრიდის „რეალის“ წაგება უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც საკუთარ დარბაზში მოსკოველ არმიელებთან გამართული პრინციპული დუელი დათმო.**

**„ა“ ჯგუფი.** „აველინო“ – „უნიკახა“ 72:70, „ციბონა“ – „ოლიმპიაკოსი“ 85:76, „მაქაბი“ – „ლე მანი“ 82:80.

„ციბონა“ – 3, „ოლიმპიაკოსი“, „მაქაბი“ – 2-2, „უნიკახა“, „აველინო“ – 1-1, „ლე მანი“ – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „უნიკახა“ – „ციბონა“, „აველინო“ – „ლე მანი“, „ოლიმპიაკოსი“ – „მაქაბი“ (13 ნოემბერიძ.

**„ბ“ ჯგუფი.** „სიენა“ – „ბარსელონა“ 71:61, ნანსი“ – „პანათინაიკოსი“ 70:80, „პროკომი“ – „ჟალგირისი“ 65:60.

„სიენა“ – 3, „ბარსელონა“, „პროკომი“, „პანათინაიკოსი“ – 2-2, „ჟალგირისი“, „ნანსი“ – 0-0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „პანათინაიკოსი“ – „სიენა“, „ბარსელონა“ – „პროკომი“, „ნანსი“ – „ჟალგირისი“ (12 ნოემბერიძ.

**„გ“ ჯგუფი.** „ტაუგრესი“ – „ალბა“ 106:65, „ოლიმპია“ – „რომა“ 67:78, „ხუვენტუდი“ – „ულქერი“ 67:70.

„ტაუგრესი“ – 3, „რომა“, „ულქერი“ – 2-2, „ალბა“, „ხუვენტუდი“ – 1-1, „ოლიმპია“ – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ალბა“ – „ხუვენტუდი“, „ტაუგრესი“ – „რომა“ (12 ნოემბერიძ, „ულქერი“ – „ოლიმპია“ – (13 ნოემბერიძ.

**„დ“ ჯგუფი.** „რეალი“ – ცსკა 54:58, „პარტიზანი“ – „მილანი“ 81:76, „ეფესი“ – „პანიონიოსი“ 69:78.

ცსკა – 3, „პარტიზანი“, „ეფესი“ – 2-2, „რეალი“, „პანიონიოსი“ – 1-1, „მილანი“ – 0 მოგება.



**შემდეგი ტური:** ცსკა – „ეფესი“ (12 ნოემბერიძ, „პანიონიოსი“ – „პარტიზანი“, „რეალი“ – „მილანი“ (13 ნოემბერიძ.

ინტერნეტიდან

## პრესკონფერენცია — წყნარად, ბრძოლა — ?



**როგორც პრესა იუწყება, უჩვეულოდ წყნარად ჩაიარა გერმანულ მანჰეიმში ვლადიმერ კლიჩკოსა და ჰასიმ რახმანის პრესკონფერენციამ, რომელთა მატჩი 13 დეკემბერს იქ გაიმართება. როგორც ამბობენ, IBF, WBO და IMO ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონს, უკრაინელ მოკრივეს ვლადიმერ კლიჩკოს ძალზე გაუჭირდა მომავალი ამერიკელი მეტოქის დაჟინებული მრისხანე მზერის გაძლება. მაგრამ მაინც დაჯაბნა ის. თვალი პირველმა ამერიკელმა აარიდა.**

თავად პრესკონფერენციამ ერთობ წყნარად ჩაიარა, მთავარია, როგორი იქნება მათი ორთაბრძოლა რინგზე.

პრესკონფერენციაზე ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტიც გაიხსენეს. რახმანის მენეჯერმა სტივ ნელსონმა თავისი გამოსვლა ასე დაასრულა: „არ გეგონოთ, რომ ჩვენ არა გვაქვს ბრძოლის მოგების შანსი, მაგრამ ახლა მინდა ვთქვა ახლად არჩეული აშშ პრეზიდენტის ბარაკ აბამას სიტყვებით: „Yes, we can!“

ჭადრაკი

# სადრეზდენო რეპეტიცია

**ამას წინათ გაუწყეთ, რომ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ქალთა გუნდებს შორის ყველას „მონტე-კარლომ“ აჯობა – შვიდი შეხვედრიდან ხუთი მატჩი მოიგო და ორიც ფრედ დაამთავრა.** გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ სახელოვანი დიდოსტატები – ინდოელი ჰამპი კონერუ, შვედი პია კრამლინგი, პოლონელი მონიკა სოცკო, ფრანგი ელმირა სკრიპჩენკო. მათ შორის გახლდათ ქართველი მოჭადრაკე, 21 წლის ნანა ძაგნიძე, რომელმაც შვიდივე პარტია ითამაშა, 6 ქულა შესძინა „მონტე-კარლოს“, რითაც ჩემპიონატზე ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა და მესამე დაფაზე ოქროს მედალი დაიმსახურა. ნანამ ფარ-ხმალი დააყრევინა ლიტველ დიმენტე დაულიტეს, უკრაინელ ნატალია ჟუკოვას, ჩინელ ქსიუ ძაოს, რუს მარგარიტა ფახრეტდინოვას და უკრაინელ ინა გაპონენკოს, ხოლო გერმანელ ელისაბედ პეტცს და რუს სვეტლანა მატვეევას დაუზავდა.



ძაგნიძის ეს წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. თბილისის „ნტნ“-ის შემადგენლობაში მან ევროპის ჩემპიონატებზე ორჯერ გაიმარჯვა, თითოჯერ მეორე და მესამე ადგილებს დასჯერდა. თანატოლთა შორისაც არაერთხელ ყოფილა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი.

ამჟამად ნანა ძაგნიძე ერთ კვირაზე მეტია, ბაკურიანში იმყოფება და საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადისთვის ემზადება. ამ შეჯიბრებას ნოემბრის მეორე დეკადიდან დრეზდენი უმასპინძლებს.

– ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე „მონტე-კარლოს“ შემადგენლობაში გამოსვლამ კარგი საშეჯიბრო გამოცდილება შემძინა, – მითხრა ნანამ, – ძლიერ დიდოსტატებს შევხვდი. ვიცი, მათთან გერმანიაშიც მომიწევს პაექრობა, ამიტომ წარმატებით გასამკლავებლად ახალი ვარიანტების დამუშავებაა აუცილებელი. ბაკურიანში ფიზიკურ მომზადებასთან ერთად სწორედ დებიუტების მომზადებით ვარ დაკავებული. ჩვენს გუნდში ერთსულოვნებაა და მჯერა, ოლიმპიადაზე საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებთ.

შეგახსენებთ, რომ დრეზდენში საქართველოს ნაკრების ღირსებას მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი და სოფიკო ხუხაშვილი დაიცავენ.

**გიორგი გაგუა**

## გაუხდელობა არ შეუძლია?



**ასე განაცხადა რებეკა ლუისმა, თუმცა ამით მსოფლიო ვერ გააოცა. ალბათ გახსოვთ, 2004 წელს მან სწორედ „ქვეყანა აალაპარაკა“, როდესაც დევიდ ბექჰემთან „სექსუალური ხასიათის“ ურთიერთობებზე ჰყვებოდა. მაშინ ის ძალზე პოპულარული გახდა, მზად იყო ყველასთან „ჩასურათებულიყო“, ოღონდ ქვედა საცვლებით ან ბიკინებში. თუმცა ახლა მაინც და მაინც აღარ სიამოვნებს ძველის გახსენება.**

„ის ურთიერთობანი ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი იყო, – განუცხადა ლამაზმანმა გაზეთს The Sun, – მაგრამ ყველაფერი წარსულში დარჩა“. თუმცა ახლა რებეკა თავს უფრო სექსუალურად გრძნობს, ვიდრე ოდესმე. „ახლა 31 წლისა ვარ და გადასარევად ვგრძნობ თავს. სექსი დიდებულია. ჩემი დამოკიდებულება მამაკაცებთან გადასარევია! მე მიყვარს ჩემი სხეული, ჩემი ფორმები! უბრალოდ არ შემიძლია, შევწყვიტო გაშიშვლება ჩემთვის და სხვებისთვის!“

# ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენსავე ხელთ არის

## გვირჩევენ, გავითვალისწინოთ

## ◉ როგორ მოვუაროთ თავს?

### მდუმარე გენები ახალგაზრდობაზე მღერიან

**ჩინელი ძიან კანჯენი თითქმის ორი ათეული წელია, წყნარად, ჩუმად ახდენს სასწაულებს – ხალხს უბრუნებს ახალგაზრდობას.**



მან გამოიგონა ხელსაწყო, რომელიც იწერს იხვის სპერმატოზოიდების ელექტრომაგნიტურ რხევებს, რომლებითაც შემდეგ ასხივებს ქათმის კვერცხებს. წარმოიქმნება ეფექტი, რომელიც ანალოგიურია იმისა,რომ მამალმა იხვმა დააპეპლოს ქათამი (რაც, როგორც ცნობილია, ბუნებაში არ ხდებაძ. მეორე ცდის დროს იწერს არაქისის ვიბრაციებს და აგზავნის მათ მზესუმზირის ყლორტებისკენ. გვირგვინიდან ამოღებული მზესუმზირის მარცვლებს აქვთ არაქისის გემო. და ეს სულაც არაა ფოკუსი. ასეთ ცდებს შეიძლება კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდეთ. ვთქვათ, სიმინდის გაღვივებულ თესლს ასხივებენ ხორბლიდან მოხსნილი სიგნალებით, – და ვღებულობთ თავთავებს, რომლებზეც ჩვეულებრივის მაგივრად ჩამოყალიბდება თავთავი, რომლის მარცვლები ჰგავს სიმინდისას და არა ხორბლისას. ამ დროს ხორბლის მოსავლიანობა იზრდება 2-ჯერ, ხოლო მწვანე ბიომასა – 3-ჯერ.

ნოვოსიბირსკელმა მედიცინის აკადემიკოსმა ვაილ კაზნაჩეევმა ჩინელი ბიოლოგის ამ გამოგონების ექსპერტიზაში ჩართო ხუთი ინსტიტუტის 130 მეცნიერი. ძიან კანჯენის შედეგების გულდასმით შესწავლის შემდეგ მათ გამოიტანეს დადებითი დასკვნა, რომელიც აგერ ოცი წელია დაცვის სიგელად ეხმარება მეცნიერს ყოველგვარი გრძნეულობის ბრალდების თავიდან აცილებაში.

შენიანის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის დროს ძიანი ექსპერიმენტულად დარწმუნდა: ადამიანის ბიოელექტრული ველი ასხივებს ზეგბერითი სიხშირეების სპექტრში. მან დაამზადა ლინზა, რომელიც ახდენდა ამ გამოსხივების ფოკუსირებას, შემდეგ კი იგი გააძლიერა რადიოაპარატურის დახმარებით.

აღმოჩნდა, რომ ბიოტალღები აღაგზნებენ ეგრეთ წოდებულ მდუმარე გენებს (ისინი ორგანიზმში 95-დან 99 პროცენტამდეაძ, რომლებიც ჯერჯერობით უცნობია, თუ რისთვისაა საჭირო. აქტიური გენები კი სულ რაღაც 1-დან 5 პროცენტამდეა. სამაგიეროდ ცნობილია, რომ მდუმარე გენები არ ბერდებიან. როცა „იღვიძებენ", ისინი ახდენენ ახალგაზრდა ცილის სინთეზირებას და ორგანიზმის დაზიანებულ ფრაგმენტებს ანიჭებენ „თვითმკურნალობის" უნარს.

როგორც კი ძიანმა ჩასვა პირველი თაგვები თავის ხელსაწყოში, შენიშნა, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა წელიწადი – წელიწად-ნახევრით (ეს მათთვის დაწესებული ვადის 50-70 პროცენტიაძ, „ბებრების" სქესობრივი ფუნქცია აღდგა, კიბოთი დაავადებული ცხოველები კიდეც განიკურნენ და იმუნიტეტიც გამოუმუშავდათ სასიკვდილო დაავადებაზე.

მე ძიან კანჯენი გავიცანი 1989 წელს. მაშინ იგი 56 წლის გაჭაღარავებული მამაკაცი იყო. როდესაც 2003 წელს ის ხაბაროვსკიდან მოსკოვს ჩამოფრინდა, დამირეკა და ჩვენ შევთანხმდით შეხვედრაზე. მე ის ჩინური ირიბი თვალებით ვიცანი. ჩემთან მოვიდა წელში გამართული, ახალგაზრდული შესახედაობის მამაკაცი შავი თვალებით. ის 70 წლისაა? გამორიცხულია!

მასთან საუბრის შემდეგ გავიგე, რომ მეცნიერი ისხივებს თავს ხორბლის, ბარდის, სიმინდის, ქერის ახალგაზრდა ყლორტებით. შედეგები, რომ იტყვიან, სახეზეა.



პირველი ადამიანი კი, ვინც ნებაყოფლობით მოხვდა ახალგაზრდობის სხივებქვეშ 80-იანი წლების ბოლოს, იყო კანჯენის მამა. 80 წლის მოხუცი ერთ თვეში დაემშვიდობა ავადმყოფობებს, ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში რომ აწამებდა, ნაოჭები გადაეტკიცა, მელოტ თავზე გაჩნდა გრუზა შავი თმა, ერთი წლის შემდეგ ამოუვიდა რამდენიმე წლის წინათ ჩამოვარდნილი კბილი.

უამრავმა ადამიანმა დააღწია თავი ავთვისებიან სიმსივნეებს „სიცოცხლის სხივების" წყალობით. ცერებრალური დამბლით დაავადებულმა პატარებმა ისწავლეს ლაპარაკი და სიცილი, სიარული და ცეკვა. ძიანის სტატისტიკაში 600-ზე მეტი პაციენტია.

მე მოვნახე ერთ-ერთი მათგანი, პროფესორი ევგენი იუჩენკო. 46 წლის მეცნიერი ჩავიდა ხაბაროვსკში, მას აწუხებდა კენჭები თირკმელებში. საღოქტოროზე მუშაობის შემდეგ გაუუარესდა მხედველობა. ერთი თვის განმავლობაში ყოველ ღამით ის სწავლობდა ძიანთან. ქვების შესახებ იუჩენკომ დაივიწყა, ჭაღარა თმები გაუშავდა, სათვალეები ხელახლა დასჭირდა ხუთი წლის შემდეგ. სწორედ ამდენი ხნით დაიხია უკან მისმა ასაკმა.

ძიანის კოლეგებმა ჯენ ციანმა და ტან ზინხუანმა შეაფასეს ძიანის 35 პაციენტის ბიოლოგიური ასაკი: 80 წლიდან (პლუს-მინუს 5ძ მან 50-მდე დაიწია!

**საველი კაშნიცკი**

### დღეგრძელობის ფაქტები

**მედიკოსებისთვის ცნობილია ოთხი მარტივი წესი, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, გაიხანგრძლივოს სიცოცხლე. ინგლისელმა მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ „წესის მიხედვით ცხოვრების ასეთი წესი" საშუალოდ 14 წლით უფრო ხანგრძლივია.**



1. ყოველდღე უნდა მიირთვათ სულ ცოტა ნახევარი კილოგრამი ბოსტნეული, ხილი, მწვანილი და კენკრა. ბუნების ნობათი შეიძლება იყოს ცოცხალი, გაყინული, გამხმარი – კულინარული დამუშავების შემდეგ. თუმცა, სასარგებლო კერძებს არ განეკუთვნება მწნილი, მარინადი და მურაბა. ამავე დროს ამ ყოველდღიურ 500 გრამში არ შედის კარტოფილი და ფაფები.

2. ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა დალევაც... მაგრამ ძალიან ცოტა: ან 1-2 ჭიქა მშრალი ღვინო დღეში, ან ბოთლი ლუდი, ან 40 მილილიტრი არაყი, კონიაკი ან ვისკი. ალკოჰოლის „ჯანსაღი დოზა" შეიძლება მიიღო ყოველდღე, თუმცა არ იქნებოდა ცუდი, თუ კვირაში ორ დღეს შეისვენებდით.

3. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი წესია აბსოლუტური უარის თქმა მოწევაზე. ეს ძალიან სახიფათო ჩვევაა, რომელიც არასოდეს არ ჩაივლის უკვალოდ ჯანმრთელობისათვის.

4. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იყოთ მოძრავი, განიცდიდეთ ფიზიკურ დატვირთვას, გადატვირთვის გარეშე. ვისაც მჯდომარე სამუშაო აქვს – სულ ცოტა 30 წუთი ყოველდღიურად უნდა გამოიყენოს ფიზიკური აქტიურობისთვის: უბრალო მოძრაობანი, სიარული ჩქარ ტემპში. მათთვის კი, ვინც ფიზიკურად შრომობს, ძირითადი სამუშაოს დატვირთვაც საკმარისია.

### სხვათა შორის

**ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებთა გამოკითხვის შედეგად შოტლანდიელმა ფსიქოლოგებმა აღმოაჩინეს გასაოცარი და სასიამოვნო ფაქტი: ისინი, ვინც კვირაში სულ ცოტა სამჯერ ეძლეოდნენ სიყვარულის ვნებას, გამოიყურებოდნენ 10 წლით უფრო ახალგაზრდულად, ვიდრე ის წყვილი, ვინც ამისთვის „თავს სწირავდნენ" კვირაში მხოლოდ ორჯერ.** მეცნიერები ამას უკავშირებენ ქონის რაოდენობის შემცირებას (სექსი ცვლის ფიზკულტურასძ და ტვინში ენდორფინების – ტკივილგამაყუჩებელი მოქმედების ნივთიერების გამომუშავებას.

ლუიზიანის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადასტურეს, რომ დაბალკალორიულ დიეტას შეუძლია სხეულის ტემპერატურისა და სისხლში ინსულინის დონის შემცირება. ეს კი ამცირებს ქსოვილებში გენეტიკური შეცდომების დაგროვებას, მაშასადამე, ანელებს სიბერეს.

### რა ამცირებს სიცოცხლეს?

**სერიალების ყურება და მათი შემდგომი განხილვა არ შეიძლება იყოს სიცოცხლის წამქეზებელი მოტივი. სიცოცხლისადმი ინტერესს იცავს მხოლოდ ჯანსალი ამბიციები: ახალი პროფესიის ათვისება, ყაისნაღით ქსოვა, შვილიშვილისთვის კითხვის სწავლება, კარგ ადამიანზე გათხოვება.**

* * *

**გულჩათხრობილი, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანისათვის გარემოზუნება სტრესული გარემო ხდება, სადაც იგი კომფორტს ვერ განიცდის. თავდაცულად ადამიანი გრძნობს მხოლოდ თავისნაირებთან – როგორც „წოდებით" ისე მდგომარეობით – ურთიერთობის დროს.**

* * *

**„ზნეობა დაეცა, ფასები გაიზარდა, ახალგაზრდობა გათავხედდა" – ასეთი წარმოდგენები თითქოს არწმუნებენ ადამიანს: ასეთ ყოფაში სიცოცხლე არ ღირს.**

* * *

**გონივრული ფიზიკური დატვირთვა არა მხოლოდ გვინარჩუნებს კარგ განწყობილებას და უნარჩუნებს ტონუსს კუნთების სისტემას, არამედ ახდენს ნეიტრალიზებას „სტრესის ჰორმონებისა", რომლებიც დამღუპველად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე და თრგუნავენ ცილის სინთეზსს (ეს პროცესი გერონტოლოგებს დაბერების ძირითად მიზეზად მიაჩნიათძ.**

---

### სპორტდარბაზში – სოკოზე

**ფეხზე გამიჩნდა ფრჩხილის სოკო. რატომ? მე ხომ გულდასმით ვიცავ ჰიგიენას!**

**უპასუხებს ექიმი-დერმატოლოგი თენგიზ უსუფაშვილი:**

– ბევრი ფიქრობს, რომ სოკო – ეს არის დაავადება, რომელიც მხოლოდ უსუფთაოებს ემართებათ. ხოლო თუ დავიცავთ ჰიგიენას, რეგულარულად მივიღებთ შხაპს და დავიბანთ ფეხს, იგი არ გაგვეკარება. სამწუხაროდ, ასე არ არის. სოკო გადამდები დაავადებაა, რომელიც ხშირად აზიანებს სპორტის მოყვარულებს. ყველაფერი მარტივადაა: ფეხები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იმყოფება კედებში, მუდმივად იოფლება, იღლება, ხშირად ფეხსაცმელი იწვევს კანის გაყვლეფას, ეს კი იდეალური პირობაა სოკოების გასამრავლებლად, რომლებიც სველ ადგილებში კომფორტულად გრძნობენ თავს.



თუ შენიშნეთ, რომ გაგიჩნდათ სოკო, ნუ დააყოვნებთ ექიმთან მისვლას. სამკურნალოდ გამოიყენება სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები. მაგრამ მკურნალობის დანიშვნა მხოლოდ ექიმს შეუძლია. ბევრ ავადმყოფს ურჩევნია გამოიყენოს ფართოდ რეკლამირებული სოკოს საწინააღმდეგო ლაქები და საცხები. უნდა გვახსოვდეს, რომ სოკოს საწინააღმდეგო ლაქები გვეხმარება მხოლოდ დაავადების პირველ სტადიაში და არ მოქმედებს ფრჩხილის მთელ სისქეზე – ხშირად საჭიროა პრეპარატების მიღება შიგნით.

### გონიერი მარცვალი

**უკანასკნელ ხანებში ბევრს წერენ რაღაც სუ-ჯოკთერაპიაზე. რა არის ეს?**

**ელენე, კასპიდან**

**უპასუხებს ექიმი სუ-ჯოკთერაპევტი ირინე ჯაში:**

– სუ-ჯოკთერაპიამ შეითვისა ყველაფერი საუკეთესო აღმოსავლეთის მედიცინიდან. მისი შემქმნელია პროფესორი სუელიდან ჯე ვუ. ის დარწმუნებულია: ამ სასწაულებრივი მეთოდის დაუფლება შეუძლია ყველას.

საიდუმლო როდია, რომ ჩვენი ხელის მტევნები და ტერფები – ადამიანის სხეულის მინიატიურული პროექციაა. სხვათა შორის, კორეულად „სუ", ეს „მტევანია", ხოლო „ჯოკი" – „ტერფი". თუ სხვადასხვა მცენარეთა თესლებს დავიდებთ აქტიურ წერტილებზე, რომლებიც შეესაბამებიან ორგანიზმში დაავადებულ ადგილებს, ეს მარცვლები თავიანთ ენერგიას უნაწილებენ დაზიანებულ ადგილებს და გამოჰყავთ იქიდან დაავადებანი. თესლებში დაცული ძალებით შეიძლება ვუმკურნალოთ სხეულის ნებისმიერ ნაწილს. თესლი უნდა გვეჭიროს ხელში ან გვედოს ტერფზე რამდენიმე საათი დღე-ღამის განმავლობაში.

შინაგანი ორგანოების დაავადებათა სამკურნალოდ უნდა გამოვიყენოთ მსგავსი ფორმის თესლი. მაგალითად, თვალის, სარძეო ჯირკვლებისა და მიგრენის დაავადებათა სამკურნალოდ უნდა გამოვიყენოთ მრგვალი ფორმის თესლი – ბარდა, შავი წიწაკა. დაავადებული თირკმელებისა და კუჭის სამკურნალოდ – ლობიოს მარცვალი.



მეცნიერება

# პრემიათცვენა



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სმეაძ აკადემიურმა საბჭომ (ახლა ასე ეწოდება ყოფილ პრეზიდიუმსძ ბოლო სხდომაზე მკვლევართა დიდ ჯგუფს მიანიჭა გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიები 2008 წელს წარმოდგენილი ნაშრომებისთვის.**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია** ნაშრომისთვის **„საქართველოს ისტორიის ატლასი“** მიენიჭათ შემდეგ ავტორებს: აკადემიკოს **დავით მუსხელიშვილს,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს **დევი ბერძენიშვილს** (სიკვდილისშემდგომძ, **ჯონდო გვასალიას** (სიკვდილისშემდგომძ, **იური სიხარულიძეს;** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს **ზურაბ ცინცაძეს, თენგიზ თოდრიას** (სიკვდილისშემდგომძ, **ავთანდილ თორდიასა** და **მალხაზ ფუტკარაძეს.**

ნაშრომთა ციკლისათვის **„აბსტრაქტული ანალიზის, ზომის თეორიისა და კომბინატორული გეომეტრიის პრობლემები“ ნიკოლოზ მუსხელიშვილის** სახელობის პრემია დაიმსახურა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა **ალექსანდრე ხარაზიშვილმა.**

მონოგრაფიისათვის **„ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი“** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ვაჟა შენგელია** დაჯილდოვდა **არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემიით.**

**ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემიის** ლაურეატები გახდნენ აკადემიკოსები **ერეკლე თვალჭრელიძე** და **დავით შენგელია.** ეს პატივი მათ ხვდათ მონოგრაფიისათვის **„კამბრიულის წინაპალეოზოური რეგიონული მეტამორფიზმი, გრანტოიდული მაგმატიზმი და კავკასიის გეოდინამიკა“.**

**სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის პრემია** მიენიჭა აკადემიკოს **თინათინ ყაუხჩიშვილს** – წიგნისთვის **„საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“.**

მონოგრაფიისათვის **„ცერებროვასკულურ პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა“** დაიმსახურეს **ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემია** აკადემიკოსმა **ფრიდონ თოდუამ,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა **რომან შაქარაშვილმა** და **დუდანა გაჩეჩილაძემ.**

**ევგენი ხარაძის სახელობის პრემიით** აღინიშნა ფილოსოფიის დოქტორის (საზღვარგარეთ მოპოვებული სამეცნიერო ხარისხიაძ **ალექსანდრე თევზაძის** შრომათა ციკლი **„ტურბულენტური და კოჰერენტული პროცესები ასტროფიზიკურ დისკებში“.**

**„ქართული ხალხური სიმღერა. პირველი ფონოჩანაწერები (1901-1914ძ“** – ასე ჰქვია ნაშრომს, რომლისთვისაც **ანზორ ერქომაიშვილმა** და **ვახტანგ როდონაიამ** დაიმსახურეს **დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პრემია.**

დაბოლოს, **ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია** მონოგრაფიისათვის **„ნეკროეკონომიკა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია“ მიენიჭა აკადემიის წევრს ვლადიმერ პაპავას.**

წარმოდგენილ ნაშრომებს ძალიან მაღალი შეფასება მისცეს საექსპერტო კომისიების თავმჯდომარეებმა, აკადემიკოსებმა მარიამ ლორთქიფანიძემ, კიაზო ნადარეიშვილმა, აკადემიის წევრებმა ელიზბარ ნადარაიამ, რისმაგ გორდეზიანმა, მირიან თოფჩიშვილმა, ზაზა ალექსიძემ, გიორგი ჯაფარიძემ, გუჩა კვარაცხელიამ და ავთანდილ სილაგაძემ. არაერთხელ გაისმა „უნიკალური“, „მოვლენა ჩვენს მეცნიერებაში“, „საერთაშორისო რეზონანსი“, „უცხოეთში დასტამბული“ და სხვა საქები გამოთქმები. სმეაის განყოფილებაში ფარული კენჭისყრით გასულ ნაშრომებს აკადემიური საბჭოს წევრებმა ღიად უყარეს კენჭი და ყველას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რამდენიმე გარემოება: პირველად იქნა მინიჭებული ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ზაზა ფანასკერტელის, ევგენი ხარაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიები. ფილიპე გოგიჩაიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი გახლდათ. თავის დროზე ის ვერ გახდა მეცნიერებათა აკადემიის წევრი „ზემოდან“ მითითების მიზეზით. ეს „ხმიერი“ უსამართლობა ახლა ნაწილობრივ გასწორებულია მისი სახელობის პრემიის დაწესებით; სახელოვანი მამის სიმონ ყაუხჩიშვილის სახელოვანი ქალიშვილი ქალბატონი თინათინი, ალბათ ორმაგ მილოცვებს მიიღებს პრემირებასთან დაკავშირებით, ანზორ ერქომაიშვილი და ვახტანგ როდონაია თავიანთი ნაშრომის ტირაჟიდან 200 ცალს სმეას სჩუქნიან...

ჩვენს გაზეთს წარსულში არაერთხელ წამოუწევია თავის ფურცლებზე საააკადემიო პრემიების სასირცხვილო სიმცირის საკითხი. მკითხველს სიამოვნებით ვაუწყებთ, რომ აკადემიის ხელმძღვანელობამ, მეცნიერების უანგარო გულშემატკივართა თანადგომით მიაღწია სახელობითი პრემიების ფულადი გამოხატულების არსებითად გაზრდას: პეტრე მელიქიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემიები 5000-5000 ლარის ოდენობისაა, დანარჩენები – 3000-3000 ლარისა. ყოველწლიურად 10 პრემია იქნება მინიჭებული. საგრძნობლად მოიმატა თვით პრემიების რაოდენობამაც. მკითხველს ვპირდებით, რომ შესაფერის მომენტში მივაწვდით სახელობითი პრემიების სრულ ნუსხას.

**თამაზ ებანოიძე**

პირველი პოეტური კრებული

# სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარევს...

**გამოიცა მთავარეპისკოპოს თადეოზის (მირიან იორამაშვილის) ლექსების კრებული**

**მეუფე თადეოზის ლექსთა ეს კრებული ღვთივკურთხეული სტრიქონების მსხმოიარე ვენახს გაგონებს: მკითხველს ჯერ სანახევროდაც არ მოუკრეფია მტევნები და მათი სურნელება უკვე ათრობს, ახალისებს, კეთილი სიტყვის სათქმელად განაწყობს ავტორისადმი, ვინც ეს ზვარი გააშენა, გასხლა, შეწამლა, გაფურჩქნა და ოქროს ჯაგნებით მოავარაყა.**

და მართლაც, ამ ლექსთა ვენახში ვერ აღმოაჩენთ სიტყვათა ისეთ პოეტურ მტევანს, რომელშიც უდიდესი მოწიწებით არ ისმოდეს გულმხურვალე ლოცვა-ღაღადისი მამულისათვის, მოყვასისათვის, სიკეთისათვის, პატიოსნებისათვის, ერთგულებისათვის, მადლიერებისათვის, ურთიერთგატანისათვის. და ეს ლოცვა რწმენად, იმედად, შემართებად შემოდის მკითხველის გულში:

**„შეხე შენს იარებს,**
**რა გზებით იარე,**
**მაინც არ გატყდი და**
**სიმაღლეს ჩემობ,**
**სიმღერით ირჩენდი**
**ნახმლევ-ნატყვიარევს,**
**იმედით ცოცხლობდი –**
**მამულო ჩემო...“**

თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე თადეოზი ჭეშმარიტად ღვთის რჩეული და ღვთისმსახური პიროვნებაა. მისთვის სასულიერო და პოეტურ-საზოგადოებრივი ცხოვრება განუყოფელია. ამიტომ არის, რომ მის ლექსებში აღევლინება გულწრფელი ვედრება უფლისადმი, ღვთისმშობლისადმი, წმინდანებისადმი, ყველა ღირსეული მამულიშვილისადმი. მამულის, თანამოძმეთათვის თავდადების, ჭირისუფლობის იდეალად პოეტს დავით გურამიშვილი მიაჩნია:

**„და ებრძვის უჟმურებათა**
**დროის ქარებს**




**მუხა – უკვდავებით**
**დატოტვილი...**
**შენს წუხილს დიდი შოთა**
**შეიწყნარებს,**
**შენს ტკივილს იზიარებს**
**ტატო-ტკბილი“.**

მეუფე თადეოზს პოეტური თვალსაწიერის გარეშე არ რჩება სამშობლოს უმძიმესი დღეები, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს თვალწინ ჩაიქროლეს და, სამწუხაროდ, დიდზე დიდი საფიქრალი დაგვიტოვეს.

მთავარეპისკოპოსის ეს წიგნი, მისი ლექსების პირველი გამოცემა პირველი თაიგულია, რომელიც ავტორმა მოწიწებით დაავანა სამშობლოს წმიდათაწმიდა საკურთხეველზე, სადაც „ხმალზე უფრო ძლიერად ჭრის პატარა და რბილი ენა“.

წარმატება ვუსურვოთ საღვთო და პოეტურ ლოცვად მუხლმოდრეკილ მამულიშვილს მთავარეპისკოპოსს თადეოზს – მირიან იორამაშვილს. მრავალჟამიერ! ამინ!

**ხვთისავარ არჩემაშვილი**

## ინფორმაცია

მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „გზაპროექტის“, „საქწყალკანალპროექტის“, „კულტპროექტის“, „მშენებლობის პროექტირების ექსპერტიზის“ და „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ შერწყმა. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.

შპს „გზაპროექტი“

ქ. თბილისი, 26 მაისის სახელობის მოედანი, 2. ტელ: 26-37-58; ფაქსი 36-34-05.

დირექტორი ჯ. ტოგონიძე

## ინფორმაცია

მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „საქართველოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების კორპორაციის“, „კვანძის“, სახელმწიფო კომპანია „საქართველოს ნავთობპროდუქტების“, „სარედაქციო გამომცემლობის“, „მართვის კომპიუტერული ცენტრის“, „ტრანსტექნოტრესტის“, „ტურისტრემშენის“, „სპეცრემდიზაინის“, „მშენებელი 21“-ისა და „რიყეს“ შერწყმა. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ. მისამართი: ჭანტურიას №12, ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, მე-4 სართული, საწარმოთა მართვის სააგენტო.

ტელ: 93-44-61, 93-03-18.

ინფორმაცია

## 500 ლარი გათავისუფლების სანაცვლოდ

**აფხაზური მილიცია ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიას მკვიდრის, 70 წლის ძაძამიას გათავისუფლების სანაცვლოდ 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას ითხოვს. ამის შესახებ გალის რაიონიდან ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა.**

**– ძაძამია აფხაზმა მილიციელებმა საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო დააკავეს და ჯარიმის გადახდას მოითხოვენ. ჯარიმა დაახლოებით 500 ლარს შეადგენს თუმცა, იგი, შესაძლოა, 300 ლარის გადახდის შემთხვევაშიც გაათავისუფლონ, – განაცხადა წყარომ.**

## დააპატიმრეს ნარკოდამნაშავე

**შსს-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, თბილისის მთავარი სამართველოს თანამშრომლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებულია 35 წლის პეტრე ფუტკარაძე.**

**პოლიციამ მისი ბინის ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰეროინი“ ამოიღო, წონით 5,4138 გრამი.**

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

**წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის ზურაბ გოგუაძის სიდედრი, ქალბატონი**
**ქეთევან რაფიელის ასული ჩაჩუა**
**და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახის წევრებს.**

**შპს „ტექნო ინვესტის“ ლიკვიდატორი ბ-ნი ზურაბ ნებიერიძე გაცნობებთ, რომ შპს „ტექნო ინვესტის“ დამფუძნებელმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ, რაც დააფიქსირა მ/წლის 31 ოქტომბრის შესაბამისი ოქმით.**

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებსა და შპს „ტექნო ინვესტის“ კრედიტორებს (ასეთების არსებობის შემთხვევაშიძ გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14.**

**შპს „ტექნო ინვესტის“ ლიკვიდატორი ზ. ნებიერიძე, ტელეფონი 899-569-092.**

**სს „ელმავალმშენებელი“ 2008 წლის 8 ნოემბრიდან აცხადებს კონკურსს ერთ-ერთი საწარმოო კორპუსის – 78X24X10.2 მეტრი ფასადის კაპიტალური შეკეთების მომსახურების შესყიდვაზე, უნაღდო ანგარიშსწორებით.**

სამუშაოს ჩამონათვალი:

1. **პარაპეტის აღდგენა**
2. **ფასადის შელესვა ცემენტის ხსნარით**
3. **დაბრიზგვა**
4. **წყალგაუმტარი სითხით დაგრუნტვა**
5. **შეღებვა**
6. **თუნუქის ფურცლით პარაპეტების მოწყობა.**

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების პროფილით მომუშავე ყველა იურიდიულმა პირმა.

კონკურსში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა გადაიხადონ საკონკურსო მოსაკრებელი 200 (ორასიძ ლარი შემდეგ ანგარიშზე:

სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი

**ბანკის კოდი: 220101502**

**ანგარიშის ნომერი: 340698102000103300000**

და შესაბამისი საბანკო ქვითარი წარმოადგინონ დახურულ კონვერტში საკუთარ საკონკურსო პირობებთან ერთად 2008 წლის 28 ნოემბრის 15 საათამდე მისამართზე: სს „ელმავალმშენებელი“, გურამიშვილის გამზირი №84, ძველი ადმინისტრაციული შენობის II სართული, მთავარი ინჟინრის მისაღები.

**კონკურსი შედგება 2008 წლის 28 ნოემბერს 15 საათზე მისამართზე:**

**სს „ელმავალმშენებელი“, გურამიშვილის გამზირი №84, ძველი ადმინისტრაციული შენობის II სართული, მთავარი ინჟინრის კაბინეტი.**

**ობიექტის ადგილზე ნახვისა და სხვა ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონებზე: 8 55-58-53-50; 65-31-36.**

**სს „ელმავალმშენებელი“**

ქველმოქმედება

# არ დავიწყება მოყვრისა...

## მორიგი ჰუმანიტარული დახმარება დევნილებს

იმ კოლექტივებს შორის, ვინც ომის პირველი დღეებიდანვე შიდა ქართლიდან დევნილ მოსახლეობას მხარში უდგას, ერთ-ერთი პირველთაგანია ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი (რექტორი – პროფესორი ამირან მექვაბიშვილი). ისინი საკმაოდ დიდი ჰუმანიტარული



ნობათით ეწვივნენ თბილისის 175-ე სკოლას, სადაც გორის რაიონიდან დევნილი ოჯახები ცხოვრობენ. ამის შემდეგ რექტორთა საბჭო ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტს ეწვია. თბილისელმა რექტორებმა თავიანთ გორელ კოლეგებს დიდძალი საკანცელარიო ნივთები ჩაუტანეს. ამ კეთილ მისიას მადლიერებით შეხვდნენ გორის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მათი წინამძღოლი პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი.

დევნილებისადმი კაცურად მოიხადა თავისი ვალი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტმა. მაგრამ მისმა რექტორმა ამირან მექვაბიშვილმა საკმარისად არ მიიჩნია გამოჩენილი ყურადღება და ამ დღეებში თანამშრომლებთან ერთად კვლავ ეწვია თბილისის 175-ე საშუალო სკოლისა და თბილისის 151-ე საბავშვო ბაღის შენობებში დროებით თავშეფარებულ შიდა ქართლიდან ოტებულ თანამემამულეებს. ამჯერად მათ 150 სულზე თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სურსათ-სანოვაგე გადასცეს.

ორივე დაწესებულებაში გულთბილი შეხვედრები გაიმართა. დევნილებს იმედიანი სიტყვით მიმართ ჰუმანიტარული დახმარების ინიციატორმა, პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა. სტუმრებისადმი დიდი მადლიერება გამოხატეს 175-ე სკოლაში მცხოვრებ დევნილთა ოჯახების წარმომადგენლებმა: ჯემალ და ნელი ტოლიაშვილებმა, სკოლის დირექტორმა თინათინ ალავიძემ.

ასევე გულწრფელი მადლობა გადაუხადეს ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს საბავშვო ბაღის ბინადრებმა: ჯემალ დოიჯაშვილმა, მცირეწლოვანი ბავშვების დედებმა: მანონ დოლიძემ, მაია ყორანაშვილმა.

– გმადლობთ, ბატონო ამირან, გმადლობთ ჩვენო კეთილო სტუმრებო, იმ დიდი სიხარულისათვის, რაც თქვენი მობრძანებით, ყურადღებით, საჩუქრებით მოგვანიჭეთ, – თქვა საბავშვო ბაღის გამგემ ნაზი ხმიადაშვილმა.

ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზებაში ბატონ ამირანს მხარში ედგნენ თანამშრომლები: თამარ ბუძიშვილი, მიმოზა ჭითანავა, ლევან ანჩაბაძე, შოთა თოიძე, ნუგზარ შეყილაძე. თბილი ტანსაცმლის შეგროვებაში კი იშვიათი გულუხვობა გამოიჩინეს თანამშრომლებმა: ავთანდილ მექვაბიშვილმა, გული დარცმელიამ, შორენა ჯინჭარაძემ, მანანა ღლონტმა, ზურაბ წულაიამ, ვალერი კეკელიამ, სტუდენტებმა: დენის ვეკუამ, თამთა კობიაშვილმა.

3 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ჰუმანიტარული აქცია იმის მაგალითი და დასტური იყო, რასაც გვასწავლის და შთაგვაგონებს დიდი რუსთაველი: „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა"... ჭეშმარიტად ასეა!

**გული დარცმელია,**
**პროფესორი, სამართლის, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.**

ვულოცავთ!..



ჩვენს შესანიშნავ კოლეგასა და ულალატო მეგობარს, სანიმუშო მამულიშვილსა და მოქალაქეს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ღირსების ორდენის ღირსეულ კავალერს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ნახევარსაუკუნოვან საკუთარ კორესპონდენტს, ბატონ იოსებ გოგეჩიას ვულოცავთ დაბადებიდან 85 წლისთავს და ვუსურვებთ, კვლავაც ჩვეული ენერგიითა და შემართებით ელვაწოს ჟურნალისტიკის ნარ-ეკლიან სარბიელზე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები

ასეც ხდება

# დედობა განა როდესმეა გვიან?

თუმცა ინდოელ 70 წლის ქალბატონ ომკარ პანვარისა და მის 77 წლის მეუღლეს უკვე ჰყავდა ორი ქალიშვილი და ხუთი შვილიშვილი, მაგრამ მათი დიდი ნატვრა ვაჟიშვილი იყო. მათ ამისთვის ყველაფერი გაყიდეს, კრედიტიც აიღეს და – 350 ათასი რუპია (8100 დოლარი) გაიღეს დონორებიდან ხელოვნური განაყოფიერებისათვის. საკეისრო კვეთის შედეგად დაიბადა თითოკილოგრამიანი ტყუპი ქალ-ვაჟი, ისინი მაშინვე ინკუბატორში მოათავსეს და ახლა, შეიძლება ითქვას, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.



ბავშვის 77 წლის მამა

მიუხედავად იმისა, რომ ომკარ პანვარი ახლა მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი დედაა, ის გინესის რეკორდების წიგნში მაინც ვერ მოხვდა, რადგან, თურმე ასაკის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ ჰქონია, მისი ასაკის დასადასტურებლად კი არ გამოდგება მისი მტკიცება – ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებისას 10 წლისა ვიყავიო.

ამიტომ ახლა, გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, ყველაზე ასაკოვან დედად რუმინელი ადრიანე ილიესკუა მიჩნეული. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მან შვილი – გოგონა 66 წლისამ გააჩინა.

ხანდაზმულთა დედად გახდომა ძირითადად ექსტრაკორპორაციული განაყოფიერების შედეგია, რომლის ჩატარება 45 წლის ზემოთ აკრძალულია. მხოლოდ რამდენიმე კლინიკაში ზღვრულ ასაკად 55 წელია მიჩნეული. სწორედ ამით ისარგებლა ესპანელმა კარმელა ბუსადამ, კალიფორნიის ერთ-ერთ კლინიკაში თავი 55 წლისად რომ გაასაღა და ფაქტობრივად 67 წლისა ტყუპი ბიჭების ბედნიერი დედა გახდა.

შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ხანდაზმული დედებიც და მათი ნაგვიანები შვილებიც ჯანმრთელად არიან და დიდხანს სიცოცხლესაც აპირებენ. ღმერთმა ნუ მოუშალოთ დედაშვილობის მადლის იმედი!

ინფორმაცია

## რესტორან „ორთაჭალას" ხანძარი გაუჩნდა

როგორც საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურიდან იტყობინებიან, ხანძარი რესტორნის სამზარეულოში გაჩნდა. დაიწვა დაახლოებით 60 კვადრატული მეტრის ფართობი. ადგილზე გასული იყო 6 სახანძრო ბრიგადა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

ექიმი-გინეკოლოგის ცოლი მოულოდნელად ადრე დაბრუნდა სახლში და ქმარს საწოლში უცნობ ქალთან მწოლიარეს წაასწრო.

– ქვირფასო, – გაკვირვებით კითხულობს იგი, – ნუთუ სამსახურში ისე ხარ საქმით გადატვირთული, რომ სამუშაო სახლშიც მოგაქვს!



* * *

– აბა, როგორ არის საქმე, ჩააბარა თქვენმა ქმარმა გამოცდები მართვის მოწმობის მისაღებად?

– არ ვიცი, მხოლოდ ახლა ვაპირებ საავადმყოფოში მის მონახულებას.

* * *

თბილისი საოცარი კონტრასტების ქალაქია. აქ ნახევარ საათში უფრო მეტ მანძილს გაივლი ფეხით, ვიდრე ერთ საათში მანქანით დაფარავ.

* * *

მაინც რასთან დაკავშირებით წამოაყენეს წინადადება რუსეთში პრეზიდენტის და პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ? საქმე ის არის, რომ რიგითი მოქალაქეების კოლოსალური ძალისხმევით ქვეყანაში ისეთი ოქროს მარაგი დაგროვდა, რომ ამდენი ფულის დასახარჯად ოთხი წელი უკვე არ იქნება საკმარისი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.